

1. VIII მსოფლიო კრება –  
განდგომილებისა და ავაზაკთა  
კრება

2. პაპისტებთან დიალოგი



რომის პაპისა და პატრიარქ ბართლომეს  
ანტიმართლმადიდებლური ქმედებანი

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ.  
მართლმადიდებელი მრევლის კავშირი

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

VIII მსოფლიო კრება –  
განდგომილებისა და აუაზაკთა კრება

პაპისტებთან დიალოგი – პაპისა  
და პატრიარქ ბართლომეს  
ანტიმართლმადიდებლური ქმედებანი

თბილისი  
2010

## თავი I

**მსოფლიო პატრიარქი ბართლომე, – ეკუმენისტი,  
პაპის ანტიმართლმადიდებლობაში თანამოქმედი,  
VIII განდგომილების კრების ინიციატორი**

### 1. შესავალი



**პაპისა და ბართლომეს ანტი-  
მართლმადიდებლური აღიანისი  
(რომი, 2006წ.30 ივნისი)**

რომ რომო-კათოლიკების მხრიდან თავიანთი მწვალებლობის დაგმობის გარეშე და ცდომილების შეუნანებლად მოხდეს რომის ეკლესიის აღიარება და მასთან გაურთიანება, მეტიც, ყველანაირად ცდილობს, რომ მართლმადიდებლებმა აღიარონ რომის პაპის პრიმატი (პირველობა) და მისცენ მას ბერკეტები ეკლესიის მართვისა, შესაძლოა ადგილობრივი ეკლესიების შიდა საქმეებში ჩარევის ჩათვლით.

მე-20 საუკუნის კონსტანტინოპოლის ეკუმენისტ და ანტიმართლმადიდებელ პატრიარქთა მემკვიდრე და მათი საქმის გამგრძელებელი, პატრიარქი ბართლომე, თავისი ანტიეკლესიური,

წმიდა მამათა სწავლების უარმყოფელი და შეურაცხმყოფელი ქმედებებით სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას იწვევს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულ შვილთა წრეში. საყოველთაოდ დგება დღის წესრიგში საკითხი პატრიარქ ბართლომეს მოხსენიების შეწყვეტის თაობაზე. ეკლესიის მრავალი წევრი და ავტორიტეტული მამები მოუწოდებენ ათონის მთის წმიდა კინოტს და ყველა მართლმადიდებელს, მკაცრად შეაფასონ პატრიარქ ბართლომეს ეკუმენისტური, პროპაპისტური და ანტიმართლმადიდებლური საქმიანობა და შეწყვიტონ მისი მოხსენიება.

ჩვენ გთავაზობთ ამ ვითარების ამსახველ მასალას სხვადასხვა წერილიდან ამონარიდების სახით, იმ მიზნით, რომ საქართველოშიც, ჩვენი ეკლესიის წევრთა შორისაც იყოს სწორი და მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა საფრთხეს ქმნის პატრიარქ ბართლომეს მოღვაწეობა და მისი და რომის პაპის ანტიმართლმადიდებლური აღიანსი ჭეშმარიტი ეკლესიის ერთობისათვის, წმიდა სწავლებისა და კანონებისათვის.

## 2. მეორე წერილი ათონის მთის მონასტრების წმიდა იღუმენებსა და წმიდა კინოტის წევრებს

ჩვენი ეს წერილი შეეხება კინოტის მიმართვას (რომელიც კინოტმა გაუგზავნა პატრიარქ ბართლომეს, მაგრამ, წერილის ავტორების სამართლიანი აზრით, მიმართვა არ არის პირდაპირი და მკაცრად მამხილებელი—ავტ.) და მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს ანტიმართლმადიდებლურ და ერეტიკულ ქმედებებს. წმიდა კინოტის მიმართვა არ არის პირდაპირ მიმართული ეკუმენისტური მწვალებლობის მთავარი მოღვაწეების — პატრიარქ ბართლომესა და მთავარეპისკოპოს ქრისტოდულოსის მიმართ.

მიმართვაში თქვენ აღნიშნავთ, რომ მსოფლიო საპატრიარქო იღვწის იმისათვის, რომ მთელს მსოფლიოში ისმოდეს მართლმადიდებლობის ხმა. მოგვიტევეთ, მაგრამ ეს სრული ფუჭსიტყვაობა და სიცრუეა, რაღა თქმა უნდა თუ ამაში არ გულისხმობთ ერეტიკოსებთან ერთობლივ ლოცვებსა და მათი საიდუმლოებების აღიარებას.

აღნიშნავთ, რომ თქვენ იცავთ წმიდა მამათა სწავლებას და ახსენებთ წმ. გრიგოლ პალამას სახელს, რომელიც თვლიდა, რომ ვისაც არ უპყრია ჭეშმარიტება, იგი არ ეკუთვნის ეკლესიას, იქნება იგი მონაზონი, იღუმენი, ეპისკოპოსი თუ პატრიარქი. როგორ შეიძლება ჭეშმარიტ ეკლესიას ეკუთვნოდეს პატრიარქი, რომელმაც პაპის წინაშე კონსტანტინოპოლიში წმ. ანდრია მოციქულის დღესასწაულზე გაითამაშა ეს სპექტაკლი (საუბარია მწვალებლებთან ერთობლივ ლოცვასა და ზიარებაზე-ავტ.) და როგორიც თვლის, რომ შეცდომა დაუშვეს ჩვენმა წინაპრებმა და წარმოშვეს სქიზმა პაპისტებთან? როგორ შეიძლება მართლმადიდებელი ეწოდოს მას, ვინც მკუმენისტური მწვალებლობის ავანგარდშია და მონაწილეობას იღებს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში? . . . ბართლომე, რაც სწამს პაპის თაობაზე, იმას ახორციელებს. პაპს ქრისტესმიერ ძმად აღიარებს, ცნობს მათ (პაპისტების-ავტ.) საიდუმლოებებს, ეშმაკის მსხვერპლად მიჩნევს მათ, ვინც დაგვიცვა პაპიზმის ერესისაგან (წმ. გრიგოლ პალამა, წმ. მარკოზ ეფესელი, წმ. ფოტი კონსტანტინოპოლელი და სხვები-ავტ.) და აქედან გამომდინარე წმიდა ლიტურგიისას პაპი უმაღლეს ტახტზე დააბრძანა. მეტი რაღა უნდა გააკეთოს, წმიდა მამებო, იმისათვის, რომ პაპი რომის კანონიერ ეპისკოპოსად იქნეს მიჩნეული? ეკლესიის გადმოცემით და მამათა სწავლებით, ყველა, ვინც ასეთი რწმენის მქონე პატრიარქს იხსენიებს, არსობრივად იმავე რწმენის თანაზიარია. . .

აღნიშნავთ, რომ „**მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გააკრცელეს არასწორი ინფორმაცია, თითქოს პაპისადმი სპეციალურად დაწერილი ტროპარის ავტორი ათონელი ბერები იყვნები**“: გასაოცარია, მამებო, რომ ტროპარის შექმნის ანონიმ ბერზე დაბრალებამ აღგამფოთათ და არაფერს ამბობთ თავად ტროპარის შინაარსზე, რომელიც პაპს ცოცხალ წმინდანივით მოიხსენიებს. როგორ უნდა გაეცედა პატრიარქს მიემართა პაპისათვის სიტყვებით: „**ეურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა**“, რომელიც ქრისტესთვის ითქვა? ეს არის ან ფორმალური ლექსიკა, ან წარმოაჩენს პატრიარქის აზროვნების ღრმა რღვევას. ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ამ ბოლო აზრს ვემზრობით. ამ აზრში გვმტკიცებს ის, რომ ამ სიტყვებით მთელი მსოფლიოს დასანახად მიმართეს საუკუნეების მართლმადიდებლობის ყველაზე დიდ მტერს

— პაპს. მას, ვინც ათი საუკუნეა ებრძის მართლმადიდებლობას, მას, ვინც უამრავი მართლმადიდებელი გააკათოლიკა უნის საშუალებით, (ვინც მართლმადიდებელთა სისხლის მდინარეები ადინა — ავტ), მას, ვინც თავისი თავი მიწიერ ღმერთად გამოაცხადა.

წმიდა კინოტი ასევე აცხადებს, რომ „ფანარისა და ათენის მთავარეპისკოპოსის პაპის ვიზიტებისადმი ამგვარი თბილი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ქმნის ერთიანობის მცდარ შთაბეჭდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, მრავალ მორწმუნეს აცლუნებს და კეთილმორწმუნე მართლმადიდებლებს ეკლესის სხეულისაგან განაშორებს და ახალი განხეთქილებების შექმნისაკენ უბიძვებს“. ნუთუ, მამებო, ერეტიკოს ეპისკოპოსთან ან მიტროპოლიტთან ან პატრიარქთან ურთიერთობის გაწყვეტას ეკლესის სხეულში განხეთქილების შექმნად მიიჩნევთ? თუ ასე მიგაჩნიათ, მაშინ უნდა დაგმოთ და ეკლესიდან განკვეთოთ უთვალავი წმიდანი აღმსარებელი, რომელთაც კავშირი გაუწყვეტიათ ერეტიკოს ეპისკოპოსებთან და პატრიარქებთან, და, პირველ რიგში, ის ათონელი წმიდა მოწამენი, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს ლათინმოყვარე პატრიარქ იოანე ვეკომთან. ასევე უნდა დაგმოთ ისინიც, ვინც შეწყვიტა პატრიარქ ათინაგორას მოხსენიება უკანონოდ ანათემის გაუქმების ცნობილ ფაქტის გამო და თანამედროვე ეპიქისული თეოლოგის შესაბამისად მოიხსენიოთ პატრიარქი ვეკომი, ათინაგორა, ბართლომე, ქრისტოდულოსი და სხვ. მამებო, ეს რომ ეკლესის სწავლება ყოფილიყო, მაშინ ეკლესია ანთროპოცენტრისტული იქნებოდა და საფუძვლად არა ჭეშმარიტება, არამედ ეპისკოპოსის აზრი ექნებოდა, როგორც ეს პაპიზმში ხდება, მაშინ აღარ იქნებოდა საჭირო სარწმუნოებისათვის ამდენი სისხლის დაღვრა, რადგან სარწმუნოებას გამოხატავდა უპირსტესი და ყველა მას დაემორჩილებოდა. . .

ფაქტია, რომ, რაც უფრო შეუერთდება ათონის მთა ევროპულ პროგრამებს, აითვისებს მის ეკონომიკურ პროგრამებს და ექნება ევროპული ორიენტაცია, მით უფრო შეუძლებელი იქნება პროტესტისას მართლმადიდებლურად გამართული სიტყვები წარმოთქვათ და იძულებული იქნებით თქვენს სპონსორს დაემორჩილოთ. სამწუხაროა, რომ მონასტრების აღდგენისას და გარემონტებისათვის ზურგი ვაქციუთ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მზრუნველობას და ევროპის ცოდვილ და იოლ თანხებს დავეწაფეთ,

დავარღვიეთ ის საზღვრები, რომლებიც წმიდა მამებმა დაადგინეს. ყველამ ვიცით, რომ არავინ არაფერს სამაგიეროს გარეშე არ მოგვცემს.

ასევე სამწუხაროა, მამებო, რომ ერეტიკოსებთან ორმოცწლიანი დიალოგის შედეგად ვერ გაგიგიათ მისი მიზანი. ვერ დარწმუნდით იმაში, რომ არც პაპისტებმა გააცნობიერეს თავიანთი მწვალებლობა და ჩვენც ვიხსრჩობით მათ მხეცურ საცეცებში? ვერ ხვდებით, რომ ამ დიალოგების ერთადერთი შედეგი, ისევე, როგორც ფლორენცია-ფერაროს დოროს, მართლმადიდებლების დანაწევრებაა?

დასასრულს აცხადებთ, რომ „ათონის მთა ღვთის მადლით წმიდა მოციქულებისა და წმიდა მამების სარწმუნოების მიმდევრად რჩება“. ამას დავიჯვრებთ, თუკი ათონის მთა განეშორება ერეტიკულად მოაზროვნე და მოქმედ დღევანდელ პატრიარქს. ის გზა, რომელსაც ასეთ შემთხვევაში წმიდა მამები გვიჩვენებენ, მოხსენიების შეწყვეტაა.

ყოველივე ცუდი მსოფლიო პატრიარქის 1920 წლის ცირკულარით დაიწყო, გაგრძელდა საეკლესიო კალენდრის შეცვლით და შემდგომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შესვლით. შემდეგ სიმსივნე გაიზარდა ანათემების (უკანონო-ავტ.) მოხსნით და თეატრალური დადგმული თეოლოგიური დიალოგებით. განგრენა განვითარდა კონსტანტინოპოლის მიერ 1990 წელს, შამბეზში მონოფიზიტების, 1993 წელს ბალამანდში პაპისტების, შემდეგ კი ლუთერანების ერეტიკული საიდუმლოების აღიარებით. და ბოლოს დასრულდა საზემო ლიტურგიით ერეტიკოსთა ლიდერის თანდასწრებით მართლმადიდებლობის ოფიციალური დამორჩილებით „ახალი ეპოქისადმი“. ეს გზა სულიერი დაღუპვისაკენ მიემართება, ე.ო. ყველა იმის მოკვეთისაკენ ეკლესიის სხეულიდან, რომელიც ქმედებით ან უმოქმედობით ანტიქრისტიანულ განდგომილებას უერთდება. ვინაიდან მსოფლიო პატრიარქმა გააგრძელა სულიერი დაცემა, წმიდა კინოტმა უნდა შეწყვიტოს მისი მოხსენიება, რათა იყოს უსაფრთხოდ და გააგრძელოს მარადიულ ეკლესიასთან კავშირი, როგორც ამას აკეთებდნენ ისინი, ვინც თავის დროზე იოანე ვეკომისა და პატრიარქ ათინაგორას მოხსენიება შეწყვიტა. ათონის მთა არ უნდა გაებას ევროპული სპონსორების მახში: ერთი მხრივ, ბერებმა უნდა იცხოვრონ სიღარიბეში და უბრალოებით, მეორე მხრივ, უნდა ილაპარაკონ თავისუფლად და პირდაპირ ყოველივე ცუდზე, რაც

შინ და გარეთ ხდება. ათონის მთის ეკონომიკური დამონება არის სასიცვდილო დარტყმა მისი დოგმატური სინდისისადმი. მთელს ათონის მთას უნდა ჰქონდეს ერთიანი წინააღმდეგობა მწვალებლობისადმი, რათა არ მოხდეს მთელი მსოფლიოს თვალწინ ბერებს შორის დაპირისპირება და განხეთქილება.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ვფიქრობთ, რომ წმიდა კინოტს ეძლევა გამოფხიზლების შანსი, რომ შეწყვიტოს უმოქმედობა ფანარაში (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ადგილსამყოფელი-აკტ) დადგმული თეატრალური წარმოდგენის მიმართ, რათა დამშვიდდნენ ათონის მთის პოზიციით შეშფოთებული მონაზვნები. გაცნობებთ, რომ თუკი მართლმადიდებლურ ღირსეულ პასუხს არ გასცემთ მსოფლიო პატრიარქის მიერ წმიდა კანონების უგულებელყოფას და ზღვარს გადასულ ქმედებებს, ჩვენ დავფიქრდებით წმიდა კინოტთან და მსოფლიო პატრიარქთან ეკლესიოლოგიური კავშირის შეწყვეტაზე.

იმის გამო, რომ არ არის შესაძლებელი ათონის მთაზე შეგროვილი ხელმოწერების სრულად გამოქვეყნება, ამიტომ ვბეჭდავთ მხოლოდ პირველ ხელმოწერებს:

გერონდა ილარიონი (დოქიარის მონ. პლატანის კელია),  
ბერი გაბრიელი (წმ. ქრისტოდულეს კელია, კუტლუმუში),  
გერონდა მელეტი (ლვისმშობლის შობის კელია,  
სტავრონიკიტა),  
გერონდა საბა (მათავარანგელოზთა კელია, პილანდარი),  
არქიმნიდრიტი კირილე (ილუმენი, მელისოზორის ისიხასტიონი,  
თესალონიკი), პანტოკრატორი),  
იოანე კორნარაკისი (ათენის უნივერ. პროფესორი)

### **3. ეპისკოპოსის მოხსენიების შეწყვეტა და მისგან განშორება**

განიხილება ეკლესიის მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი  
პრაქტიკა  
პანაიოტის სიმატისი, თეოლოგი

მორწმუნეთა ქმედებები მწვალებლობებით გამოწვეული საშიშროების დროს ხანდახან ყველაზე უშუალო და სერიოზული იყო, ხანდახან კი დაგვიანებული და ნაწილობრივი. ამ მეორე

შემთხვევის მიზეზი იყო მწვალებელთა ეშმაკობა, ბოლომდე არ გაეხსნათ თავიანთი ჩანაფიქრი, ან მორწმუნეთათვის ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდება, ან ზედმეტი მომთმენობა და საქმის გადადება უკანასკნელ მომენტამდე, ან გულგრილობა, ანგარება, ან შიში ხელისუფალთა წინაშე, რომლებიც ცდილობდნენ მწვალებლობათა მიმართ ლოიალური დამოკიდებულების მიღწევას, ოუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც თავად ისინი მხარს არ უჭერდნენ ხოლმე მწვალებლობას, და ა.შ. მაგრამ რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ეპისკოპოსები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა არიან პასუხისმგებელნი სარწმუნოების ჭეშმარიტებისა და ერთიანობის დაცვის საქმეში, ვერ აცნობიერებდნენ იმ უდიდეს საშიშროებას, რომელიც მოჰქონდა ამა თუ იმ მწვალებლობას, როდესაც ეპისკოპოსები წინ არ აღუდგებოდნენ ამ საშიშროებას, ან უარესი, როდესაც ისინი მწვალებლებთან ერთად თავად ხდებოდნენ ჭეშმარიტების მდევნელები? ამ შემთხვევაში ეკლესიაში გამოიყენებოდა განსაკუთრებული საშუალება წინააღმდეგობისა და უკუქმედებისა – ეპისკოპოსის მოხსენიების შეწყვეტა და მისგან განშორება. ღვთისმსახურები და უბრალო მორწმუნენი, რომლებიც არ იყვნენ გულგრილნი საეკლესიო სწავლებისა და კანონების დარღვევათა მიმართ, წინააღმდეგობას უწევდნენ და აპროტესტებდნენ კანონდარღვევებს, ამასთან თავიდნევე განეშორებოდნენ ეპისკოპოსისა და მის გარემოცვას. როდესაც მათ წინააღმდეგობას არ ჰქონდა სასურველი შედეგი, ანუ როდესაც ეპისკოპოსი მაინც არ ასრულებდა თავის დანიშნულებას, როგორც მოძღვრისა და სარწმუნოების დამცველისა (ანუ მსახურებისა, რომელიც მას დააკისრა თავად ქრისტემ, მან კი დადო ფიცი, რომ იქნებოდა ჭეშმარიტების მსახური), იმ შემთხვევაში, როცა ეპისკოპოსს არ შეუნანებია და იმყოფება ერთგვარ სულიერ დაბინდებასა და უტყვობაში, ინტერესს იჩენს მხოლოდ მეორეხარისხოვანი საგნებისა და მოვლენების მიმართ და იმ საგებლის შენარჩუნების მიმართ, რომელიც მის ძალაუფლებას



მსოფლიო პატრიარქი  
ბართლომე

მოაქვს – ამ შემთხვევაში მორწმუნები მიმართავენ მეტად მტკიცნეულ გადაწყვეტილებას: შეწყვიტონ ეპისკოპოსის მოხსენიება და გაწყვიტონ მასთან კავშირი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ეპისკოპოსთან კავშირის გამწყვეტი არ ღებულობდნენ ეპისკოპოსის ქმედებებში მონაწილეობას, არ დადიოდნენ იმ ტაძრებში, სადაც უშალოდ იხსნიებდნენ ეპისკოპოსს, ანუ წყვეტილენ მასთან კავშირს. ღვთისმსახური კი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამგვარ წინააღმდეგობაში, წყვეტილენ ეპისკოპოსის მოხსენიებას, რადგან მისი მოხსენიება მოწმობდა მასთან ერთობას **რწმენაში.** ხოლო, რაკი ისინი დარწმუნდებოდნენ, რომ ეპისკოპოსის სამწყებსო მოღვაწეობა ერეტიკოსებთან მიმართებაში განსხვავდებოდა წმინდა მამების პოზიციისაგან, ანუ მასთან საერთო რწმენის არარსებობა ოვალსაჩინო ხდებოდა, ამ შემთხვევაში აღარ არსებობდა აუცილებლობა ეპისკოპოსის მოხსენიებისა, ანუ რწმენაში ერთობისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსენიება იქნებოდა პირფერული და ცრუ, ამ დროს კი ეპისკოპოსს მხოლოდ შეცდომაში შეჰყავდა, აბნევდა და აცდუნებდა მორწმუნებს, ამბობდა რა, რომ იყი ყველაფერს სწორად ამბობს.

თავისთავად ცხადია, რომ ადამიანები, რომლებიც ასე გამოხატავდნენ პროტესტს, იყვნენ ეკლესიის აქტიური წევრები და რჩებოდნენ ეკლესიაში, ისინი არ ქმნიდნენ საკუთარ ეკლესიას. იმყოფებოდნენ რა ასეთ მდგომარეობაში, ისინი მოუწოდებდნენ ეპისკოპოსებს, მოეწვათ კრება იმისათვის, რათა წინ აღდგომოდნენ შექმნილ სიტუაციას. იმავე დროს ისინი ეხმარებოდნენ სხვა ადამიანებს, რომ მათაც გაეთავისებინათ არსებული პრობლემის დიდი მნიშვნელობა და თავიდან აცილებინათ მწვალებლური შსამის ზემოქმედება.

ეს პრაქტიკა ეკლესიაში გამოიყენებოდა პირველ საუკუნეებში. მას იყენებდნენ, მაგალითად, წმ. ბასილი დიდი, წმ. ათანასე დიდი, წმ. კირილე ალექსანდრიელი, წმ. სოფრომ იერუსალიმელი, ლირსი მაქსიმე აღმსარებელი, ლირსი თეოდორე სტუდიელი. . . ეს პრაქტიკა ასევე გამაგრებული იყო წმიდა კანონებით, რომლებიც ძალაშია დღევანდელ დღემდე (მაგალითად, მე-5 კანონი ორმაგი კრებისა).

ეს კანონები, რა თქმა უნდა, ქების ღირსად რაცხავენ მორწმუნებს, რომლებიც თავიანთი პოზიციით განეშორებიან ეპისკოპოსს იმ

მიზეზით, რომ იგი ცხადად გულგრილია და აშკარად დამყოლია სარწმუნოების ამ მეტად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებში. ეპისკოპოსები, რომლებიც ადამიანებს ღმრთის გმობას ასწავლიან, მათ თავიანთი კაცომლებარული ქმედებებით, შესანიშნავი ქადაგებებითა და ნაირფერი საქმიანობით იზიდავენ, — ამისი გამო მათი აზროვნება, არსებოთად, ამსოფლიურია.

ელადის ეკლესიაში ეპისკოპოს-პატრიარქის მოხსენიების ასეთი შეწყვეტა სამი ეპისკოპოსისა და წმიდა მთის მონასტრების მიერ გამოყენებულ იქნა 1970 წელს<sup>1</sup>. ამ სახის პროტესტი იყო ჯანსაღი წინააღმდეგობა. უწინ ეპისკოპოსისაგან ასეთი განშორება აღწევდა თავის მიზანს, მაგრამ ზოგჯერ ეს იწვევდა მობილიზებულ და მედგარ წინააღმდეგობას დადანაშაულებული ეპისკოპოსის მხრიდან, რომელიც ფიქრობდა, რომ მის ხელისუფლებასა და სარგებელს დაკარგვის სერიოზული საფრთხე ექმნებოდა. ამ შემთხვევაში, იყენებდნენ რა ზოგიერთ საეკლესიო და სახელმწიფო ზომას, ისინი აქტიურად ცილს სწამებდნენ იმ მორწმუნებს, რომლებიც თავიანთ პროტესტის გამოხატავდნენ, და იწყებდნენ მათ ძლიერ დევნას, ვინც, როგორც ეპისკოპოსი თვლიდა, სათუოს ხდიდა მის ძლაუფლებას. ეს ყველაფერი ეკლესის ისტორიიდანაა.

რაც შეეხება თანამედროვე მდგომარეობას, იმის გამო, რომ ეპისკოპოსზე დაკისრებული პასუხისმგებლობის სფეროში ხშირად ხდება ავარიები, რომლებიც იწვევენ საეკლესიო ცხოვრების შეცვლასა (მაგალითად, ტირანული მმართველობა, სარწმუნოებით ვაჭრობა, ეპისკოპოსის სკანდალური სექსუალური შემთხვევები, სავსებით მიუღებელი სამართალწარმოება და სხვა) და ჭეშმარიტი სარწმუნოების დამახინჯებას, ამ ბოლო დროს სულ უფრო ინტენსიურად განიხილება საკითხი ისეთი შესაძლო მოვლენის შესახებ, როგორიცაა ეპისკოპოსის მოხსენიების შეწყვეტა და მისგან განშორება.

საბერძნეთის მთელი რიგი რაიონების ღვთისმსახურებმა და მორწმუნებმა უკვე დაუდეს ასეთ ქმედებას სათავე, შეწყვიტეს პატრიარქისა და ეპისკოპოსების მოხსენიება, მათი ეკუმენისტური საქმიანობისა და მათი ისეთი ქცევის წესის გამო, რასაც თავის

1 საუბარია პატრიარქ ათინაგორაზე, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი უკიდურესი ეკუმენისტური საქმიანობით

თავში იფარავს რელიგიური სინკრეტიზმის მზაკვრობა. ეკუმენიზმი აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიობის წინააღმდეგ, ანეიტრალუებს მას, ანადგურებს და უქვემდებარებს ჩვენს მართლმადიდებლობას პაპიზმისა და პროტესტანტიზმის თვითნებურ ბოროტმადიდებლობას.

საკითხავი აი რა არის: მიიღებენ ეპისკოპოსები მხედველობაში ამ ინფორმაციას? გაიგებენ ამას მორწმუნები, მოსთხოვენ ისინი თავიანთ მწყემსებს, რომ მათ გამოიჩინონ ინტერესი იარებმიყენებული ეკლესიის სახისადმი, და, უმთავრესად, მისი ჭეშმარიტების დაცვისადმი? თუ ისინი კვლავ შექმნილი სიტუაციის საფარქვეშ დარჩებიან, დაემორჩილებიან ზეწოლას, შიშს (რეალურს თუ წარმოსახვითს) და უკიდურესად უგუნურ სურვილს მორჩილების გაწევისა და იმ საქმიანობაში მონაწილეობისა, რომლებიც უარყოფენ სახარებას?

პირველად ეს სტატია გამოქვეყნდა გაზეთში «Â Ç I Á ბჯ  
ÁÉDÁËÁÉÁÓ»/ 10/05/2009. [http://thriskeftika.blogspot.com/2009/07/blog-post\\_21.html](http://thriskeftika.blogspot.com/2009/07/blog-post_21.html)” rel="canonical"

#### **4., „მართლმადიდებელი აპოლოგეტის“ კომენტარი მართლმადიდებლობა საფრთხეშია**

საეკლესიო პრაქტიკაში ეპისკოპოსის მოხსენიების შეწყვეტისა და მისგან განშორების დასაშვებობის საკითხი დროულადაა წამოწეული. ამისათვის რამდენიმე სერიოზული მიზეზი და საბაბი არსებობს. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ეპისკოპოსის მოღვაწეობაში შესამჩნევია, რომ მრავალი მათგანი გულგრილია სარწმუნოებრივი ხასიათის საკითხებისადმი, რომ მათ საქმიანობაში ჭარბობს სუფთა საზოგადოებრივ-სოციალური მოღვაწეობა, ეპარქიის მეურნეობის მოწყობისათვის ზრუნვა. ამას გარდა, და ეს ეხება რელიგიათაშორის და კონფესიათაშორის დიალოგებს, თვალნათლივ ჩანს მიმართულება: ეკლესიის თანდათანობითი ნიველირება რაღაც რელიგიურ ერთობაში დოგმატური რწმენის სწავლებითი საფუძვლის გარეშე. პირველ რიგში, კრიტიკის საგანი უნდა იყოს კონსტანტინოპოლის ეკლესიის ეპისკოპატის საქმიანობა, და უშეალოდ თვით კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ბათოლომეს მოღვაწეობა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კონფესიათაშორის და რელიგიათაშორის კონტაქტებში ყველაზე ულირსი სახით ფეხქვეშ თელება ყველა წმიდა კანონი, ამით იშლება

ზღვარი მწვალებლობასა და ეკლესიას შორის, იქმნება მყარი იდეოლოგიური ბაზა რელიგიური სინკრეტიზმისათვის. ამას ასევე განეკუთვნება პატრიარქ ბართლომეს ისეთი ანტიკანონიკური ქმედებები, როგორიცაა:

**ა) ერეტიკოსებთან (პაპთან, პროტესტანტებთან) ერთობლივ ლოცვასა და ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღება მოციქულთა კანონი 45:** თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან ღიაკონი მწვალებელთან ერთად იღოცებს, აეკრძალოს მღვდლობა. თუ ნებას მისცემს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდელო



წესი, როგორც მღვდლებმა, განიკვეთოს. ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი: ასეთი დამოკიდებულება, უნდა აღინიშნოს, არ ეწინააღმდეგება არ ერისტიანული სიყვარულსა და დათმენას, რაც

პაპი და პატრიარქი ბართლომე გამოარჩევს  
მართლმადიდებელ ეკლესიას, რადგან დიდი განსხვავებაა – დაითმინო შენთან სარწმუნოებაში დაბნეული ადამიანი, ელოდო მის ნებაყოფლობით მოქცევას. . . ან ბანურჩებლად შეხვიდე მასთან რელიგიურ ურთიერთობაში, რადგან ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ ჩვენ არა მარტო არ ცედილობთ მათ მართლმადიდებლობაში მოქცევას, არამედ ჩვენ თვითონ ვმერყეობთ მასში. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სასულიერო პირებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან, მაგალითი მისცენ სხვებს მართლმადიდებლური სარწმუნოების სიწმინდის მკაცრი დაცვის საქმეში.

**ბ) პატრიარქ ბართლომეს მიერ მთავარი სინაგოგის სტუმრობა ნიუ-იორკში 28.10.2009წ.**

გასულ წელს აშშ-ში თავისი ვიზიტის დროს პატრიარქმა ბართლომემ გადადგა ნაბიჯი, რომელიც კიდევ უფრო მეტი გაკიცხვის ღირსაა, ესტუმრა ნიუ-იორკის მთავარ სინაგოგას და წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც უეხქვეშ გათელა ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოება, უარყო რა ჩვენი ეკლესის წმიდა მამათა სწავლება



იუდაიზმთან მართლმადიდებელი  
ეკლესიის დამო-კიდებულებასთან  
დაკავშირებით. იმ შემთხვევაშიც კი,  
თუკი გავითვალისწინებთ  
თანამედროვე პირობებში მსოფლიო  
პატრიარქის მოღვაწეობისთვის შე-  
ქმნილი სინელეების ყველა მხარეს,  
როდესაც ხშირად ხდება გარედან

**ბართლომე და მთ. რაბინი უხეში ზეწოლა, მაშინაც კი  
შეეირი, ნიუ-იორკი, 28.10.09 დაუშვებელია, რომ პატრიარქის  
ქცევის საფუძველში იდოს კომპრომისი და უპრინციპობა. ასეთი  
ნაბიჯები არის დიდი საცდური ყველა ადამიანისთვის. ეპისკოპოსი  
მასზე დაკისრებული მოვალეობის გამო, – წმიდად დაიცვას  
ჭეშმარიტი სიტყვა, – ეკლესიის მიმართ გარედან მუქარის შემთხვევაში  
ვალდებულია იაროს აღმსარებლის გზით.**

მოვიყვანოთ მთავარ სინაგოგაში პატრიარქ ბართლომეს მიერ  
წარმოთქმული სიტყვიდან ზოგიერთი გამონათქვამი:

„ჩვენ გვაქვს არა მარტო საერთო საფუძვლები, რომლებიც ჩვენ  
გვაერთიანებენ, ისეთები, როგორიცაა წმიდა წერილი, რომელსაც  
ჩვენ თაყვანს ვკეთ, პატრიარქი და წინასწარმეტყველები, რომელთაც  
ჩვენ სასოფთო პატივს ვკეთ, არამედ საერთო სკითხებიც, რომლებსაც  
ჩვენ უნდა ვუპასუხოთ მშვიდობით“. „ძვირფასო მეცნიერებო, ჩვენ  
მუგიწოდებთ იქთვენ, რომ ჩვენ გავხდეთ ამ, ჭაობში დანთქმად  
მსოფლიოში, გარდასახვის წინასწარმეტყველური საკრებულოები. . .“

„მოდით, ხელები ჩავკიდოთ ერთმანეთს არა მხოლოდ ლოცვაში,  
არამედ ურთიერთსოლიდარობის ნიშნადაც. ამას გვთხოვს ჩვენი  
ღმერთი, ჩვენი საერთო პატრიარქები აბრაამი, ისაკი და იაკობი,  
ჩვენთვის და მთელი მსოფლიოსათვის. . .“

„ჩვენთვის დიდი ბეზნიერება, ვეწვიოთ ამ ღვთივკურთხეულ სინაგოგას

პარკ-ისტრუქტე, ამ შესანიშნავი ქალაქის ცენტრში“ (ბანეების 2009, № 69 იანვარი, ზოგიერთი მასალა იხილეთ [aktines.blogspot.com](http://aktines.blogspot.com)-ზე).

პატრიარქ ბართლომეს სიტყვების ეკლესიის სწავლებასთან  
შესადარებლად მოვიყვანოთ წმ. იოანე ოქროპირის სიტყვები  
სინაგოგასა და იუდეველებზე:

„ვიცი, რომ მრავალი პატივს სცემს იუდეველებს და მათ ამჟამინდელ წესებს წმინდად მიიჩნევს: ამიტომ ვჩქარობ, ფესვებიანად ამოვძირევო ეს მომაკვდინებელი აზრი. . .

უკეთესია, ვთქვათ, რომ სინაგოგა არის მხოლოდ გარყვნილების სახლი და თეატრი, ასევე ავაზაკთა სამყოფელი და მხეცთა ბუნავი,. . . არა უბრალო



მხეცის ბუნავი, არამედ ბართლომე ნიუ-იორკის სინაგოგაში უწმინდური მხეცის ბუნავი“ (თხზულებანი., ტ. 1, ნაწ. 2. სიტყვა იუდეველების წინააღმდეგ 1)

„არავინ იუდეველთაგან თაყვანს არ სცემს ღმერთს. . . მათ არ იციან მამა, ჯვარს აცვეს ძე, უარყვეს სულიწმიდა;. . . იქ არ ეთაყვანებიან ღმერთს, იქ კერპთაყვანისცემის აღვილია“ (იქვე).

მოციქულთა კანონი 65: თუ ვინმე სასულიერო პირი ან ერისკაცი ურიათა ან მწვალებლების შესაკრებელში შევიდეს სალოცავად, სასულიერო პირი განიკვეთოს, და ერისკაცი უზიარებლობით დაისაჯოს. (მოციქ. 7, 45, 70, 71; ტრულ. 11; ანტიოქ. 1; ლაოდ. 6, 29, 33, 37, 38)

ეპისკოპოსი ნიკოლომოსი: მოციქულთა 45-ე კანონის განმარტებისას ჩვენ ვნახეთ, რომ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს ეკრძალება ნებისმიერი რელიგიური ერთობა ერეტიკოსებთან (communicatio in sacris). განაახლებს რა ამ აკრძალვას, მოციქულთა 65-ე კანონი მას განაჯუთვნებს ასევე იუდეველურ სინაგოგას. ეს კანონი, ისევე როგორც მოციქულთა 45-ე კანონი, გამოხატავს წმიდა წერილის იმ აზრს, რომ არ შეიძლება იყოს თანხმობა ქრისტესა და ბელიარს შორის (2.კორ.6:15). თუკი საერთოდ სასულიერო პირს არ შეუძლია მწვალებლებთან იქნიოს ლოცვითი კავშირი, თვით კერძო ხასიათისაც, მით უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი ასეთი კავშირი იუდეველებთან, სავსებით გასაგები მიზეზის გამო, რომელიც მომდინარეობს თავად იუდეველების დამოკიდებულებიდან ქრისტიანობისადმი. გვიანდელი კრებების ბევრი კანონი

(განსაკუთრებით ლაოდიკიისა და ტრულისა) მკაცრად კრძალავს რაიმე რელიგიურ კავშირს იუდეველებთან.

ეს კანონი კრძალავს რელიგიურ კავშირს იუდეველებთან და მწვალებლებთან არა მხოლოდ სასულიერო პირებისა, არამედ ყველა მართლმადიდებელი ერისკაცისა და უქვემდებარებს ასეთ კავშირში მხილებულებს სასჯელს. ხსნის რა ამ კანონს, ვალსამონი ამბობს, რომ კანონით განსაზღვრული სასჯელები უნდა დაყოოთ შემდეგნაირად: ყოველი კლირიკისი, როგორც მღვდელმსახური, ისევე ეკლესიის მსახური, ამ კანონის დარღვევისათვის იმსახურებს სამღვდელო ხარისხისაგან განყენებას, ხოლო საერო პირი – ეკლესიასთან ურთიერთობისაგან განყენებას. ამასთან, ვალსამონი ამატებს, რომ არ იქნება ცოდვა, თუკი სასულიერო პირს, რომელიც დაარღვევს ამ კანონს, ერთდროულად ჩამოერთვას სამღვდელო წოდება და განყენოს ეკლესიისაგან. არისტონი, განმარტავს რა ამ კანონს, ზუსტად განსაზღვრავს სასჯელს: სამღვდელო ხარისხის ჩამორთმევა კლიროსისათვის (ასეანდა ამას) და განყენება საერო პირისათვის (ამინმახადა).

ამას გარდა, თანამედროვე ეკუმენისტურ მოძრაობას აქვს მეტად ნეგატიური გავლენა საერთო ეკლესიურ ცნობიერებაზე. მართლმადიდებელი ეკლესის უმაღლესმა იერარქიამ იწყო ხელის მოწერა და მიღება საშიში შემათანხმებელი დოკუმენტებისა, რომლებიც თავიანთი შინაარსით სცილდებიან მართლმადიდებელი ეკლესის ეკლესიოლოგიასა და სოჭეროლოგიას (ბალამანდი 1993, შამბეჭი 1992, რავენა 2007). მეტიც, სრულიადმართლმადიდებლურ თათბირზე კონსტანტინოპოლიში 2008 წელს მიიღეს გადაწყვეტილება, გაგრძელდეს კაუმინისტური დიალოგი, კრძოდ, აღნიშნეს:

გ) ჩვენი მისწრაფებაა, მოუხედავად გარკვეული სახის სიძლეებისა, გაგრძელდეს საღვთისმეტყველო დაილოგები სხვა ქრისტიანებთან, ასევე რელიგიათაშორისი დაილოგი, განსაკუთრებით იუდაიზმთან და ისლამთან, ვთვლით, რომ ეს დაილოგი არის ერთადერთი საშუალება, გადაწყვეტილ იქნეს ადამიანებს შორის უთანხმოება, განსაკუთრებით იმ ეპოქაში, როდესაც სხვადასხვა სახის დანაწევრება, მათ შორის რელიგიური, საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და ხალხთა ერთობას“. [3] ჸერები დაინიშნული იყო 2008 წლის 12 თებერვალის 12:00-ის დროს.

თავთა სრულიად მართლმადიდებელთა თათბირი, საღმრთო ლიტურგია).

უკვე არაერთხელ ითქვა და დაიწერა გამოჩენილი მართლმადიდებელი მწყემსების მიერ, რომ თანამედროვე ეკუმენისტური დიალოგის ხაზი დაშორდა თავდაპირველ ამოცანას: ძველი დაურღვეველი ეკლესიის სწავლებისკენ დაბრუნებას.

საგანგაშოა რიგი იერარქების მიზანმიმართული მისწრაფება, დაანგრიონ ეკლესიის კრებსითობის თვისება, დაარღვიონ ეკლესიის კანონიკური წყობა სრულიად მართლმადიდებელთა კრების მოწვევითა და მნიშვნელოვანი საეკლესიო-კანონიკური საკითხების გადახედვით. ეს მოდერნისტული თავსმოხვეული იდეა საეკლესიო კანონმდებლობის გადახედვის უფლების შესახებ გამოთქმული იყო მიტროპოლიტ კირილეს (რუსეთის ამჟამინდელი პატრიარქი) მიერ ეპისკოპოსთა კრებაზე 2008 წელს: „ჩვენ ვართ კრება – ჩვენ ვართ კანონები“. ასეთი პოზიცია რომ თვითნებობა და დემაგოგიაა, ამას გვიჩვენებს საეკლესიო კანონიკური სამართალი: „**მსოფლიო კრება ყოველთვის აქცევდა დიდ ყურადღებას იმას, რომ ისინი (ანუ ადგილობრივი კრებების მიერ მიღებული კანონები და წესები, დოგმატური, საღვთისმსახურო და სულიერ-ზეკობრივი საკითხები) მთელი სისახლით ყოფილიყო დაცული ადგილობრივი კრებების მიერ, როგორც მსოფლიო კრებების დადგენილებანი, ამასთან ერთად ავლენდა და ასწორებდა თვით უმნიშვნელო გადახევას, რომლებსაც უშვებდა ესა თუ ის ადგილობრივი კრება“ (საეკლესიო სამართალი).**

## 5. ამონარიდი სტატიიდან „ოქტომბერში ცრუ ერთობისკენ?“

(**Đñiò თანამდებობის შემთხვევაში ; «**«**Óóýëiò წელის მთავრობის მიერ მიღებული კანონიკური და წესები, დოგმატური, საღვთისმსახურო და სულიერ-ზეკობრივი საკითხები) მთელი სისახლით ყოფილიყო დაცული ადგილობრივი კრებების მიერ, როგორც მსოფლიო კრებების დადგენილებანი, ამასთან ერთად ავლენდა და ასწორებდა თვით უმნიშვნელო გადახევას, რომლებსაც უშვებდა ესა თუ ის ადგილობრივი კრება“ (საეკლესიო სამართალი).**

ვატიკანი და ფანარი „ამზადებენ“ ცრუ ერთობას. მრავალი ადამიანი ფიქრობს, რომ კონსტანტინოპოლი და რომი ცდილობენ მანამდე არნახული ავტორიტეტის მქონე კავშირის, პენტარქიის შექმნას, რისკენაც მათ უბიძგებენ გულმოდგინედ გასაიდუმლოებული მსოფლიო ხელისუფლების ორგანოები ვაშინგტონიდან თუ

ბრიუსელიდან. საუბრობენ პენტარქიის სამართლებრივი სისტემის აღდგენაზე, რომლის მონაწილეებიც იქნებიან: ოდესლაც მართლმადიდებლური, ამჟამად კი მწვალებლური რომის პაპისტური პატრიარქია (ის იქნება თავმჯდომარე) და კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და ერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოები. ეს იქნება „გაეროს“ ტიპის საბჭო, ამასთან მასში მონაცემლებით, არა მუდმივად, არამედ დროებით, შევლენ სხვა ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიები და კათოლიკე კარდინალები, რომლებიც წარმოადგენენ აფრიკას, ამერიკას, აზიასა და სხვა რეგიონებს. ეს საეკლესიო საბჭო იღვაწებს ეკუმენიზმის პროფილით, იმისათვის, რათა მიუთითოს იმაზე, თუ რა გვაერთიანებს და უკუაგდოს ის, რაც განგვასხვავებს.

და ყოველივე ეს, როგორც არაერთხელ განაცხადა პატრიატქმა ბართლომემ, ხდება ერთიანობის აღდგენის ჩარჩოში და იმ შეცდომების გამოსწორების გზით, რომლებიც დაუშვენს ჩვენი ეკლესიის წმიდა მამებმა, ისეთებმა, როგორიცაა წმ. ფოტი, წმ. მარკოზ ეფესელი, წმ. გრიგოლ პალამა და მოგვიანებით კოსმა ეტოლიელი და მრავალი სხვა, რომლებიც, პატრიარქის სიტყვებით, ცდუნებული იყვნენ ბოროტი გველის, ანუ ეშმაკის მიერ. გთავაზობთ პატრიარქ ბართლომეს შესაბამის განცხადებას: „ჩვენი წინაპარი მამების მიერ ჩვენთვის დატოვებული მემკვიდრეობა დანაწევრებული ყოფის სახით, გამოწვეული ბოროტი გველის უგუნური მიზეზით, ამჟამად იძყოფება სამართლიანი შსაჯული ღმერთის ხელში. ჩვენ აღვავლენთ ლოცვას ღმრთის წყალობის მისაღებად, ჩვენ ასევე მის წინაშე გვაქვს ვალდებულება გამოვასწოროთ შეცდომები. . . ჩვენ ვიცით სიძნელეები, რომელსაც ეჯახება ყოველი ეკლესია მისი წევრების უვარვისი და ხშირად მცდარი კატეხიზაციის გამო, წევრებისა, რომლებიც ვერ აცნობიერებენ შეცდომას, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა წმიდა მამების მიერ როგორც ჭეშმარიტება“ (ამბობებულ 30-11-1998, მსოფლიო საპატრიარქოს ოფიციალური ურნალი).

\* \* \*

ეს სტატია, გამოქვეყნებული ბერძნულ საიტზე «ÁΕΩΑÉÍÁÓ» 2008 წ. 18 ივნისს, ჩვენთვის, მართლმადიდებლებისათვის მეტად

აქტუალურია. იგი ნათელს ფენს მართლმადიდებლების რომოკათოლიკებთან წარმოებული დიალოგის ნამდვილად „მოღალატურ“ ხასიათს მართლმადიდებლობის მიმართ. ეს სტატია ასევე ამტკიცებს ამ საღვთისმეტყველო კონფერენციების ცრუსამეცნიერო ხასიათს, რომლებიც ნებისმიერი საშუალებებით ცდილობენ ააშენონ „ერთობადაკარგული ეკლესის“ „ახალი ერთობა“, ამასთან არა დოგმატური განსხვავებების მეცნიერული შესწავლის გზით, არამედ გამაერთიანებელი საწყისების მოძიების გზით. არ რჩება ეჭვი იმისა, რომ რომო-კათოლიკებთან ა.წ. საღვისმეტყველო დიალოგების გაგრძელება ყოვლად უაზროა, დიალოგებისა, რომლებიც, სინამდვილეში, ამზადებენ მართლმადიდებელი ეკლესის განადგურებას.

**6. რვა მთავარიერარქი აძლევს „აუცილებელ  
პასუხს“ მსოფლიო პატრიარქს, ამხელენ  
ეკუმენიზმის ერესთა ერესს, მოძრაობას,  
რომელსაც ის უდგას სათავეში**

ნაწილი I

**Ï È ÔÙ ÁÑ×ÉÁÑÅÉÓÄFÄI ÕÍ «ÔÇÍ ÄÅÏÖÓÁÍ  
ÁÐÁÍÔÇÓÉÍ»**


**ÓÔI ÍÏÉËI ÕÌÅÍÉËI ÐÁÔÑÉÁÑ×Ç, ÈÁÔÁÄÉÉÁÆÏÓÁÓ  
ÔÇÍÐÁÍÁÉÑÅÓÇ**

**ÕÍ ÕÏÉËI ÕÌÅÍÉÓÌÖ, ÔÇÓ ÏÐÍÉÁÓ ÁÔÔI Ó ÅÉÍÁÉ  
ÅÐÉÉÅÖÁËÇÓ.  
ÌÅÑÍÓÁ'**

„ჩვენ აუცილებლად უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი ეკუმენიზმის სულიერი საწყისების განვითარებისათვის“ (მსოფლიო საპატრიარქოს უკრნალი «ÅÐÍØÅÅÞÉÐ». 511/30.11.1994). „ბოლო დროს საბერძნეთში ადგილი ჰქონდა რაღაც მიმართვას „სარწმუნოების აღმსარებლობას“ (ეკუმენიზმის წინააღმდეგ). . . უახლოეს მომავალში ჩვენ გავცემთ სათანადო პასუხს მსოფლიო საპატრიარქოდან, რადგან მსგავსი წერილები სავსებით მიუღებელია“ (გაზეთი «Iñ è üä iñ ñ ð Õýðiò», 11-9-2009) )

**დოიუნუპოლის მიტროპოლიტი  
ანდრია**

„რწმენის საკითხებში მიმართავენ გარევეული ფალსიფიკაციის ცდებს. ბოლო დროს ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხდება მართლმადიდებელი ეკლესიის თავებს და პაპიზმის წარმომაღენლებს შორის ერთობლივი ლოცვები, ეამბორებიან ერთმანეთს. . . ჩვენ აუცილებლად უნდა გავერკვეთ ამ პრობლემაში, რათა შევძლოთ თავიდან ავიცილოთ ეს შავი ჭირი, რომელსაც ეპუმენიზმი ჰქვია, რადგან საუბარი სწორედაც რომ შავ ჭირს შეეხება“ (გაზეთი «Iñ è üä ïñ ð Öýð», 2-10-2009))



სამოსის მიტროპოლიტი ევსევი „«იეღოვას მოწმეებთან» ერთად, ქრისტეს სამწყსოში შეაღწიეს ეკუმენისტებმაც, რომლებიც უარყოფენ მართლმადიდებლური სარწმუნოების ძირითად ნიშნებს“ (მრგვლივმოსავლელი გზავნილი მართლმადიდებლობის კვირაში 2009წ.).



ეტოლიის მიტროპოლიტი კოსმა „მთელი სულით, გულით, გონებითა და ბაგებით მე ვაღიარებ და ხელს ვაწერ „სარწმუნოების აღსარებას ეკუმენიზმის წინააღმდეგ“. . . ჩვენ არ გავყიდით იმას, რაც წმიდაა და კურთხეული ჩვენს წმიდა მართლმადიდებლობაში, რაღაც ცრუ კეთილშობილებისა და ეკუმენისტების სიტყვების გამო სიყვარულის შესახებ“ (პერიოდული გამოცემა «Èåïäññïßá», ბâý÷. 2 – 2009).

---

პირების მიტროპოლიტი სერაფიმე

„ჩემი პასუხი მეტად მწვავე კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ეპუმენიზმის ყოვლადმწვალებლობასა და პაპიზმის მწვალებლობას, არ შეიძლება ღმერთშემოსილი წმიდა მამების საუკუნო და განუხრელი პოზიციისაგან განსხვავებული ყოფილიყ“ (გაზეთი «Iñè üäiñò Öýðö», 6-7-2007)



„ჩვენ ამჟამად მივიწევთ წინ, ასე რომ მე თქვენ გიგზავნით „სარწმუნოების აღსარებას ეპუმენიზმის წინააღმდეგ“, ჩემს მიერ მორჩილებით ხელმოწერილს, ამასთან მე მთელი გულით ვხარობ თქვენს გამო, თქვენს ჩინებულ ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც ავლენს იმ დღი სიცარიელეს, რაც პგიებს სინკრეტიზმის თანამედროვე მორევში“ (ეურნალი «Eäiäññibá», ბათუმი, 2 – 2009)

## 7. მართლმადიდებლური ძმობა „კოსმა ფლამიატოს“

მილოცვის მაგივრად პატრიარქმა გამოსცა შეურაცხმყოფელი ენციკლიკა მორწმუნეთა წინააღმდეგ, მით შეურაცხყო მართლმადიდებლობის ზეიმის დღე და კიდევ ერთხელ დაამახინჯა ჭეშმარიტება

Öéëiñèüäiñò „Íùóéò “EíóìÜò ÖëáìéÜò“  
iôß «êáôáëëáãÆò», A ÐáôñéÜñ÷çò êäþääåé QâñéóôéêP `âêýëëéí êáôÜ  
đéôôöí, iïëýíiôåò ôþí 1âñþ liÝñá ôÆò Hñèiäiñþáò êáß  
äéáôñååëþñüôåò ãéÜ ëëç iéÜ öiñÜ ôþí êþëåéá

პატრიარქმა ბართლომემ გადაწყვიტა, გამოსულიყო თავისი ენციკლიკით, არა იმისათვის, რომ პატივი მიევო, არამედ იმისათვის, რომ შეურაცხყო და თავს დასხმოდა მართლმადიდებლობას და კიდევ ერთხელ მოქდინა თავისი ერეტიკული სიახლეების

პროპაგანდა. ამ თავის ახალ არაწმიდა, აგრესიული ხასიათის წერილში მან უპასუხა მათ, ვინც უმტკიცებს და მიუთითებს მას, რომ იგი თავისი მოღვაწეობით იხრება მართლმადიდებლური სარწმუნოებიდან, ამახინჯებს წმინდამამებრივ ღმრთისმეტყველებას, უარყოფს მამათა სწავლების „სულსა“ და „გონებას“.

პატრიარქის ენციკლიკაში წერია: „**მართლმადიდებლობა, აუცილებლობიდან გამომდინარე, იმყოფება ხანგრძლივ დიალოგში მსოფლიოსთან. . . თუკი მართლმადიდებლობა ჩაკეტება თავის თავში, მაშინ ის „მსოფლიო“ ეკლესიიდან გადაიქცევა თავში ჩაკეტილ, თავისკენ მიმართულ და თვითკმაყოფილ ჯგუფად, რაღაც „გეტოდ“ ისტორიული რეალობის ჩარჩოში. . . ამ მიზეზით ეკლესიის დიდი მამები არასდროს გაურბოდნენ მათი ეპოქის სულიერ გარემოცვასთან დიალოგს, თვით მათი დროის კერპთაყვანისძცემელ ფილოსოფოსებთან. . .“**

მართლაც, თქვენო უწმინდესობავ, ეკლესია „იმყოფება ხანგრძლივ დიალოგში მსოფლიოსთან“, მაგრამ იგი ამას აფუძნებს ქრისტეს მცნებებზე და წმიდა კანონებზე, და არ აწარმოებს მას ვაჭიკანის განკარგულებების საფუძველზე, როგორც ეს ხდება იმ დიალოგში, რომლის წარმოებაც თქვენ მონურად თავს იდეთ. ამგვარად, ნუ ამახინჯებთ ნამდვილ ფაქტებს, ცდილობთ რა შეგვაშინოთ, თითქოს იზოლაციით იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას საღვთისმეტყველო დიალოგებში, რომლებიც უკვე ათწლეულებია მიმდინარეობს პაპის მისწრაფებების შესაბამისად წმიდა მამების სწავლების საწინააღმდეგო კალაპოტში და თქვენდამი ბიუროკრატიულ დაქვემდებარებაში. ამიტომაც დიალოგს არა აქვს მაღლი, და აქამდე არ გამოიღო რაიმე ნაყოფი, მეტიც, ეკლესიისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს.

ეკლესია არ იქცევა „გეტოდ“ და არ ხდება იზოლირებული, როდესაც აწარმოებს დიალოგს და ემორჩილება თავს, იქსო ქრისტეს და წმიდა კანონებს. პირიქით, გაკიცხვის ღირსნი არიან და თვითდისკრედიტირებას ახდენენ მისი ის წევრები, რომლებიც აბიჯებენ ეკლესიის წმიდა კანონებს. ეკლესია გამოეყო სოფელს და განივრცო მთელს მსოფლიოში, ანუ იგი გავიდა ისტორიულ ავანსცენაზე, როდესაც ზუსტად და მკაცრად იცავდა მცნებებს და იყო

„იზოლირებული“ ამა სოფლის სულისაგან, და არა მაშინ, როდესაც თქვენი მსგავსი პიროვნებები, რომლებიც უღირსად ხელყოფენ წმიდა გადმოცემას, წერდნენ სამეცნიერო ტრაქტატებს (როგორც თქვენ), რომლებშიც საუბრობდნენ წმინდა კანონების საწინააღმდეგოდ, როგორც ეს პაპის დადგენილებებშია.

იმ სადოქტორო ნაშრომში, რომელიც თქვენ დაწერეთ (საუბარია პატიარქ ბართლომეს სადოქტორო დისერტაციაშე, რომელიც მან დაწერა არქიმანდრიუს ბართლომე არხონდონისად ყოფნის დროს) საკმარის წლების წინ, თქვენ წერთ, როგორც პირი, რომელიც ცდილობს გაექცეს ან უსარგებლოდ აქციოს კანონები, რომლებიც წინ ეღობებიან თქვენს უკანონო სამომავლო გეგმებს. ანუ თქვენ ამტკიცეთ, რომ „ეკლესიას არ შეიძლება ჰქონდეს განწესება, რომელიც კრძალავს სხვაგარადმადიდებელთა ტაძრებში შესვლასა და მათთან ერთად ლოცვას“. და შემდეგ თქვენ აგრძელებთ, უჩვეულო მნიშვნელოვნებით, და გამოთქვამთ თქვენს მოსაზრებას: „მართლმადიდებლი ეკლესიის კანონიკური კორპუსი არის აუცილებელი და ექვემდებარება მსოფლიო კრების მიერ მის აუცილებელ დამტკიცებასა და მიღებას“. ამ სტრიქონების ქვეტექსტი ასეთია: თქვენ შეცვლით და აუცილებლად გააუქმებთ მსოფლიო კრებათა კანონებს.

ასეთ მკრეხელურ და უღირს წინადადებებს თქვენ გვთავაზობთ სადოქტორო დისერტაციაში, როდესაც განსაზღვრავდით გრძელვალიან გეგმებს: წმიდა კანონების გაუქმება, განსაკუთრებით მათი, რომლებმაც მკაცრად აკრძალეს ერთობლივი ლოცვების ჩატარება. და რადგანაც თქვენ ძალინ კარგად გესმით, რომ მართლმადიდებელი ადამიანები არ დაგანებებდნენ ამის გაკეთებას (ამიტომაც გინდათ მსოფლიო კრების მოწვევა), ამიტომ, როდესაც თქვენ გახდით პატრიარქი, უკანონოდ დაიწყეთ ამ გეგმის განხორციელება, – იწყეთ სხვაგარადმადიდებლებთან ერთობლივი ლოცვების ჩატარება, – არც კი დაელოდეთ აკრძალვის გაუქმებას მსოფლიო კრების მიერ. როგორც კანონმდებელმა შემოგვთავაზეთ ეს. თქვენ, შესაძლოა, თვლით რომ თქვენ თვითონა ხართ მსოფლიო კრება, ბაძავთ რა ერთმმართველი პაპის „უცდომელობასა“ და ირიბად იყენებთ მის პირველობას!

თქვენი ენციკლიკის სხვა ადგილას თქვენ წერთ: „**ქრისტიანებს აუცილებელია ჰყავდეთ პირველი მათ შორის და წყვეტდნენ ჩვენს უთანხმოებებს, რათა ჩვენი რწმუნება გარე სამყაროსთვის იყოს ნდობის ღირსი. . . ღმერთს არ შეუძლია იბრძოლოს ქრისტიანთა ერთობისათვის და ამ დროს ჩვენ ვრჩებოდეთ გულგრილები. . . სამწუხაროდ, ისინი („სარწმუნოების აღმსარებლობის“ ხელის მომწერნი-მთარგ.) ებრძვიან ამ დიალოგს, ამასთან მართლმადიდებლური ზნეობრიობისთვის მიუღებელი ფანატიზმით, გარკვეული წრეები, რომლებიც ირქმევენ მართლმადიდებლობის მოშურნეთა და დამცველთა სახელს. თითქოს არამართლმადიდებელი იყო ყველა პატრიარქი, . . რომლებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარი დიალოგს, ისინი (მოშურნები) თავის თავს განიდიდებენ, კრებებზე მაღლა აყენებენ ეპიკოპონებს“.**

ყველაფერ ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგს. თქვენი უწმინდესობავ, ქრისტე თავის მოწაფეებს აგზავნიდა არა „უთანხმოებების გადასაწყვეტად“, არამედ ღმრთის სასუფელის საქადაგებლად, არა იმისათვის, რომ განხილვის საგნად ექციათ სარწმუნოება, არამედ რათა გაეხადათ იგი საყოველთაო, ესაუბრათ მწვალებლებთან, რათა დახმარებოდნენ მათ იმაში, რომ მათ უარესოთ თავიანთი ცდომილება და შეემეცნებინათ თავიანთი შეცდომების მნიშვნელობა. და თუკი ისინი უარყოფდნენ ეკლესიის წინადადებას და სინაწულით არ შევიდოდნენ მასში (ეკლესიაში, რომელსაც ისინი გამოიყენენ), მაშინ არ იარსებებდა შერიგებისთვის არავითარი არგუმენტი, არამედ დაუტევებდნენ მათ გარკვეულ დრომდე, ქრისტეს იმ ბცნების შესაბამისად, რომელიც ჩვენ გვაძლევს სახელმძღვანელოს ცხოვრებისთვის: „**რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარა. . . და უკეთუ არავინ შეგიწყნარნეს თქუენ და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენი, გამო-რამ-ბკდოდით მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერწა თქუენთავ“ (მათე 10, 40, 14). წმ. ბასილი დიდი ასე განმარტავს ამ ადგილს: „**ღმრთის სიტყვის მქადაგებელი უნდა განეშოროს და არ უნდა გაავრძელოს დიალოგი მასთან, ვინც უარყოფს ღმრთის სიტყვას, არ უნდა ეკამათებოდეს მას“.** ჩვენი წმიდა მამები ასევე იყენებდნენ ქრისტეს მბაძველ მოციქულ პავლეს რჩევას.**

**მოციქული გვასწვლის:** „**მწვალებელსა კაცსა შეძღომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (ტიტ. 3, 10). ამ დადგენილებას გულმოდგინედ იყენებდა ჩვენი ეკლესიის ყველა წმიდა მამა, მაგრამ გამოჩნდით თქვენ და უარყავით იგი, დააყენეთ თქვენი თავი მამებსა და მსოფლიო კრებებზე მაღლა. და, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს დაიწერა ამდენი სტატია, ასევე მთელი წიგნი, რომლებიც აჩვენებენ თქვენს შეცდომას, თქვენ მაინც ყველაფერ ამას უფრადლებოდ ტოვებთ.**

ამგვარად, თქვენო უწმიდესობავ, ჩვენ არ ვაყენებთ ჩვენს თავს ყველაზე მაღლა, არამედ ვაყენებთ მამებზე დაბლა და მათ მივდევთ. პირიქით, თქვენ აყენებთ თქვენს თავს მამებზე მაღლა, რადგან ყველაზე უსურცხვილოდ ხელყოფთ ქრისტებს მცნებებსა და წმიდა კანონებს, და, იმავდროულად, აყენებთ თავს ჩვენს ეკლესიაზე მაღლა, ერევით რა მის შიდა საქმეებში და დაუინებით მოითხოვთ დავარღვიოთ 150 წლის განმავლობაში მოქმედი ელადის ეკლესიის ქარტია, რომელიც მიიღო პატრიარქიამ. ამგვარად, თქვენ არღვევთ რაღაც გაცილებით დიდს, – წმიდა კანონებს, რომელთაც უშუალო მიმართება აქვთ რწმენასთან, მეორეს მხრივ, თქვენ მისდევთ უკიდურესად უმნიშვნელოს: რაღაც იურიდიული კანონების მკაფიოდ დაცვას, მაგრამ არა სარწმუნოების საკითხებში, არამედ თქვენი ხელისუფლებისა და პრივილეგიების გაფართოების საკითხებში, რომლებიც, რა თქმა უნდა, უნდა დავიცვათ, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი სამართლიანია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არაფერი არ არის კანონიერი და სამართლიანი.

თქვენ ასევე აღნიშნავთ: „ისინი აბუჩად აგდებით საუბრობენ გაყოფილი ქრისტიანების შერიგების ყოველგვარ ცდაზე და მათი ერთობის აღდგენას ეკუმენიზმის ერესად სახელდებენ, ამასთან არ მოჰყოვთ რაიმე მტკიცებულება, რომ არამართლმადიდებლებსა და მართლმადიდებლებს შორის კონტაქტებისას უგულებელყოფილია მსოფლიო კრებებისა და ჩვენი ეკლესიის წმიდა მამების დოგმატები“.

აქ, თქვენო უწმინდესობავ, თქვენ სავსებით ამახინჯებთ ჭეშმარიტებას. რადგან, უდავოა, თქვენ მრავალნი განგსვიან ერეტიკული გადახრებისათვის არა რომელიღაც „ციტატებში“, არამედ თქვენს მრავალრიცხოვან ტექსტებსა და დოკუმენტებში, თქვენ მიერ ჩვენი ეკლესიის სწავლებისა და ღვთისმეტყველების რეალური და ნამდვილი

უგულებელყოფის გამო. ყველაფერი ეს იმდენად კარგად არის დადასტურებული ფაქტებით, რომ თქვენ აზრებშიც კი ვერ უგულებელყოფთ ამას.

წმ. თეოდორე სტუდიელმა ხატმებრძოლ იმპერატორ ლეონ ავრენინოსთან საუბრისას მას უთხრა, რომ აუცილებელია მივდიოთ წმინდანებს, და არ უნდა ვცდილობდეთ საკუთარი აზრების სხვისთვის თავს მოხვევას. იმპერატორმა მას უპასუხა: მე ვეთანხმები იმას, რასაც შენ ამბობ, ნუთუ „შენ მე გამამევებ ეკლესიიდან?“. წმინდანმა უპასუხა: „მე არა, არამედ ღვთაებრივი მოციქული“, ანუ მე კი არ გაგდებ, არამედ მოციქული პავლეო.

ჩვენ ვარჩევთ, „თქვენო უწმინდესობავ“, მივდიოთ მამებს, რომლებიც ამოწმებენ ჭეშმარიტებას, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ლახავთ მას, ჩვენ, რომლებიც ვითმენთ თქვენს ავბედით სიტყვებსა და მოღვაწეობას, ვამჯობინებთ ვილაპარაკოთ, ვიდრე განსჯით ვდუმდეთ.

**მართლმადიდებლური ძმობა „კოსმა ფლამიატოს“**

თავმჯდომარე ლავრენტი დენჯორჯიო  
მდიგანი პანაიოტის სიმატისი

თავი II

ამონარიდი მართლმადიდებელი სამლოცველოებისა და  
ბერების მიერ მიღებული კონვენციიდან

მათ, ვინც უფლის წყალობით გავიზარდეთ ღვთისმოსავ დოგმატურ  
სწავლებაზე, და ვინც ყველაფერში ვემორჩილებით ერთ, წმინდა,  
კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას, გვწამს, რომ: კაცობრიობის  
ხსნის ერთადერთი გზა(I) წმინდა სამებაშია, ჩვენი უფლის იესუ  
ქრისტეს საქმეებში, მოძღვრებასა და მის სხეულში, წმინდა  
ეკლესიაშია, რომელიც ქრისტეს სწავლების გამკრიელებელია. ქრისტე  
არის ერთადერთი ჭეშმარიტი სინათლე. (II) არ არსებობს სხვა  
სინათლე, რომელსაც შეუძლია ჩვენი განათლება, არც სხვა სახელები  
არ არსებობს ცისქევშეთში, რომელსაც შეეძლებოდა ჩვენი ხსნა.  
„ხსნა სხვაგან არ არსებობს. არც არანაირი სხვა სახელი არ  
მისცემა კაცობრიობას ცისქევშეთში, რომლის საშუალებითაც ჩვენ  
შევძლებდით ცხონებას.” (III) ყველა მრწამსი, ყველა რელიგია,  
რომელიც უარყოფს და არ აღიარებს ქრისტეს, როგორც  
“ხორციელად მოსულ ღმერთს”(IV), ადამიანური განსჯის ნაყოფსა  
და ბოროტის მანქანებას წარმოადგენს (V), რომელიც ღვთის  
ჭეშმარიტი შეცნობისა და ნათლობის საშუალებით ხელახალი  
დაბადებისკენ კი არა, წარსაწყმედელისაკენ მიაქანებს ადამიანებს.  
ჩვენ, როგორც ქრისტიანებს, რომლებსაც გვწამს წმინდა სამება,  
სხვა რელიგიებთან არ გვაკავშირებს საერთო ღმერთი, მათ შორის  
არც უგრეთ წოდებულ მონოთეისტურ (ერთღმერთიან) რელიგიებთან  
— იუდაიზმთან და ისლამთან, რომლებსაც არ სწამთ წმინდა სამების.

ორი ათასი წლის მანძილზე ქრისტეს მიერ დაარსებული და სულიწმიდით მართული ეკლესია უფლის მიერ ნაქადაგებ, წმინდა მოკიდებულთა მიერ გადმოკეთებულ და წმინდა მამების მიერ შემონახულ

და დაცულ მხსნელ ჭეშმარიტებაში მუდამ იდგა მტკიცებ და შეურყევლად. იგი პირველი საუკუნეების მანძილზე იუდეველთა და წარმართთა მხრიდან სასტიკი დევნის დროსაც კი არასდროს გატეხილა. ეკლესიამ შვა უამრავი მოწამე და ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოიღოდა. ამგვარად ამტკიცებდა იგი თავის ღვთაებრივ წარმომავლობას, რაზეც წმინდა იოანე ოქროპირი ასე ხატოვნად ბრძანებს: “არაფერია ეკლესიაზე უფრო ძლიერი თუ შენ კაცის წინააღმდეგ იბრძვი, შეიძლება დამარცხდე ან გაიმარჯვო, ხოლო თუ ეკლესის წინააღმდეგ იბრძვი, შეუძლებელია გაიმარჯვო, ვინაიდან ღმერთი ყველასა და ყველაფერზე ძლიერია”(VI).

დევნის დროებით შეწყვეტისა და გარე მტრებზე (იუდეველებზე, კერპთაყვანისმცემლებზე) მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ ეკლესიაში შიდა მტრები იწყებდნენ ხოლმე გამრავლება-გაძლიერებას. თავს წამოყოფნენ ხოლმე მრავალფეროვანი ერესები, რომლებიც ბედავდნენ და წმინდა მამების მიერ გადმოცემული სარწმუნოების დამახინჯების გზით აბნევდნენ მორწმუნებს, ასუსტებდნენ მათ რწმენას სახარებისა და მართლმადიდებლური ტრადიციების მიმართ. წმინდა ბასილი დიდი ეკლესიაში არსებული ვითარების აღწერისას, როდესაც მთელი 40 წლის მანძილზე თვით უმაღლეს იერარქებს შორისაც კი მძვინვარებდა არიოზის ერესი, – წერდა: “სრულიად უგულებელყოფილ იქნა წმ. მამათა დოგმები, განადგურებულია მოციქულთა მიერ დაწესებული ტრადიციები. ახლა ეკლესიაში შენიშვნება ახალგაზრდა სასულიერო პირთა მიერ შემოტანილი სიახლეები; ადამიანები ღვთისმეტყველების ნაცვლად მეცნიერული პოლევებით არიან დაკავებულნი; ამა სოფლის სიბრძნე გვერდს უვლის ჯვრის უპირატესობას. მწყემსები ჩანაცვლეს ცხვრის ტყავში გახვეული მგლებით, რომლებიც ქრისტეს სამწყსოს (ფარას) განაბნევენ (VII).

რაც შეემთხვა გარეშე მტრებს, იგივე დაემართა შიდასაც – ერესებს. ადგილობრივ და მსოფლიო კრებებზე სულიწმიდით გაბრძობილ მამათა სრული და ერთიანი შეთანხმებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც ეკლესიამ დაამტკიცა ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური სწავლება და მოახდინა მისი გამიჯვნა-დემარკაცია ყველა დანარჩენი სწავლებისაგან. ამიტომ, როდესაც ზედმიწევნით ვიცავთ წმ. მამათა სწავლებებს და არ

ვცვლით მათ მიერ დაწესებულ საზღვრებს, ჩვენ დაცულნი ვართ ცდომილებისაგან. გამონათქვამები: “წმინდა მამათა სწავლების თანახმად” და “ჩვენი მამების მიერ დაწესებული საზღვრების გადაულახავად” – წარმოადგენს მართლმადიდებლური მრწამისისა და ცხოვრების ურყევ წესს, პირდაპირ კურსსა და უსაფრთხოების რეგულატორს. შესაბამისად, ჩვენი აღმსარებლობის მთავარი პოზიცია შემდეგნაირია:

გ) ჩვენ უცვლელად და ხელშეუხებლად ვინარჩუნებთ ყველაფერს, რაც მსოფლიო კრებებისა და წმინდა მამების მიერ იქნა დადგენილი. ვაღიარებთ და ვიღებთ ყველაფერს, რასაც ისინი აღიარებდნენ და ვგმობთ ყველაფერს, რასაც წმინდა მამები გმობდნენ; უფრო მეტიც, ჩვენ თავს ვარიდებთ ყოველგვარ ურთიერთობას მრწამისის საკითხებზე სიახლეების შემოტანებთან. ჩვენ არ ვუმატებთ, არ ვაკლებთ და არც ვცვლით წმინდა სწავლებას. ღმერთშემოსილი ეგნატე ანტიოქიელი წმინდა პოლიკარპე სმირნელის მიმართ თავის ეპისტოლებში წერს: “ნებისმიერი, ვინც იმის საპირისპიროს ამბობს, რაც დადგენილ იქნა – მიუხედავად ამ პიროვნების სანდოობისა, მაშინაც კი, თუ ის მარხულობს, უქორწინებელია, და აღასრულებს წესებს – დაე, თქვენს თვალში იყოს ცხვრის ტყავში გადაცმული მგელი, ცხვრის ფარის წარწერების მოსურნე”. წმინდა იოანე ოქროპირი პავლე მოციქულის სიტყვების განმარტებისას: “თუ ვინმე გახარებთ სხვა რამეს, რაც არ გვიხარებია თქვენთვის, შეჩვენებულ იყავნ” – შენიშნავს, რომ მოციქულს ეს არ უთქვამს მხოლოდ მათ შესახებ, ვინც სახარებით ნაუწყების საპირისპიროს აცხადებს, ან თავდაცირა აყენებს ყველაფერს, არამედ თქვა იმათ შესახებაც, ვინც სულ მცირეოთ განსხვავებულს ახარებს მოციქულის მიერ ნახარებისაგან, ჩურჩულითაც კი რომ წარმოთქვან რამე, მაშინაც დაე შეჩვენებულ იყვნენო.” (VIII).

“იკონოკლასტების” (საეკლესიო ტრადიციებისა და კანონების მოწინააღმდეგეთა) წინააღმდევე მიღებული განჩინებისას მე-7 მსოფლიო კრება კონსტანტინოპოლის სამღვდელოებას სწერს: “ჩვენ ყოველთვის ვიცავდით საყოველთაო ეკლესიის ტრადიციებს და არასდროს მოგვიყლია ან მიგვიმატებია მისთვის რაიმე. მოციქულების შსგავსად

ჩვენც ვიცავთ, ვაღიარებთ და პატივს ვცემთ ყველაფერს, რაც წმინდა სამოციქულო ეკლესიაშ წერილობით თუ გადმოცემით მიიღო პირველ საუკუნეებში, ვინაიდან ეკლესია ვერასდროს შეეგუება მის წიაღში სიახლეების შემოტანის და რაიმეს გამოკლების მცდელობას. ამიტომ, სულიწმიდით განძრმნობილ მამათა კანონების თანახმად, ეკლესიაში ყველაფერი ჯეროვნად უნდა დავიცვათ, როგორც სიახლეების შემოტანისგან, ასევე რაიმეს გამოკლებისაგან”.

წმინდა მამებისა და კრებების კვალდაკვალ, ჩვენც უარვყოფთ და შევაჩვენებთ ეკლესის ისტორიის მანძილზე აღმოცენებულ ყველა ერესს. დღემდე შემორჩენილი ძველი ერესებიდან – ქალკედონის მე-4 მსოფლიო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების, წმინდა მამების უმრავლესობის (წმ. მაქსიმე აღმსარებელი, წმ. იოანე დამასკელი, ფოტი დიდი და სხვ.) სწავლებების თანახმად, ვემობთ არიანელობას (რომელიც შემორჩენილია იეღოვას (ცრუ მოწმეებში) და მონოფიზიტობას, რომელიც წარმოადგენს ევტიჩის უკიდურეს სახეს და სევეროსისა და დიოსკორეს უფრო ზომიერ ფორმას.

2. ჩვენ ვაცხადებთ, რომ პაპიზმი არის ერესებისა და ცოომილებების მშობელი. “ფილიოქვეს” სწავლება – რაც ნიშნავს სულიწმიდის გამომსალობას “და ძისაგან” – ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც ქრისტემ სულიწმიდის შესახებ გვასწავლა. კრებებზე დამსწრე მამებიდან ყველა ერთად და ცალ-ცალკე ერესად მიიჩნევენ პაპიზმს, ვინაიდან ფილიოქვეს გარდა, პაპიზმა უმრავ ცდომილებას დაუდო სათავე, როგორიცაა პაპის პრიმატი და უცომელობა, უფუარი წმიდით ზიარება, განსაწმენდელი, ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვა, ქმნილი მაღლი, ცოდვების პატივის ყიდვა (ინდულგინცია). პაპიზმა შეცვალა ნათლობასთან, საღვთო ევქარისტიასთან და სხვა წმ. საიდუმლოებებთან დაკავშირებული თითქმის ყველა სწავლება, პრაქტიკა და ეკლესია საერო სახელმწიფოდ გადაქცია.

შეუსაუკუნეებთან შედარებით თანამედროვე პაპიზმა უფრო შორს გადაუხვია საეკლესიო სწავლებიდან, ისეთ დონეზე, რომ იგი უკვე აღარ წარმოადგენს დასავლეთის ძველი ეკლესის გაგრძელებას. მან შემოიღო “მარიოლოგია”, მთელი რიგი გაზვადებული სწავლებები, როგორიცაა სწავლება ღვთისმშობლის მიერ კაცობრიობის ხსნის შესახებ. მან გააძლიერა პენტეკოსტალის “ქრიზმატული მოძრაობა”

(საგარაულოდ სულიწმინდაზე ორიენტირებული ჯგუფები). საღვთო ლიტურგიას პაპიზმა შემატა სიახლენი, როგორიცაა ცეკვები და მუსიკალური ინსტრუმენტები, რამაც შეამოკლა და ძირეულად გაანადგურა საღვთო მსახურება. ცნო რა მადლომოსილება სხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორისაც, ვატიკანის მეორე კრებაზე პაპიზმა საფუძველი დაუდო პან-რელიგიას ეკუმენიზმის ფარგლებში. დოგმასა და ზნეობრიობას შორის არსებული კავშირის გამო დოგმატურ მინიმალიზმს ზნეობრივი მოთხოვნების მინიმალიზაცია მოჰყვა, რომლის შედეგიც გახლდათ უმაღლეს იერარქთა ზნედაცემულობა და გადახრები, როგორიცაა პომოსექსუალობა და პედოფილია. პაპიზმი “უნიის” მხარდაჭერით – რომელიც წარმოადგენს მართლმადიდებლობის კარიკატურას, რითიც იგი აცდუნებს და თავის რჯულზე გადაჰყავს მორწმუნები – ხელს უშლის დიალოგის დაწყებას და ეწინააღმდეგება გაურთიანების შესაძლო გულწრფელ მიზნებს.

ვატიკანის მეორე კრების შემდეგ პაპიზმში შეინიშნებოდა რადიკალური ცვლილებები და გადახრები პროტესტანტიზმისკენ. თვით “ახალი საუკუნის” მრავალფეროვანი “სულიერი” მოძრაობებიც კი იქნა შემოღებული.

წმ. სეიმეონ თესალონიკელის თანახმად, პაპიზმა უფრო მეტი ზიანი მიაყენა ეკლესიას, ვიდრე ყველა ერესმა და სქიზმამ ერთად აღებულმა. ჩვენ, მართლმადიდებლებს, გვაქვს საერთო კავშირი სქიზმამდელ პაპებთან და წმინდანებადაც მოვიხსენიებთ ბევრ პაპს. სქიზმის შემდევდროინდელი პაპები კი ერეტიკოსები არიან; მათ შეწყვიტეს რომის ტახტის მემკვიდრეებად ყოფნა, აღარ გააჩნიათ სამოციქულო მემკვიდრეობა, ვინაიდან უკვე აღარ აქვთ წმ. მოციქულებისა და მამების მიერ ნაქადაგები სარწმუნოება. ამ მიზეზის გამოა, რომ ჩვენ არც-ერთ ასეთ პაპთან არ გვაქვს არათუ კავშირი, არამედ ერეტიკოსებს ვუწოდებთ მათ. “სულიწმიდის მიმართ მერქელობის გამო, რაც გამოიხატება ფილიოქვეს სწავლებაში, მათ ჩამოშორდათ სულიწმიდა. ამიტომ ყველა მათი სწავლება და საქმე მოკლებულია მის მადლს. არც-ერთი მათი საიდუმლო არ არის ნამდვილი. წმინდა სვიმეონის განმარტებით: “ვინაიდან სიახლეების შემომტანნი მერქელობებ და სულიწმიდისაგან შორს არიან, ყველა მათი მსახურება მოკლებულია მადლს, იმდენად,

რამდენადაც მათ შებლალეს და დაამცირეს სულიწმიდის მადლი და იმის გამო, რომ ყველაფერი ახალი, შეცვლილი და საღვთო ტრადიციის საწინააღმდეგო შემოიღეს, აღარაფერი სულიერი აღარ შემორჩათ. აი, რატომ აღარ არის მათ შორის სულიწმიდა”.

3. იგივე და უფრო მეტიც შეიძლება ითქვას პროტესტანტიზმზე, რომელმაც, როგორც პაპიზმის შთამომავალმა, ბევრი ერესი მიიღო მექვიდრეობით, და თავის მხრივ დაუმატა კიდეც მრავალი. ან უარყო ტრადიცია, აღიარებს მხოლოდ წმინდა ბიბლიას (Sola Scripta), რომელსაც, სხვათა შორის, მცდარად განმარტავს; გააუქმა სამღვდელოება, როგორც განსაკუთრებული საიდუმლო მადლის მქონე, ასევე უარყოფს წმინდანებისა და წმინდა ხატების თაყვანისცემას; ლანბლავს და აუგად იხსენიებს წმინდა ღვთისმშობლის პიროვნებას, უარყოფილი აქვს მონასტრული ცხოვრება, წმინდა საიდუმლოთაგან აღიარებს მხოლოდ ნათლობას და საღვთო ევქარისტიას (ზიარებას), მათშიც შეცვლილი აქვს ეკლესიის სწავლება და პრაქტიკა. იგი ასწავლის წმინდა ბედისწერისა (კალვინიზმი) და მხოლოდ რწმენის შესაბამისად გამართლების შესახებ. უფრო მეტიც, მისმა უფრო “პროგრესულად” მოაზროვნე ნაწილმა მღვდლობის ნება დართო ქალებსაც და შემოიღო ჰომისექსუალისტებს შორის ქორწინება – რომლებსაც ასევე იღებენ სამღვდელოებაშიც. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მას არ გააჩნია ეკლესიოლოგია (საეკლესიო სწავლება), ვინაიდნ ეკლესიის ცნება, როგორც მართლმადიდებლური ტრადიცია, მათვის არ არსებობს.

4. ერთადერთი გზა, რითიც შეიძლება აღდგეს ერეტიკოსებთან ჩვენი კავშირი, არის მათ მიერ საკუთარი ცდომილების უარყოფა და მონანიება იმისათვის, რომ დამყარდეს ჭეშმარიტი ერთობა და შშვიდობა, ერთობა ჭეშმარიტებაში და არა ცდომილებასა და ერესებში. რაც შეეხება ეკლესიაში ერეტიკოსთა გაერთიანებას, კანონიკური სამართალი მოითხოვს, რომ ისინი მიღებულ იქნან მხოლოდ და მხოლოდ ნათლობის შემდეგ. ეკლესიის გარეთ არა მართლმადიდებელი მღვდლის მიერ საგანგებოდ ნაკურთხ წყალში სამგზის შთაფვლის გარეშე აღსრულებული მათი „ნათლობა“ არანაირად არ წარმოადგენს ნათლობას. იგი მოკლებულია

სულიწმიდის მადლს (რომელიც აღარ მოქმედებს სქიზმებსა და ერესებში) და ამდენად, ჩვენ არაფერი გვაკავშირებს მათთან, როგორც ამაზე წმ. ბასილი დიდიც მიგვითითებს: “რაც შეეხება მათ, ვინც ჩამოშორდა ეკლესიას, მათზე აღარ მოქმედებს სულიწმიდის მადლი. ვინც შეწყვიტა (სამოციქულო) მეტკვიდრეობა, მათზე აღარ გადმოდის იგი რაც შეეხება მათ, ვინც გატეხა ფიცი და გახდა ერისკაცი, მათ აღარ გააჩნიათ არც ნათლობის უფლება, არც ხელდასხმით კურთხევა, ვინაიდან მათთან აღარ იმყოფება სულიწმიდის მადლი, მადლი, რომლისგანაც ისინი ჩამოშორებულ იქნენ”.

აი, რატომაა უსაფუძვლო და რატომ კიდია ჰაერში ეკუმენისტთა ახალი მცდელობა – ჩამოაყალიბონ ახალი შეთანხმება, თითქოს ჩვენ და ერეტიკოსებს გვქონდეს საერთო ნათლობა. როგორც ამტკიცებენ კიდეც, რომ შესაძლებელია ეკლესიის ერთიანობის ხელშეწყობა არარსებული ნათლობის კავშირით, რომელიც ვითომდა ყველგან არსებობს, სადაც კი ნათლობა აღესრულება. ეკლესიაში შესვლა და მისი წევრობა შესაძლებელია არა ნებისმიერი ნათლობით, არამედ მხოლოდ ეკლესიაში მღვდლად ნაკურთხი სასულიერო პირების მიერ შესრულებული ერთადერთი, უცვლელი ნათლობის საიდუმლოთი.

5. ვიდრე ერეტიკოსები აგრძელებენ საკუთარ ცდომილებაში დარჩენას, ჩვენ თავს ვარიდებთ მათთან კავშირს, განსაკუთრებით კი მათთან ერთად საერთო ლოცვაზე დასწრებას. წმინდა კანონქბი მთელი თავისი სისაგსით კრძალავენ არა მარტო საერთო ღვთისმსახურებასა და ტაძრის შიგნით საერთო ლოცვას, არამედ თვით სახლებში ან სხვა ადგილებში ყოველდღიური ლოცვების ერთად წაკითხვასაც. ეკლესიის მკაცრი დამოკიდებულება ერეტიკოსთა მიმართ გამომდინარეობს ჭეშმარიტი სიყვარულიდან, მათი გადარჩენის გულწრფელი ინტერესიდან და ეკლესიის დედობრივი მზრუნველობიდან იმისათვის, რომ ერესების მიერ მისი ერთგული მორწმუნები არ იქნენ წარწყმედილნი. ვისაც უყვარს მოყვასი, იგი ამხელს მას ჭეშმარიტებით და არ ტოვებს მას ცდომილებაში. სხვა შემთხვევაში, ნებისმიერი სიყვარული და შეთანხმება მხოლოდ ფარისევლობა და სიცრუე იქნება. არსებობს ასეთი გამონათქვაში – კარგი ომი და ცუდი მშვიდობა. „სანაქებო ომი აღემატება იმ

მშვიდობას, რომელიც აშორებს ადამიანს ღმერთისგან”, – წერს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. წმინდა იოანე ოქროპირი კი გვირჩევს: „თუ ხედავ, რომ ღვთისმოშიშება წამხდარია (დაკარგულია), ჰარმონიას კი ნუ არჩევ ჭეშმარიტებას, არამედ მედგრად იდექი სიკვდილამდე, არსად არ უღალატო ჭეშმარიტებას.” სხვაგან იგი უფრო მეტი ემფატურობით დასძენს: “არ მიიღო არანაირი მცდარი დოგმა, რომელსაც გააჩნია სიყვარულის საბაზი.” ლათინთა წინააღმდევ მამების ამ პოზიციას ითვლისწინებდა მართლმადიდებლური მრწამსის უდიდესი დამცველი და აღმსარებელი წმ. მარკოზ ეფესელი, რომელმაც ფლორენციაში თავისი აღმსარებლობა შემდეგი სიტყვებით დაასკვნა: “ეკლესიის ყველა მასწავლებელი, ყველა კრება და ყველა საღვთო წერილი მოგვიწოდებს შორს დავდგეთ მათგან, ვისაც სხვა მრწამსი გააჩნია და თავი შევიკავოთ მათთან კავშირისაგან. ან რატომ უნდა ვცე მე მათ პატივი? ავყვე მათ, ვინც ყალბი მშვიდობის საბაბით ისწრაფვის ერთიანობისკენ? მათ, ვინც გააყალბა სარწმუნოების წმინდა სიმბოლო (მრწამსი) და აღიარებს სულიწმიდის გამომავლობას ძისაგნ?... დაე, ეს ნურასოდეს მოხდება, ო, სახიერო ნუგეშინისმცემელო! დაე, არასოდეს არ გადავუხვიო ჩემი სარწმუნოებიდან, არამედ შენი სწავლებისა და შენ მიერ შთაგონებული წმინდა და ნეტარი მამების სწავლათა დაცვით, და ჩემი ღვთისმოსაობით მეც შევუერთდე მათ რიგებს.

6. მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე ეკლესია მყარად და უცვლელად ინარჩუნებდა ყველა ერესის მიმართ უარყოფით და დამგმობ პოზიციას, რაც ნათლადაა ჩამოყალიბებული “მართლმადიდებლობის ზეიმის” ღვთისმსახურებაში, რომლის დროსაც ხდებოდა ყველა ერესის და ერეტიკოსის ცალ-ცალკე შეჩვენება, უფრო მეტიც, იმაში დასარწმუნებლად, რომ არავინ გამორჩა ანათემას, ტექსტის ბოლოს დართულია საზოგადო ანათემა: “დაე, ყველა ერეტიკოსი შეჩვენებულ იყოს.”

საუბედუროდ, ეკლესიის ეს ერთიანი, მდგრადი და ურყევი პოზიცია, რომელიც მას გააჩნდა მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, თანდათანობით უგულებელყოფილ იქნა 1920 წელს კონსტანტინოპოლის (მსოფლიო) საპატრიარქოს მიერ გამოცემული ეპისტოლეს შედეგად.

ამ ეპისტოლეში, სათაურით „ქრისტეს ყველა ეკლესიას”, ერესები პირველად იყო ოფიციალურად მოხსენიებული ეკლესიებად, როგორც ეკლესიიდნ გაუცხოვებულნი კი არა, არამედ, როგორც კვლავ მასთან დაკავშირებულნი. მიმართვა რეკომენდაციას იძლეოდა, რომ „პირველ ყოვლისა ეკლესიებს შორის სიყვარული უნდა გამოცოცხლდეს და გაძლიერდეს, და აღარასოდეს განვიხილავდეთ ერთიმეორეს უცხოდ და შორეულად, არამედ უფრო ახლობელად და ქრისტესთან კავშირში მყოფად, და ქრისტეში ღვთის აღქმის თანამემკვიდრეებად” (იხ. I კარმირისი, „მართლმადიდებლური მსოფლიო ეკლესიის დოგმატური და სიმბოლური ძეგლები“ ტომ2, გვ.9 58).

ახლა გზა ხსნილია მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ჯერ პროტესტანტული სიახლის შემოტანით და შემდეგ პაპის აღიარებით – ეკუმენიზმის ერესის მიღების, ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის. ეს პან-ერესია, რომელიც აღიარებს და ახდენს ყველა ერესის, როგორც „ეკლესიების” ლეგალიზებას და შეურაცხყოფს დოგმატურ სწავლებას ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის შესახებ. ახლა პატრიარქებისა და ეპისკოპოსების მიერ განვითარებულ და თავსმოხვეულ იქნა ახალი დოგმა ეკლესიის შესახებ, ახალი საეკლესიო სწავლება. რომლის თანახმად, არც ერთ ეკლესიას არა აქვს უფლება თავი გამოაცხადოს, როგორც ექსკლუზიურად საყოველთაო და ჭეშმარიტმა ეკლესიამ. არამედ, თითოეული მათგანი წარმოადგენს ნაწილს და არა მთლიან ეკლესიას. ყველა მათგანი კი ერთად შეაღენს ეკლესიას.

მამათა მიერ დაწესებული ყველა საზღვარი მორღვეულია. აღარ არსებობს ერესებსა და ეკლესიას, ჭეშმარიტებასა და ცდომილებას შორის არსებული გამყოფი ზღვარი. თვით ერესები ახლა უკვე „ეკლესიებად” იწოდება. აქტურად, ბევრი მათგანი – ისევე როგორც პაპიზმი – განიხილება, როგორც „და ეკლესიები”, რომელსაც ღმერთმა ჩვენთან ერთად კაცობრიობის ხსნა მიანდო.

ახლა სულიწმიდის მადლი არსებობს ერესებში და ამდენად მათი ნათლობები – როგორც სხვა ყველა მათი „წმინდა საიდუმლოებანი” ჭეშმარიტად ითვლება. ნებისმიერი ერესის მიმდევარი მათი წესებით ჩატარებული ნათლობით მიიჩნევა ქრისტეს სხეულის, ეკლესიის წევრად. ქრებების მიერ დადგენილი ანათემები ახლა ძალადაკარგულია და უნდა ითქვას ამოშლილი საღვთისმსახურო

წიგნებიდან. ჩვენ ახლა ჩათრეულნი ვართ “ეკლესიების მსოფლიო საბჭოში”, სადაც თვით ჩვენი მონაწილეობის უფლების მიღებითაც კი არსებითად ვუდალატეთ საკუთარ ეკლესიურ თვითშეგნებას. ჩვენ უკუვაგდეთ, უარყოფით სწავლება ერთი, წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის შესახებ, „ერთი ღმერთის, ერთი მრწამსის, ერთი ნათლობის შესახებ”.

7. ეს ქრისტიანთაშორისი სინკრეტიზმი ახლა გადაიზარდა რელიგიათა შორის სინკრეტიზმში, რომელიც ათანაბრებს ყველა სხვა რელიგიას – ერთადერთ, ღვთივგამოცხადებულ, ქრისტეს საშუალებით ღვთის თაყვანისცემის, ღვთის შეცნობისა და ქრისტეს მსგავსი ცხოვრების წესთან. შესაბამისად, თავდასხმა ხორციელდება ერქესების შესახებ ერთი, წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის დოგმატურ სწავლებაზე, რომელიც ასევე წარმოადგენს იესო ქრისტეს გამოცხადებისა და მხოლოდ მის მიერ კაცობრიობის გადარჩენის ძირითად დოგმატურ სწავლებას. ეს არის ყველაზე უარესი წარმოსახვითი ცდომილება, ყველა საუკუნის უდიდესი ერესი.

8. ჩვენ გვწამს და ვაღიარებთ, რომ ზსნა შესაძლებელია მხოლოდ ქრისტეში. მსოფლიოს რელიგიები და ერქესები მხოლოდ დაღუპვისკენ მიუძღვინ თავიანთ მიმდევრებს. მართლმადიდებელი ეკლესია არა მარტო ჭეშმარიტი ეკლესიაა, არამედ იგია ერთადერთი ეკლესია. მხოლოდ ის დარჩა ერთგული სახარების, მსოფლიო კრებებისა და წმინდა მამათა გადმოცემებისა. და შესაბამისად, მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს ქრისტეს ჭეშმარიტ საყოველთაო (მსოფლიო) ეკლესიას. ნეტარი მამის იუსტინე პოპოვიჩის თანახმად, უკუმენიზმი დასავლეთ ევროპის ფსევდო ეკლესიათა საერთო სახელია, მათი საერთო სახელი ფაქტობრივად „პან-ერესია”.

ეს პან-ერესი მიღებულ და აღიარებულ იქნა ბევრი მართლმადიდებელი პატრიარქის, ეპისკოპოსის, სამღვდელოების, ბერებისა და ერისკაცობა მიერ. ისინი ასწავლიან და “უსინდისოდ” ქადაგებენ მას; ისინი ამ პან-ერესს პრაქტიკაში ახორციელებენ, კავშირს ამყარებენ ერეტიკოსებთან ყველა შესაძლო გზით – საერთო ლოცვებით, ურთიერთსტუმრობით, სასოფლო-სამეურნეო

ურთერთთანამშრომლობით. ამგვარად საკუთარ თავს ექლესიის გარეთ ტოვებენ. ჩვენი პოზიცია მსოფლიო კრებებზე მიღებული კანონიკური გადაწყვეტილებებიდან და წმინდანთა მაგალითებიდან ცხადად ჩანს. ახლა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იკისროს საკუთარი პასუხისმგებლობა.

9. რა თქმა უნდა, არსებობს საერთო კოლექტიური პასუხისმგებლობებიც; ძირითადად, ჩვენი იერარქები და თეოლოგები თავიანთი ეკუმენისტური ცნობიერების გამო, — ყველა ერთად, — პასუხისმგებელნი არიან მართლმადიდებელი საზოგადოებისა და მათი პირადი სამწყსოების წინაშე. მათ ჩვენ დვთის შიშითა და სიყვარულით ვუცხადეთ, რომ მათი პოზიცია და გახსნილობა ყველა ეკუმენური საქმიანობის მიმართ დასაგმობია ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ვინაიდან:

- ა) მათ პრაქტიკულად ეჭვი შეაქვთ ჩვენ მართლმადიდებლურ-პატრისტიკულ ტრადიციებსა და მრწამსში;
- ბ) ისინი ეჭვის მარცვალს თესავენ თავიანთი სამწყსოს გულებში და ხელს უწყობდნენ ბევრი მათგანის კალაპოტიდან ამოვარდნას (სიმშეიდეს ურღვევენ), და ამგვარად საქმე მიჰყავთ განხეთქილებისა და სქიზმისაკენ;
- გ) ისინი მიუძღვიან თავიანთ სამწყსოს ცდომილებისაკენ და მისი საშუალებით, სულიერი წარწყმედისაკენ.

ამიტომ, ჩვენ ვაცხადეთ, რომ მთი პოზიცია დაგმობლი და უარყოფილ უნდა იქნეს იერარქებისა და მთელი მორწმუნე მრევლის მიერ.

ზემოთმოყვანილ სარწმუნოებრივ აღსარებას ხელი მოაწერეს შემდეგმა პირებმა (მას მოაწერეს და კიდევ მრავალი მოაწერს ხელს):

- ნათანაილი — მიტროპოლიტი ნეიროკოპიისა (ბულგარეთი)
- პანტელეიმონი — მიტროპოლიტი ანტინეოსისა
- სერაფიმე — მიტროპოლიტი ქისირასა და ანტიკისირასი
- კოსმა — მიტროპოლიტი ეტოლისა და აკარნანიისა
- სერაფიმე — მიტროპოლიტი პირეისა
- იერემია — მიტროპოლიტი გორგინოსისა და მეგალოპოლისისა,
- ათენის უნივერსიტეტის თეოლოგიის სკოლის პროფესორი
- არტემი — მიტროპოლიტი რაშკასა და პრიზრენის, კოსოვოსა და მეტოხიის.

ეპისკოპოსი გიორგი – ვირჯინია  
მტავარეპისკოპოსი ნიკიფორე  
არქიმანდრიტი ქრისტოდულოსი, კოტლომუსის წმინდა მონასტრის  
წინამძღვარი, ათონის წმინდა მთა.  
არქიმანდრიტი იოსები, ქსეროპოტამუს წმინდა მონასტრის  
წინამძღვარი, ათონის წმინდა მთა.  
არქიმანდრიტი ფილოთეუსი, კარაკალუს წმინდა მონასტრის  
წინამძღვარი, ათონის წმინდა მთა.  
არქიმანდრიტი აგათონი, კონსტამონიტუს წმინდა მონასტრის  
წინამძღვარი, ათონის წმინდა მთა.  
არქიმანდრიტი ნიკოდიმოსი, ფილოთეოს მონ., ათონის წმ. მთა  
არქიმანდრიტი ამბროსი, ზოგრაფის მონასტერი, ათონის წმ. მთა  
პროტოპრესვიტერი გიორგი მეტალინოსი, თეოლოგიის სკოლის  
პროფესორი, ათენის უნივერსიტეტი  
პროტოპრესვიტერი თეოდორე ზისისი, თეოლოგიის სკოლის  
პროფესორი, თესალონიკის უნივერსიტეტი  
არქიმანდრიტი მარკოს მანოლისი, “პან-ელინური მართლმადიდებლური  
კავშირის” სულიერი ხელმძღვანელი  
არქიმანდრიტი ათანასე, სტავროგუნის წმინდა მონასტრის წინამძღვარი,  
კვიპროსი  
არქიმანდრიტი ტიმოთე საკასი, პარაკლიტეს წმინდა მონასტრის  
წინამძღვარი, ოროფოსი  
არქიმანდრიტი კირილე კეპაგიოგლუ, პანტოკრატოს წმინდა  
მონასტრის წინამძღვარი, მელისორუ ლანგადა და ბევრი სხვა  
მკითხველებს შეუძლიათ იხილონ მუდმივად განახლებადი  
ხელმოწერების სია ბერძნულ ენაზე:

<http://www.impantokratoros.gr/ABF82395.el.aspx>

ტექსტში არსებული მითითებები:

[I] იხილეთ კონსტანტინოპოლის პატრიარქის, გენადი II-ის ეპისტოლა:  
„კაცობრიობის ხსნის ერთადერთი გზის შესახებ”, გიორგი  
აკადემიკოსის მიმართ “სრული შემორჩენილი ნაწერები – „Oevres  
Complètes de Georges Scholarios” ტომ.I-VII, პარიზი 1928-1936,  
გამოც.L.petiti-x. saidridesi-m.iugi, ტომ.III, 434-452.

[II] იოანე 8:12, იოანე 3:19

[III] საქმე მოც. 4:14

---

[IV] იოანე 4:2-3

[V] იხილეთ წმინდა კოსმა ეტოლიელის სწავლებანი, I, მენუნოსის მიხედვით: „კოსმა ეტოლიელის სწავლებანი და ბიოგრაფია“, ტიონსის გამოცემა, ათენი, სწავლება ა1, 37, გვ. 142: „ყველა რელიგია მცდარია, ყალბი, ყველა მათგანი ეშმაკის მოძღვრებაა. მე მიგხვდი და მეამაყება, რომ ღვთისმოსავი და მართლმადიდებელი ქრისტიანების მრწამსი ნამდვილი, ღვთაებრივი, სწორი, უტყუარი, სრულყოფილი და წმინდაა, რომ ჩვენ უნდა ვიწამოთ იგი და მოვინათლოთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

[VI] ქადაგება გადასახლებამდე”<sup>1</sup>, 33, 186.

[VII] ეპისტოლე 90, „უწმინდეს ძმებსა და ეპისკოპოსებს დასვლეთში“ 2, 2, 20

[VIII] გალატელთა. 1, 9. გალატელთა მიმართ ქადაგება, თავი 1, გვ. 61, 624.

[IX] მანსი, 13, 409-412.

[X] ზნეობრივი თავაშვებულობას და დაცემულობას თვით სასულეირო პირთა შორისაც მე-15 საუკუნის დასაწყისიდანვე შენიშნავდა წმინდა სვიმონ თესალონიკელი (იხ. სვიმონ თესალონიკელის დოგმატური ეპისტოლე 16, ბალფურში, 1416/17-1429) „თეოლოგიური ნაშრომები, ცნობათა ნაწყვეტები 34, თესალონიკი 1981, გვ.218“: და უფრო მეტიც, ისინი საერთოდ არაფრად მიიჩნევენ იმას, რომ მრუშობის შედეგად ჯოჯონეთში აღმოჩნდებიან. მათ შორის არიან სასულეირო პირები, რომელთაც ჰყავთ საყვარლები და ახალგაზრდები ვნებების დასაქმაყოფილებლად (მრუშობისათვის) და მიუხედავად ამისა, მაინც უსინდისოდ ყოვლედლიურად აღასრულებენ ღვთისმსახურებას“. იქვე, 15, გვ 216: „ისინი ასევე არ მისდევენ სახარებისეული ცხოვრების წესს; ვინაიდან ფუფუნებისა და მრუშობის არანაირ ფორმას არ თვლიან საძრახისად, და საერთოდ, რაც ქრისტიანებს ეკრძალებათ, არაფერს არ ერიდებიან“. ის ზნედაცემულობა, რომელიც ბოლო დროს შეინიშნება თვით მართლმადიდებელ სამღვდელოებას შორისაც კი, წარმოადგენს სწორედ რომ ეკუმენიზმის ლიბერალიზმისა და სეკულარიზმის (გაერისკაცება) ნაყოფს (შედეგს).

[XI] დიალოგი 23, გვ. 155, 120-121. ეპისტოლე ნეტარების შესახებ, არქიეპისკოპოსი სვიმეონ თესალონიკელი (1416/17-1429)

„თეოლოგიური ნაშრომები, ვლატადეს ცნობათა ნაწყვეტები 34, თესალონიკი 1981, გვ:226.

[XII] ეპისტოლე კანონიკის შესახებ ა, ამფილოქვე იკონიელის მიმართ, კანონი ა.

[XIII] 2006 წელს ბრაზილიაში, პორტო ალეგრეში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა მე-9 საყოველთაო კონვენცია სათაურით “წოდებული ვართ, რომ ვიყოთ ერთი ეკლესია”, მიღებულ და ალიარებულ იქნა მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ. ამ კონვენციის ტექსტის მე-8 აბზაცში ვკითხულობთ: “ქრისტეში მონათლული ყველა ადამიანი გაერთიანებულია მის სახელში”. მე-9 აბზაცში კი: “ის, რომ ჩვენ ყველანი ზოგადად ქრისტეს მივეკუთვნებით მამის, ძის, და სული წმინდის სახელით ნათლობის შედეგად, ეკლესიებს აძლევს შესაძლებლობას და მოუხმობს ერთად სვლისაკენ, მაშინაც კი, თუ ისინი არ ეთანხმებიან ერთმანეთს. ჩვენ გარწმუნებთ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ნათლობა, ზუსტად ისევე, როგორც არსებობს ერთი სხეული და ერთი სული, ერთი იმდინ. ერთი უფალი, ერთი სარწმუნოება, ერთი ღმერთი და მამა ყველა ჩვენგანისთვის (იხ: ეფესელთა: 4:4-6). პერგამოს მიტროპოლიტმა იოანემ (ზიზულასი) თავის ნაშრომში “მართლმადიდებლური სწავლება ეკლესიის შესახებ და ეკუმენური მოძრაობა”, სუროეის ეპარქიის ჟურნალმა (ინგლისი, 1985 წლის აგვისტო, ტომ 21, გვ 23) გაუკვალეს გზა ამგვარ პოზიციას შემდეგი განცხადებით, რომ: “ნათლობის საშუალებით, მაშინაც კი, როცა ადგილი აქვს გაყოფას, განხეთქილებას, სქიზმას, კვლავ შესაძლებელია ეკლესიის სახელით ლაპარაკი. ჩემი გაგებით, მართლმადიდებლები ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ, როგორც მონათლული ქრისტიანების მოძრაობა, რომლებიც განხეთქილებაში იმყოფებიან, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ ერთად გამოხსატონ საერთო მრწამსი. წარსულში ეს ხდებოდა სიყვარულის ნაკლებობის გამო, რომელიც ახლა დავთის წყალობით ნელნელა ქრება.

[XIV] აპოლოგეტიკა პონტოში გამგზავრების შესახებ 82, 1, 176.

[XV] რომაელთა მიმართ, პომილია 22, 2 გვ. 60, 611.  
ფილიპელთა მიმართ, პომილია 2, 1, გვ.62, 119.

- 
- [XVI] ფლორენციაში სარწმონოების აღიარება, დოკუმენტებში, რომელიც ეხება ფლორენციაში გამართულ კრებას, მარკოზ ეფესელი პარ .პეტიტ, აღმოსავლეთის პატროლოგია 17, 442.
- [XVII] იხ. პაპ იოანე-პავლე II-ისა და პატრიარქ ბართოლმეუსის ერთობლივი განცხადება, უკანასკნელის ვიზიტის დროს რომში 29 ივნისს, 1995 წელს. იგივე განცხადება იქნა გაკეთებული უფრო ადრე 1993 წელს ლიბანში, ბალამანდში მოწვეულ გაერთიანებულ საღვთისმეტყველო კომისიაზე, რომელიც მიეძღვნა მართლმადიდებლებსა და პაპისტებს შორის დიალოგს.
- [XVIII] ეფესელთ მიმართ 4:5
- [XIX] არქიმანდრიტი იუსტინე პოპოვიჩი, მართლმადიდებლური ეპლესია და ეკუმენიზმი, ოქსალონიკი 1974, გვ.224 თარგმანი მოგვაწოდა ქ-ნმა ნათია არიშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

### თავი III

**VIII მსოფლიო კრება – განდგომილების, ავაზაკთა კრება**

#### 1. შესავალი

მსოფლიო მართლმადიდებლობა შეშფოთებით ადევნებს თვალს მართლმადიდებელთა „მსოფლიო კრებისათვის“ მზადებას. განგაშის წერილები იწერება მრავალ ადგილობრივ ეკლესიაში (იხ. დანართი), რასაც ჩვენც ვუერთებთ ჩვენს ხმას. თუ რა იწვევს ჩვენს შეშფოთებას, ამის შესახებ რამდენადმე დეტალურად გადმოვცით ქვემოთ, კომენტარებში. აქ კი მოკლედ შევეხებით შემდეგს: მსოფლიო კრების მოსამაგრებელი კომისიის თავმჯდომარებ, პერგამოს მიტროპოლიტმა იოანემ (ზიზიულასი) მსოფლიო კრების გამართვის „აუცილებლობის“ შემდეგი მიზეზები დაასახელა:

- კრების მოწვევა მართლმადიდებელი ეკლესიის კრებსითობის პრინციპიდიდან გამომდინარე;
- ღმრთის ხალხის მოთხოვნა;
- არამართლმადიდებელთა მხრიდან მართლმადიდებელი ეკლესიის გაკიცხვა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი უუნარობ მოიწვიოს სრულიად მართლმადიდებელთა კრება მსოფლიო კრების სახით;
- რიგი შიდასაეკლესიო საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა.

ყველა ამ დასახელებულ მოტივს, სინამდვილეში, არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია. პირველი, მეორე და მესამე აშკარად გამოგონილი და ხელოვნური ხასიათისაა. მეტიც, იმის მტკიცება, რომ მსოფლიო კრებას ღმრთის ხალხი სულმოუთქმელად ელის, აშკარა ტყუილია, რადგან სწორედ ერისა და კლიროსის მიერაა მტკიცედ გაცნობიერებული, რომ კრება განდგომილებისა იქნება (ე.წ. „ავაზაკთა კრება“). თანდგომილებად მისი სახელდება რომ არც თუ უსაფუძვლოა, დავრწმუნდებით, თუ განვიხილავთ საკითხთა იმ წრეს, რომელიც განხილული იქნება მსოფლიო კრებაზე:

1. მართლმადიდებლური დიასპორა. მართლმადიდებლური გაერთიანებების იურისდიქციის განსაზღვრა ეროვნულ

- საზღვრებს გარეთ; „დღეს არსებული კანონებით –  
გვიხსნის პატრიარქი ბართლომე – თავის სამშობლოს  
გარეთ მყოფი მორწმუნები უნდა ეკუთვნოდნენ  
მსოფლიო პატრიარქის იურისდიქციას“;
2. საეკლესიო ავტოკეფალიის სტატუსის ცნობის  
პროცედურა;
  3. საეკლესიო ავტონომიის სტატუსის ცნობის პროცედურა;
  4. დიპუტიზ. მართლმადიდებლური ეკლესიების კანონიკური  
ურთიერთცნობის წესები;
  5. დღესასწაულების საერთო კალენდრის დადგენა;
  6. წესები და წინააღმდეგობები ქორწინების საიდუმლოს  
შესრულებისათვის;
  7. მარხვის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში;
  8. სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან კავშირის საკითხები;
  9. ეკუმენისტური მოძრაობა;
  10. მართლმადიდებლობის წვლილი ქრისტიანული  
იდეალების – მშვიდობის, მმობისა და თავისუფლების –  
განმტკიცების საქმეში.

ის, თუ რა იგულისხმება ამ საკითხებში, უკვე ცნობილი გახდა  
(მაგალითად, ერთიანი კალენდრისა და ახალი პასქალიის შემოღება,  
კლირიკოსებისათვის განმეორებითი ქორწინების ნებართვის დადგენა  
და სხვა).

საკუსტო ცხადია, რომ „კრება“, თუ შედგა, არ იქნება მსოფლიო,  
რადგან მსოფლიო კრების ბუნება, მისი მოწვევის კანონიკური  
წინაპირობები და განსახილველ საკითხთა რანგი სრულიად  
განსხვავებულია. შხოლოდ გარენული მხარე, ანუ მართლმადიდებელი  
ეკლესიის ეპისკოპატის მოწვევა დიდი რაოდენობით არ ნიშნავს,  
რომ ეს კრება თავისი არსით მსოფლიოა და მისი გადაწყვეტილებები  
სავალდებულო ხასიათისაა. მსოფლიობისათვის, უპარველეს  
ყოვლისა, უნდა შეფასდეს კრებაზე წარმოდგენილი საკითხები და  
დადგინდეს მიღებული გადაწყვეტილებების ჭეშმარიტებასთან  
შესაბამისობის ხარისხი.

კრება არც მართლმადიდებლური იქნება, რადგან დარღვეულია  
მემკვიდრეობითობის პრინციპი, – დაგეგმილი კრება აშკარად  
რეფორმატორული ხასიათისაა და მიზნად ისახავს არა წინამორბედ

კრებათა დადგენილებების განმტკიცებას, არამედ მათ შეცვლას, მსოფლიო კრებათა სულისკვეთების საწინააღმდეგო რეფორმებს (პასქალიისა და კალენდრის, სასულიერო პირების მეორედ ქორწინების, მარხვების შემცირებისა და შესუსტების, კონფესიათა და რელიგიათა შორის დიალოგის, ერთობლივი ლოცვების, ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობისა და სხვა მიმართულებით).

თვით დიასპორის საკითხი, რომელსაც მსოფლიო საპატრიარქო განიხილავს როგორც „ახალ მოვლენას მართლმადიდებელი ეკლესიისათვის“, ასევე გამოგონილი პრობლემაა. მსოფლიო საპატრიარქოს მისწრაფება, გადაწყვიტოს ხელოვნურად შექმნილი ეს პრობლემა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ იგი დაავადებულია კოსმოპოლიტიზმის სულით. შესაძლოა ეს სიტყვები რამდენადმე მკვეთრია, სამაგიეროდ ზუსტად გამოხატავს კონსტანტინოპოლის დღევანდელ საეკლესიო ამბიციებს. დიასპორის საკითხი, მაშინაც კი, თუკი იგი იარსებებდა როგორც პრობლემა, სრულებითაც არ მოითხოვს მის განხილვას უმაღლეს საეკლესიო დონეზე. ბევრი საკითხი, თუნდაც კანონიკური რიგისა, სავსებით შეიძლება განიხილებოდეს ეკლესიათა წარმომადგენლებს შორის მიმოწერის დონეზე, რომელთა პოზიციები საგანგებოდ იქნებოდა მომზადებული კანონიკური სამართლისა და სარწმუნოების საკითხთა სპეციალური კომისიის მიერ ყოველ ავტოკეფალურ ეკლესიაში.

ამგვარად, თუ გადავხედავთ განსახილველად შემოთავაზებულ საკითხებს და შევაფასებთ მათი განხილვის ხერხებსა და პრინციპებს, მივხვდებით, თუ როგორი საფრთხის ქვეშ ვაყენებთ ჩვენ ჩვენს ეკლესიას, თუკი მონაწილეობას მივიღებთ მსოფლიო კრების მომზადებასა და ჩატარებაში. ასეთი კრების გადაწყვეტილებებს არ მიიღებს ეკლესიის სისავსე, მოხდება დაპირისპირება დამყოლ იერარქიასთან, შეიქმნება დაპირისპირებული დაჯგუფები.

ჩვენს ამ შესავალს ვასრულებთ ლირსი იუსტინეს (პოპოვიჩი) სიტყვებით: „ჩემი სინდისი მაიძულებს ისევ მივმართო ვედრებით სერბეთის მოწამებრივი ეკლესიის წმიდა სინოდს: დაე, ჩვენმა ეკლესიამ თავი შეიკავოს ე.წ. სრულიად მართლმადიდებელთა კრების მომზადების საქმეში და თავად მასში მონაწილეობისგან. რადგან, თუკი, ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი კრება ჩატარდება, მისგან მხოლოდ ერთს უნდა მოველოდეთ:

განხეთქილებებს, მწვალებლობებსა და მრავალი სულის დაღუპვას. და ეკლესიის ისტორიული სამოციქული-წმიდამამობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი კრება კურნების ნაცვლად ახალ ჭრილობებს გააჩენს ეკლესიის სხეულზე და შექმნის მისთვის ახალ პრობლემებსა და გაჭირვებებს“.

## 2. კომენტარები დაგეგმილი მსოფლიო კრების საკითხთა წრესთან და თავად კრების ჩატარებასთან დაკავშირებით

„მსოფლიო კრების“ მოსამზადებელ თათბირებში მონაწილეობა უნდა შეფასდეს ეკლესიის კანონებისა და ეკლესიის სისავსის იგნორირებად. ამის საფუძველს გვაძლევს ეკლესიის წმიდა გადმოცემა, კანონები და ტრადიციები:

1. განსახილველი „კრება“ არ იქნება მსოფლიო კრება, რადგან მსოფლიო კრების ბუნება და მისი მოწვევის კანონიკური წინაპირობები განსხვავებულია და შეეხება მხოლოდ უმნიშველოვანეს, - დოგმატურ და ეკლესიის მოწყობის საკითხებს. ეს საკითხები უკვე განხილულია წინა მსოფლიო კრებების მიერ, დადგენილია ეკლესიის მოწყობის საკითხი, ჩამოყალიბებულია სარწმუნოების დოგმატური საფუძვლები, ანათემასაა გადაცემული წვალებანი.
2. ყველა მსოფლიო კრება, აღარაფერს ვამბობთ ადგილობრივ კრებებზე<sup>2)</sup>, ყოველთვის უნდა მოქმედებდეს წინამორბედი კრებების მემკვიდრეობითობის ჩარჩოებში (იხ. დანართი1). ეს ძალიან კარგად ჩანს თავად ოროსებიდან. ქალკიდონის კრების ძეგლისწერა ასე იწყება:



I მსოფლიო კრება


- „წმიდათა მამათა მიერ თითოეულსა კრებასა შინა ვიღრე აქამომდე დასხმულთა კანონთა მტკიცედ პყრობა განვაჩინეთ“. კონსტანტინოპოლის კრების ძეგლისწერის დასაწყისში წერია: „შემოკლებული საზღვარი დავსხენით, სარწმუნოება ნიკეას შეკრებილ მამათა დავამტკიცეთ და წინააღმდეგომნი მისნი წვალებანი შევაჩუენეთ. ამათ გარდა ქეთილად წესიერებისათვისცა ეკლესიათავსა სიტყვთ კანონი განვსაზღვრენით, რომელიცა აქა წიგნსა ამას ჩუენსა შეუდეგინეთ“. ჩატარებულ მსოფლიო კრებათა დადგენილებების შეცვლა იკრძალება და ისჯება: „დაე, ნურავის ექნება ნება ზემოაღნიშნულ კანონთა შეცვლის, ანდა გაუქმების“. . . ხოლო თუ ვინმეს ემხილოს, რომ ზემოთქმულ კანონთაგან რომელიმეს შეცვლა, ან გარდაქმნა დააპირა, ასეთი ვალდებულია მის მიერ ხელყოფილი კანონით განსაზღვრული ეპიტიმია იტვირთოს“<sup>1</sup>.
3. ხსენებული მემკვიდრეობითობა და დადგენილებათა უცვალებლობა განაპირობებს საეკლესიო კრებაზე სულიწმიდის შემოქმედებითად მყოფობას და კრებას „ღმრთის თანამოქმედად“ აქცევს. კრებებზე აღამიანები ამოწმებენ იმას, „რასაც იტყვის სული ეკლესიათა“ (გამოცხ. 2,7.), ანუ ღმრთის ნებას. „უნდა გვწამდეს, რომ ყოველივე, რაც წმ. მამებმა დაადგინეს ყველა მსოფლიო და ადგილობრივ კრებაზე<sup>2</sup>, წარმომდინარეობს სულიწმიდისაგან, ვითარცა მოციქულებმაც თავიანთ კრებაზე თქვეს: „ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა (საქმე 15:28). მათი მავალითით შემდგომმა მართლმადიდებელმა კრებებმაც მსგავსი დასკვნით თავიანთი დადგენილებები დამტკიცეს“<sup>3</sup>. თუ ეპისკოპოსები, რომლებიც შეადგენენ კრებას, არ თანამოქმედებენ სიმდაბლით ღმერთთან, რათა მათი ბაგეებით აუწყოს წმიდა სულმა, ცვლიან წინა კრებების დადგენილებებს, მამინ ასეთი კრებები არ აუწყებენ ჭეშმარიტებას, და ეკლესია შემდგომში არ მიიჩნევს მათ „ეკლესიის უცოდველ ბაგეებად“ და „სულიწმიდის საყვირებად“ და, მეტიც, ასეთ კრებებს „ავაზაკთა“ კრებებს უწოდებს. ასეთ კრებებზე არ არის ღმერთისა და კაცის სინერგია და ამიტომ არ არის ჭეშმარიტება.

მხოლოდ მაშინ, როდესაც კრების გადაწყვეტილება „სათნა ღმრთისთვის“, სათნო იქნება „კაცთათვის“.

4. კრება უნდა იყოს მართლმადიდებლური. ეკლესიისთვის აუცილებელია ის თვალსაზრისი, რომ ეკლესიის მამათა რწმენა კრებების დადგენილებების უმცდარობის შესახებ ვრცელდება არა მარტო უკვე ჩატარებულ კრებებზე, არამედ იმ კრებებზეც, რომელთა ჩატარებაზეც შეიძლება იყოს საუბარი. კრების მართლმადიდებლურობა აუცილებლად უკავშირდება ისეთ პრინციპულ დებულებებს, როგორიცაა:

- კანონიკური ერთგულება ეკლესიის მოწყობისადმი, რომელიც დაფიქსირებულია წმინდა კანონებში;
- უსიტყვო მიღევნება მსოფლიო და ადგილობრივი კრებების დადგენილებებისა, რომლებზეც აგებულია მართლმადიდებელი სარწმუნოების სწავლება;
- უკანასკნელი ასევე გულისხმობს წმიდა გადმოცემებისადმი მკაცრ მიღევნებას.

5. მხოლოდ გარებაზე მხარე, ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპატის მოწვევა კრებაზე იმ რიცხოვნობით, როგორც ეს მსოფლიო კრებებზე ხდებოდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს კრება თავისი არსით მსოფლიო და მისი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ე ბ ი სავალდებულო ხასიათისაა. ასეთ კრებაზე თვით ყველა ა ვ ტ ო კ ე ფ ა ლ უ რ ი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა დასწრება ჯერ კიდევ არ იძლევა იმის მტკიცებას, რომ შემდგარი კრება მსოფლიოა.



მსოფლიობისათვის, უპირველეს ქალკედონის IV ყოვლისა, უნდა შეფასდეს კრებაზე მსოფლიო კრება წარმოდგენილი საკითხები და დადგინდეს მიღებული გადაწყვეტილებების ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის ხარისხი.

თუ გადავხედავთ იმ საკითხებს, რომლებიც განხილულ უნდა იქნენ ზემოთ ხსენებულ მსოფლიო კრებაზე – ყველა ისინი თავისი არსით ან შეეხებიან სარწმუნოებას (კონფესიათა და რელიგიათა შორის დიალოგი, ერთობლივი ლოცვები), ან ეკლესიის კანონებს (პასქალისა და კალვინის, სასულიერო პირების მეორედ ქორწინების, მარხვების შემცირებისა და შესუსტების, დიასპორისა და ა.შ. შესახებ საკითხები). და წინასაკრებო კომისია, ფაქტობრივად, მიზნად ისახავს მსოფლიო კრებებზე მიღებული და დამტკიცებული კანონიკური კანონების გადახედვას. უკვე ამიტომ არ შეგვიძლია ვუწოდოთ მოსალოდნელ მსოფლიო კრებას მართლმადიდებლური. თავისი მიზნებითა და სულით ის უცილობლად იქნება რეფორმატორული სულის მატარებელი. ამიტომ საკრებო ფრაზა „ჯერ-უჩის წმიდასა სულსა და ჩუქნცა“ იქნება მხოლოდ ყალბი საფარველი უკანონო ქმედებებისათვის. უეჭველია, რომ ასეთი კრების გადაწყვეტილებები უარყოფილი იქნება ეკლესიის სისავსის მიერ.

მოკლედ მოვიყვანოთ ეკლესიის სწავლების, კრებათა კანონების ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია განსახილველად წარმოდგენილ საკითხებთან და რომელთა ცვლილებებიც იგეგმება, რაც გამომდინარეობს წინასწარი განხილვებისა და სხვა ინფორმაციის საფუძველზე.

დიასპორის საკითხს ქვემოთ შევეხებით, ხოლო II-IV საკითხები ნაკლებად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება სხვა საკითხებს:

5. დღესასწაულების საერთო კალენდრის დადგენა.

ეკლესიის სწავლების, 1583 წლის კრების, მსოფლიო პატრიარქ ქირილე V-ის 1756წ. მრგვლივ მოსავლელი ეპისტოლებს, ასევე მსოფლიო პატრიარქ ანთიმოზ VI-ისა და სხვა აღმოსავლელი პატრიარქების (მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქების) 1848წ. მრგვლივმოსავლელი ეპისტოლეს საფუძველზე ვთვლით, რომ დაუშვებელია პასქალისა და თთვენის შეცვლა ერეტიკოსების საამებლად.

6. წესები და წინააღმდეგობები ქორწინების საიდუმლოს შესრულებისათვის.

ქრისტეს ეკლესია კრძალავს შერეულ ქორწინებებს მართლმადიდებლებსა და არამართლმადიდებლებს შორის, რადგან

ასეთ კავშირს არა აქვს მთავარი თვისება, – სულიერი ერთობისა ქრისტეში. ამით კი იგი უგულებელყოფს ქორწინების საიდუმლოს, რომელიც საერთო რწმენას გულისხმობს. ამ საკითხისათვის მთავარი სახელმძღვანელო დებულებებია ტრულის კრების 72-ე კანონი, ლაოდიკის კრების მე-10 კანონი. ქორწინებისა და ჯვრისწერის ჩატარების, განქორწინებისა და ჯვრის აყრის და ქორწინების ჩატარებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების საკითხები დადგენილია მართლმადიდებელი ეკლესის კანონებით და ჩვენ, მართლმადიდებლები, განუხრელად უნდა მივდევთ და არ უნდა ვცვლიდეთ მათ.

#### 7. მარხვის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში.

ეკლესის წმიდა გადმოცემა ადასტურებს, რომ მარხვის დაცვა აუცილებელია და რომ ეს არა რის ადამიანის გამოგონება, არამედ დადგენილია საეკლესიო კრებების მიერ სულიწმიდის თანაქმედებით. მარხვას ახალი აღთქმის ეკლესიაში თავად მაცხოვარმა, იქსო ქრისტემ დაუდო საფუძველი, იმარხულა რა 40 დღე უდაბნოში, რითაც მოგვცა როგორც მარხვის მაგალითი, ასევე მარხვის საზომი. სახარებაში კი მაცხოვარი მცნებად გვიდებს: „ხოლო ნათესავი ესე არარაით განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათე, 17, 21). მარხვის შემსუბუქება, შემცირება ან გაუქმება იქნება ეკლესიის სწავლების საწინააღმდეგო ქმედება.

#### 8. სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან კავშირის საკითხები.

წმ. მოციქულთა კანონები (10, 45, 64, 65), ლაოდიკის კრების 33-ე კანონი, მეექვსე მსოფლიო კრების მე-2 კანონი, ასევე წმიდა მამათა სწავლებები მიუღებლად მიიჩნევენ, რომ მართლმადიდებლებმა იქონიონ მწვალებლებთან და სქიზმატებთან ლოცვითი, ან სხვა სარწმუნოებრივი კავშირი, ხოლო დამრღვევთათვის აწესებენ სასჯელს, ეკლესიიდან განკვეთის ჩათვლით.

#### 9. ეკუმენისტური მოძრაობა;

ეკუმენიზმი დაგმობილია თანამედროვე ეკლესიის მამების (ნიკოლოზ სერბი, იუსტინე პოპოვიჩი, სერაფიმე როუზი, პაისი ათონელი და სხვ.) მიერ, რომლებიც ეკუმენიზმს მწვალებლობათა მწვალებლობას უწოდებენ. ამიტომ ეკუმენიზმის მიმართ ვრცელდება ყველა ის კანონი და სასჯელი, რომელიც წინა პუნქტში მოვიყვანეთ. ამას გარდა, რიგი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებისა მკაფიოდ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას ეკუმენიზმთან (მაგ. რუსეთის,



ეკუმენიზმთან მებრძოლი ქრისტეს ჰალესია ადგილობრივი ეკლესიები, რომლებიც ჯერ კიდევ მონაწილეობენ ეკუმენისტურ დიალოგებში, დაუფარავად გამოხატავენ ამ დიალოგების უპერსპექტივობას ჭეშმარიტების დამოწმების თვალსაზრისით.

10. მართლმადიდებლობის წვლილი ქრისტიანული იდეალების – მშვიდობის, მმობისა და თავისუფლების – განმტკიცების საქმეში.

ეს საკითხიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წმიდა წერილს, წმიდა გადმოცემას და ეკლესის სწავლებას. მართლმადიდებლობას მოაქვს ჭეშმარიტების სინათლე სხვა ხალხებისათვის და არ უნდა ექვემდებარებოდეს ამ სიფლის ადამიანთა მსოფლმხედველობას, არ უნდა მიდიოდეს კომპრომისზე ერეტიკოსებთან. ჩვენ ვემხრობით აზრს, რომ მართლმადიდებელი მოძღვრები უნდა ამხელდნენ თანამედროვე მსოფლიოს ცოდვებს და, სახარებაში ზსენებული „შიშისათვის ბურიათადსა“ (იოანე, 20,19) არ უნდა მიდიოდნენ სინდისთან გარიგებაზე.

რაც შეეხება დიასპორის საკითხს, რომელსაც მსოფლიო საპატრიარქო განიხილავს როგორც „ახალ მოვლენას მართლმადიდებელი ეკლესიისათვის“, ასევე გამოგონილი პრობლემა. და მისწრაფება, გადაწყვიტოს ხელოვნურად შექმნილი ეს პრობლემა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მსოფლიო საპატრიარქო დავადებულია კოსმოპოლიტიზმის სულით. შესაძლოა ეს სიტყვები რამდენადმე მკვეთრია, სამაგიეროდ ზუსტად გამოხატავს კონსტანტინოპოლის დღვეანდელ საეკლესიო ამბიციებს. დიასპორის საკითხი, მაშინაც კი, თუკი იგი იარსებებდა როგორც პრობლემა, სრულებითაც არ მოითხოვს მის განხილვას უმაღლეს საეკლესიო

1948წ). ეკუმენისტურ მსოფლიო ეკლესიათა ს ა ბ ჭ ო ს თ ა ნ ( ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს , ბულგარეთის ეკლესიები, ა ს ე ვ ე ა მ ე რ ი კ ა შ ი ა ნ ტ ი თ ქ ი ი ს ი უ რ ი ს დ ი ქ ც ი ა შ ი მ ყ ო ფ ი ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ) დაკავშირებით. თვით ის

დონეზე. ბევრი საკითხი, თუნდაც კანონიკური რიგისა, სავსებით შესაძლებელია განიხილებოდეს ეკლესიათა წარმომადგენლებს შორის მიმოწერის დონეზე, რომელთა პოზიციები საგანგებოდ იქნებოდა მომზადებული კანონიკური სამართლისა და სარწმუნოების საკითხთა სპეციალური კომისიის მიერ ყოველ ავტოკეფალურ ეკლესიაში.

მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლთა შეფასებით<sup>4)</sup>:

„ უნდათ რომ მართლმადიდებელ ეკლესიას თავს მოახვიონ ის მოდელი, რომელიც არსებობს კათოლიკურ ეკლესიაში – ეს არის მაქსიმალურად ცენტრალიზებული საეკლესიო ძალაუფლების მოდელი, რომლის თავში ერთი ეპისკოპოსია და რომელიც არის მსოფლიო ეკლესიის თავი. ამ მოდელით კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უნდა მართოს ე.წ. დიასკორის ყველა ეკლესია, ანუ გაერთიანებები, რომლებიც არ იმყოფებიან ისტორიული, კანონიკური, ეროვნული ეკლესიის საზღვრებში, უნდა შევიდნენ მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში. მართლმადიდებლურ ტრადიციაში არასდროს არ არსებობდა ასეთი მოდელი. ჩვენ არა გვაქვს უფლება, შევცვალოთ ჩვენი სწავლება ეკლესიის შესახებ“.

1961 წლის შემდეგ ჩატარებული მართლმადიდებელთა თათბირების ანალიზი ცხადყოფს მათ სრულიად არამართლმადიდებლურ ხასიათს, რადგან მათზე მიღებული გადაწყვეტილებები „არსობრივად მიღება ეკლესიის სისავსის იგნორირებითა და სარწმუნოების ხელუხლებლობის მიმართ სიფრთხილის გამოჩენის თაობაზე“ პატივცემული პირების რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე<sup>4)</sup>.

ამგვარად, თუ გადავხედავთ განსახილველად შემოთავაზებულ საკითხებსა და შევაფასებოთ მათი განხილვის ხერხებსა და პრინციპებს, მივხვდებით, თუ როგორი საფრთხის ქვეშ ვაყენებოთ ჩვენ ჩვენს ეკლესიას, თუკი მონაწილეობას მივიღებთ მსოფლიო კრების მომზადებასა და ჩატარებაში. ასეთი კრება აუცილებლად მიგვიყვანს განხეთქილებასთან და არა ეკლესიის ერთობასთან. კალენდრის ტრაგიკული, თვითნებური რეფორმის გატარების შედეგად თავისი სამწყსოს დაკარგვის სამწუხარო მაგალითს თავად კონსტანტინოპოლის ეკლესია იძლევა. კონსტანტინოპოლის

საპატრიარქოს, მისი წინამდლოლების რეფორმატორული  
განწყობილება, სავსებით გვაძლევს უფლებას უარვყოთ პატრიარქ  
ბართლომეს თეზისი მსოფლიო საპატრიარქოს, როგორც  
„მართლმადიდებელი ეკლესის საკორდინაციო ცენტრის“ შესახებ.  
1923 წლიდან მსოფლიო საპატრიარქო ხდება მართლმადიდებლობის  
რღვევისა და განადგურების ცენტრი. ამიტომ თავად დღე სრულიად  
მართლმადიდებლთა კრების მოწვევის შესახებ წარმოადგენს არა  
მსოფლიო მართლმადიდებლობის ერთობის განმტკიცებისაკენ  
სწრაფვას, არამედ გვევლინება მთავარ ნაბიჯად მართლმადიდებლი  
ეკლესის ნგრევის გეგმის განხორციელების გზაზე. თუ მსოფლიო  
კრება შედგა, ეჭვი არ არის, რომ მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს  
მიერ შემოთავაზებული საკითხები განხილულ იქნება საეკლესიო  
ცხოვრების სეკულარიზაციისა და ლიბერალიზაციის სიბრტყეში,  
და, შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესის კანონიკური წყობის  
დანგრევის მიმართ ულებით.

ჩვენი წერილის დასასრულებლად, თანადროულად მივიჩნიეთ ღირსი იუსტინეს (პოპოვიჩი) სიტყვების შეხსენება: „ჩემი სინდისი მაძულებს ისევ მივმართო ველრებით სერბეთის მოწამებრივი ეკლესიის წმიდა სინოდს: დაე, სერბეთის ეკლესიამ თავი შეიკავოს ე.წ. სრულიად მართლმადიდებელთა კრების მომზადების საქმისა და თავად მასში მონაწილეობისგან. რადგან, თუკი, ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი კრება ჩატარდება, მისგან მხოლოდ ერთს უნდა მოველოდეთ: განხეთქილებებს, მწვალებლობებსა და მრავალი სულის დაღუპვას. და ეკლესიის ისტორიული სამოციქულო-წმიდამამობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი კრება კურნების ნაცვლად ახალ ჭრილობებს გააჩენს ეკლესიის სხეულზე და შექმნის მისთვის ახალ პრობლემებსა და გაჭირვებებს“

შენიშვინები, ტექსტებში მითითებული პუბლიკაციები

1. მე-6 წე. მსოფლიო კრება, კანონი 2 (იხ. იძაბეჭეა იძაბეჭეა შე ტერიტორიაზე და მოქმედების სასიათოს შესახებ გამოჩენილი და ავტორიტეტული კანონისტი ეპისკოპოსი მილაში (ნიკოდიმოსი) წერს: „აღვილობრივი კრებების კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის მიმართ კანონები

მიუთითებენ, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ამ კრებათა კანონები არ უნდა არღვევდნენ საეკლესიო მოწყობის მსოფლიო საფუძვლებს და არ ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტ სულს, სიწმიდეს, ზნეობრივ სისუფთავესა და ეირარქიულ უფლებებს, ასევე ისინი უნდა ეხებოდნენ მხოლოდ კანონების კერძო მხარეებს. . . ამიტომ ადგილობრივი კრებების კანონმდებლობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ეხებოდეს შიდა საეკლესიო მოწყობის, დოგმატურ, საღვთისმსახურებო და საზოგადო სულიერ-ზნეობრივ საკითხებს. ადგილობრივმა ეკლესიებმა თავიანთ ადგილობრივ კრებებზე ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ მათ მიურ გამოცემული კანონები გამომდინარეობდნენ უშუალოდ საზოგადო კანონიკური დადგენილებებიდან და არ იყვნენ გამოწვეული ვნებებით, უცოდინარობით ან რაიმე გარეგანი არასაეკლესიო გავლენით” (I è èì àèì, àïèñ èìí Ä àë iàòèíñ èé. I ðàåñ ñëàåññå ðåðèñ ã í îñ iðååñ. NÍá 1897, n. 454)

3. აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ დამტკიცებული „მართლმადიდებლური აღსარება აღმოსავლეთის საყოველოაო და სამოციქულო ეკლესიისა (იხ. I ðàåñ ñëàåññå èññíññå èñå ë ïëè÷åññíé è À ë ñòòñ ëüññíé Öåðêåè Åñòòñ ÷ñíé; ÷. 1, ñòå. 72; èØä. I ðååñ ñëàåññå Öåðêåè... ñòòñ. 20)

4. მწუდიშნ. ტახაჩიშვილი / შემოკლებული თეოდორე ზისისი


**დანართი**

**3. პროტოპრესვიტერი თეოდორე ზისისი**

თესალონიკის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი  
სრულიად მართლმადიდებელთა თათბირების  
გადაწყვეტილებები – ეს ეკლესიის გადაწყვეტილება  
კი არ არის, არამედ ეკუმენისტთა ჯგუფისა  
(შემოკლებული თარგმანი)

სრულიად მართლმადიდებელთა თათბირის (კონსტანტინოპოლი, 2008წ.) გადაწყვეტილებას ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ არ ამართლებენ არც ის ეკლესიები, რომლებიც აგრძელებენ მასში მონაწილეობას, არც ისინი, რომლებიც კრიტიკულად უფურებენ ეკუმენიზმს და განერიდებიან მას, ასევე ის კლირიკოსები და ღვთისმეტყველნი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ეკუმენიზმს მრავალი

იუდას ამბორი, პალერმოს  
მოზაიკა მე-13 ს. –  
შესანიშნავი სახე, რომელიც  
ახასიათებს სრულიად  
მართლმადიდებელთა  
თათბირების მოღალატურ  
საქმიანობას



სერიოზული მიზეზის გამო.  
უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ  
ეს გადაწყვეტილებები მიიღება  
ეკლესიის სისავსის იგნორირებით.  
უკიდურესად მარტივი გახდა  
სხვადასხვა საშუალებებით წინასწარ

ჩაფიქრებული გადაწყვეტილების მიღება ურყმი ეკუმენისტების  
ჯგუფისაგან, როდესაც ეს გადაწყვეტილებები არ მიიღება ძველი  
მსოფლიო და ადგილობრივი კრებების მაგალითის მიხედვით,  
როდესაც კრებაზე მონაწილეობს არა ყველა ეპისკოპოსი,  
არამედადგილობრივი ეკლესიებიდან წარგზავნილნი, ხშირ შემთხვევაში,  
დამყოლი წარმომადგენლები. ისიც აღსანიშნავია, რომ  
მართლმადიდებელი იერარქიის დიდი ნაწილი არ მოქმედებს  
უკონტროლოდ და იმედებს ამყარებს ყოველდღიურად მზარდ  
ეკუმენისტურ კოროზიასა და ცნობიერების ცვლილებაზე სასურველი  
შედეგის მიმართულებით.

ამიტომ, სამოციქულო და წმინდა მამათა გადმოცემის თანახმად,  
არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, მორჩილება გავწიოთ  
ერეტიკული კრებების მიმართ, დავემორჩილოთ უკანონო  
ხელმძღვანელების მიერ ჩატარებულ სხდომებს. ეს რომ ასე არ  
იყოს, მაშინ მოციქულებს მოუწევდათ, დათანხმებოდნენ ღმერთ-კაც  
ქრისტეს მიმართ უკანონო იუდეური სინედრიონის განაჩენს, ხოლო  
წმიდა მამები მიიღებდნენ მე-4 და მე-8-9 საუკუნეებში არიანული  
და ხატმებრძოლური კრებების გადაწყვეტილებებს. რომ არ  
ყოფილიყვნენ მებრძოლი წმიდა მამები, ეკლესია ბედის ანაბარა  
იქნებოდა დაგდებული. დღესაც ეკლესია ბედის ანაბარა დარჩება,  
თუ დავუჯერებთ რეკომენდაციებს მორჩილების გაწევის შესახებ,  
მივიღებთ ვითომ სრულიადმართლმადიდებლურ გადაწყვეტილებებს

მართლმადიდებლების ეკუმენისტურ, ანუ სინკრეტულ კონფესიათაშორის და რელიგიათაშორისი მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ. ახალმოწინააღმდეგების სახელი, რომელიც ჩვენ მოგვაკერეს, არ არის ჩვენთვის საყვედური და ნიშნისმოგება, არამედ ქებაა, იმიტომ რომ ჩვენ არ წარმოვაჩენთ ჩვენს თავს, არ მივდევთ ეკუმენისტების ახალმოვლენილ სწავლებებს, არამედ მივდივართ მწვალებლობებთან მებრძოლი წმიდა მამების გზით, რომლებსაც ამცირებენ, სძულთ და შეურაცხოფებრ ეკუმენიზმის კორიფეები, – ბოროტი გველის ორგანოები. რწმენას სიმართლისა, რომელსაც ჩვენ ვიცავთ, ჩვენ ვპოვებთ არა ჩვენს საუნივერსიტეტო აკადემიურ განათლებაში, არამედ მოციქულთა და წმიდა მამათა მკაცრ და განუხრელ მიღევნებაში.

### **3. მსოფლიო პატრიარქი ბართლომე და რუსეთის პატრიარქი კირილე მოსალოდნელ სრულიადმართლმადიდებელთა კრების შესახებ**

მოსკოვი. 23 მაისი, 2010წ. სულთმოფენობა.



პატრიარქების მოსკოვში შეხვედრისას ისინი შეეხნენ მსოფლიო კრების თემასაც. მსოფლიო პატრიარქმა ბართლომემ „გამოთქვა სურვილი, რომ შეიკრიბონ ერთად კონსტანტინოპოლიში წმ. ირინეს წმიდა და

დიდებულ ტაძარში“. მოგვაგს ციტატა მისი სიტყვიდან: „ამ ტაძარში ცოტა წნის წინ ვოლოკოლამის მიტროპოლიტის, ილარიონის მალისხმევით ჩატარდა რუსული სასულიერო მუსიკის კონცერტი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რადგან იქ, წმ. ირინეს ამ ისტორიულ ტაძარში, შედგა თქვენი კონცერტი, ჩვენ შევძლებთ შევკრიბოთ ჩვენი დიდი კრებაც. და არა 10 და 20 წლის შემდეგ, არამედ 1, 2 ან 3

წლის შემდეგ. და ეს განხორციელებული იქნებოდა მართლმადიდებლობის სადიდებლად და ამით ჩვენ შევძლებდით სხვაგვარად მადიდებელი ჩვენი ძმების დარწმუნებას, რომლებიც გესლიანად ამბობენ, რომ მართლმადიდებლობას არ შეუძლია ასეთი კრების გამართვაო, რომლის შესახებაც ის წლების განმავლობაში აცხადებს და მას ამზადებს. ეს იქნებოდა



პასუხი ჩვენი კათოლიკე ძმებისთვისაც, პატრიარქი ბართლომე და რომლებიც ამბობენ, რომ პაპის გარეშე, მოსკოვის მერი ლუჟკოვი აღმინისტრაციული ძალაუფლების მქონე ცენტრალური ფიგურის გარეშე, მართლმადიდებელი და სხვა არაკათოლიკური ეკლესიები ნაკლულოვანი ეკლესიებია და არ შეუძლიათ რეალური ერთობის განხორციელებაო. ჩვენ არა გვყავს პაპი, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთობა“  
- ხაზგასმით აღნიშნა მსოფლიო პატრიარქმა.

თავის ინტერვიუში პატრიარქმა კითხვაზე, „მრავალი თვლის, რომ მოსალოდნელი მსოფლიო კრება ვერ გადაწყვეტს შიდა ერთობის პრობლემებს“, უპასუხა: „საეკლესო კრება ეს სასწაულიცაა და საიდუმლოც. როდესაც ეპისკოპოსები სულიწმიდის სახელით ხვდებიან ერთმანეთს მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად, სიძულვილი და უთანხმოებანი განქარდებიან, და მოდის სულიწმიდის სუფერა. მრავალჯერ დავრწმუნებულვარ იმაში, რომ ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაში უცბად ჩნდებოდა სულიწმიდის დახმარება და ვპოულობდით საერთო გადაწყვეტილებას. ჩვენ არ უნდა ველოდოთ იმას, რომ კრება, რომელიც შეიკრიბება მაღლე ან შემდგომ საუკუნეებში, უცბად გადაწყვეტს ყველა პრობლემას. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამჟამინდელ პირობებში ისინი კვლავ ემსახურებოდნენ მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის შეხვედრას. მოსალოდნელი სრულიად მართლმადიდებელთა კრების წარმატება დამოკიდებულია ღმრთის ნებაზე და იმაზე, თუ როგორი განზრახვით გააგზავნიან მასზე ეკლესიები თავიანთ წარმომადგენლებს. აუცილებელია, ვიღოცოთ და ვიღვაწოთ ამ იდეის განხორციელებისათვის ქრისტეში სიყვარულის სურვილით“.

---

**„მართლმადიდებელი აპოლოგეტის“ კომენტარი:**

---

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში არ არსებობს სრულიად მართლმადიდებელთა კრების მოწვევის აუცილებლობა. მსოფლიო კრებები არ მოიწვევოდა მხოლოდ მოწვევისათვის, რაღაც აუცილებლობის აღსრულებისა და, როგორც ამას მისი უახლოეს დროში მოწვევის მომხრეები მიიჩნევინ, მთელი ეკლესის რეგულარული შეხვედრებისათვის. მსოფლიო კრებები უკიდურესად იშვიათი მოვლენა იყო და მოიწვევოდა მხოლოდ და მხოლოდ ისეთი სერიოზული მწვალებლობის გაჩენის შემთხვევაში, რომელიც არყევდა ეკლესის მსოფლიო მასშტაბით. კრება არასდროს არ იყო ეკლესიის მართვის მუდმივი ორგანო. ამას გარდა ის საკითხები, — კალენდარის საკითხი, სამღვდელოების მეორედ ქორწინების დაშვება, მარხვების შემცირება და ა.შ., — რომელთა დაყენებასაც ცდილობენ დაგეგმილ კრებაზე, და ისიც, თუ როგორ უნდათ ეს საკითხები გადაწყვიტონ, მოწმობენ მხოლოდ ეკლესიის გახლების ხაზზე, მისი კანონიკური და ლიტურგიკული ერთობის მოშლაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ასეთი ხაზის გატარება წამოიწყო ისეთმა პიროვნებამ, რომელმაც თავი შეირცხვინა, როგორიც იყო პატრიარქი მელეტი მეტაქსისია. სწორედ მსგავსი საკითხები წამოწიეს პირველად სრულიად მართლმადიდებელთა ცრუ-კონგრესზე 1923 წ. კონსტანტინოპოლიში. მაშინ ახალი კალენდრის უხეშმა და ძალადობრივმა შემოტანამ დაარღვია ეკლესიის ერთობა, გამოიწვია მასში დაუსრულებელი შფოთი და განხეთქილებები. აი, თუკი პატრიარქი კირილე, როგორც ეს გაკეთდა 1948 წ. სრულიად მართლმადიდებელთა შეკრებაზე მოსკოვში, მოუწოდებდა ძველ თელიუსის კალენდარზე დაბრუნებისაკენ და მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. კანონებში ერთობისაკენ, მაშინ ასეთი კრების მოწვევა და გამართვა კიდევ შეიძლება რაღაცით ყოფილიყო გამართლებული.

## თავი IV

### რომის პაპისა და მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს ანტიმართლმადიდებლური ალიანსი

მსოფლიო პატრიარქის მოღვაწეობა მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის დიალოგის შერწყელი საერთაშორისო ორმხრივი საღვთისმეტყველო კომისიის ფარგლებში, ამ დიალოგის წარმართვისა და მკაფიოდ გამოკვეთილი დასახული მიზნის, — პაპის პრიმატის ცნობისა და მისი ხელმძღვანელი როლის დაკანონების, — მისაღწევად, თამამად შეიძლება შეფასდეს, როგორც ფანარა-ვატიკანის შეთქმულება მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ანტიმართლმადიდებლური და პროპაპისტური მიზანმიმართულობა მკაფიოდ ჩანს პერგამოს ეპისკოპოსის, ზიზიულასის, ერთ-ერთ ინტერვიუში. ზიზიულასი, რა თქმა უნდა, ახმოვნებს პატრიარქ ბართლომეს პოზიციას. ამიტომ ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებები პატრიარქ ბართლომეს მოსაზრებებია. ინტერვიუში დასმული საკითხები, ფაქტობრივად, წარმოადგენს პატრიარქ ბართლომეს მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტს, როგორიცაა: პაპის პრიმატის აღიარება და მისი ეკლესიის ფაქტობრივ ერთმმართველად დასახვა. ამისთვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ ერიდება ინსინუაციებს, როდესაც სასურველს არსებულად წარმოგვიჩენს, კერძოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სურვილს ეკლესიის თავის აღიარებასთან დაკავშირებით, მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის მზადყოფნად გვისაღებს, რაც სიცრუეა. გთავაზობთ ხსენებულ ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით.

#### 1. მიტროპოლიტ ზიზიულასის პროპაპისტური ინტერვიუ

გაზეთ „რესპუბლიკაში“ (საბერძნეთი-ავტ) სათაურით „ჩვენი მშობლიური მსოფლიო ეკლესია“ გამოქვეყნდა ინტერვიუ პერგამოს ეპისკოპოს იოანესთან (ამჟამად უკვე მიტროპოლიტი ზიზიულასი,

კონსტანტინოს ბაზილის (საპატრიარქო-ავტი), რომელსაც ერგო პატივი გადაეცა პატრიარქ ბართლომეს მისალოცი წერილი რომის პაპ ბენედიქტე XVI-ისადმი, მისი დაბადების 80 წლის თავზე.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ეპისკოპოსმა ითანებ, შეეხო რა პაპისადმი გადასაცემ წერილს, განაცხადა: „პატრიარქი პაპს



პაპი ბენედიქტე XVI და  
მიტროპოლიტი ზიზიულასი

იწვევს რავენაში, რათა ერთობლივად გახსნან კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა დიალოგი. . . რავენაში შეხვედრა ძალზე მნიშვნელოვანია. მცირე შესვენების შემდეგ გვლავ შევიკრიბებით და წარმოდგენილი იქნება ყველა მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკურ ეკლესიასთან ერთად. ჩვენ ერთი სარწმუნოება და ერთი ტრადიცია გვაქვს (?-ავტ.). ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც უნდა დავჭიროთ, არის რომის ეპისკოპოსის პირველობის საკითხი. ე.ი. პაპის როლის საკითხი. ზოგიერთს ეს საკითხი გადაუჭრელ პრობლემად მიაჩნია. მე, პირიქით, ვამტკიცებ, რომ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია. საკმარისი იქნება, რომ განისაზღვროს რომის ეპისკოპოსის ადგილი მსოფლიო ეკლესიის სტრუქტურაში. მართლმადიდებლები მზად არიან, მთილონ იდეა ერთი მსოფლიო ეკლესის თავის (უპირატესის) შესახებ (?-ავტ.) და ძველი ეკლესიის კანონების მიხედვით სწორედ რომის ეპისკოპოსია უპირატესი (პირველი). უთანხმოება ერთ ძირეულ პრობლემას უკავშირდება. შესაძლებელია, რომ რომის ეპისკოპოსი ადგილობრივი ეკლესიის საქმეებში ჩაერიოს? არ შეიძლება ჩარევა მოხდეს, თუკი არ იქნება სხვა ეპისკოპოსების გადაწყვეტილებაც. ერთი სიტყვით, რომის ეპისკოპოსი ვალდებული იქნება სინოდებთან ერთად იმოქმედოს“ (გაზეთი „ორთოდოქს ტიპოსი“, 27 აპრილი, 2007 წ.).

### ჩვენი კომენტარი

ინტერვიუს ამ მოყვანილ სიტყვებში თითქმის ყოველი წინადაღება სიცრუე და მზაგვრობაა. ნათლად ვხედავთ, რომ კონსტანტინოპოლის

საპატრიარქო ილვწის რომის პაპის პირველობის აღიარებისათვის, ისე, რომ რომის ეკლესიამ არ შეინანოს მწვალებლობა და არ დაუბრუნდეს დედა ეკლესიის წიაღს. მეტიც, სრულიად აშკარაა, რომ რომის პაპი, კონსტანტინოპოლის პატრიარქის თანადგომით, მოახერხებს ეკლესიის მმართველის ფუნქციის მიღებასა და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების შიდა საქმეებში ჩარევასაც. რომის პაპისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის ეს ანტიმართლმადიდებლური აღიანსი, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, დიდ საფრთხეს უქმნის ქრისტეს ეკლესიას, ეკლესიის წმიდა სწავლებასა და გადმოცემას, ეკლესიის მთლიანობას. ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ანტიმართლმადიდებლურ და ერეტიკულ აღიანსთან. ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, შევეხოთ ზოგიერთ საკითხს რომის ეკლესიის, პაპისტებთან შერეული საღვთისმეტყველო დიალოგისა და მსოფლიო პატრიარქის პროპაპისტურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

## 2. კვიპროსის შეხვედრა

გასული წლის ოქტომბერში კვიპროსზე, პაფოში, რომოკათოლიკებთან დიალოგის შერეული კომისიის ფორმატში გამართულმა შეხვედრამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ დიალოგი პაპისტებთან ჩიხშია შესული. ეს დიალოგი და მისი მიმდინარეობა შერეული კომისიის ფორმატში, რომელსაც ხელმძღვანელობენ რომის კარდინალი და კონსტანტინოპოლის საპატრიარქო (მიტროპოლიტი ზიზიულასი) სულ უფრო მეტ უნდობლობას იწვევს მართლმადიდებლებში და მრავალ კითხვას ბადებს, მათ შორის კეთილსინდისიერებასა და ღიაობასთან დაკავშირებით. წყაროები საუბრობენ არააფიშირებულ, საიდუმლო შეხვედრებზე ვატიკანისა და კონსტანტინოპოლის წარმომადგენლებს შორის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მართლმადიდებელთა ზურგს უკან, დაფარულად, ხდება გარიგებები და შეთანხმებები ვატიკანსა და ფანარას შორის. უნდობლობას ბადებს ისიც, რომ მიუხედავად პაფოში ჩატარებული შეხვედრის ჩავარდნისა, – ფაქტობრივად, ფიასკოსი, – შერეული კომისიის ოფიციალური დოკუმენტები ხატავენ სურათს, თითქოს დიალოგი წარმატებით მიმდინარეობს და თითქოს ადგილობრივი

მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები ერთსულოვნად აწერენ ხელს წარმოდგენილ დოკუმენტებს, რაც სრული სიცრუეა. ცხადი ხდება, რომ ამ სიცრუეს შორსმიმავალი მზაკვრული მიზანი აქვს. ამ მიზნის მისაღწევად რომო-კონსტანტინოპოლის ალიანსი ღია თუ დაფარულ ძალადობრივ მეთოდებსაც არ მოერიდება, რისი ნიშნებიც კვიპროსზე შეხვედრის დღეებშიც გამოჩნდა.

გთავაზობთ ბატონი პანაგიოტი ტელევადისის ერთი წერილის თარგმანს პაფოში შეხვედრასთან დაკავშირებით.

### **3. პაფოს შეხვედრის სრული წარუმატებლობა**

**ბატონი პანაგიოტი ტელევადისი, ფილოლოგ-თეოლოგი**

მართლმადიდებლებისა და პაპისტების ერთობლივი შეკრება, როგორიც პაფოში გაიმართა, ხმაურიანი წარუმატებლობით დასრულდა. როგორც წინა შეხვედრისას, ახლაც, საბედნიეროდ, ერთობლივი ტექსტის გამოქვეყნება ვეღარ მოხერხდა. „დიდება შენდა ღმერთო“. სარწმუნოების საკითხებთან დაკავშირებით, დაცემის ტენდენცია, რომელიც რავენას მწვალებლობის ტექსტით გაიხსნა, შეჩერებულ იქნა. ყოველ შემთხვევაში ამ დროისათვის მაინც.

### **ერთობლივი ტექსტის დასრულების წარუმატებლობა**

კონფერენციის მონაწილეებმა ვერ შეძლეს ტექსტის დასრულებული სახით წარმოდგენა, რადგან შეხვედრაზე მყოფი მართლმადიდებელი წარმომადგენლები ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებულ არგუმენტებს იძლეოდნენ. პაპისტები კი თავისას ამბობდნენ. ეკუმენისტებს სურდათ შეებილწათ წმ. მოციქულების 34-ე კანონი, რათა განემართლებინათ რომის პაპის უმაღლესი ძალაუფლება. მათ სურდათ კანონის შინაარსობრივად და სრულიად თვითნებურად განმარტება.

საბერძნეთის ეკლესიის სინოდის იერარქების წარმმართველი მცნებები იყო, „უმაღლესი ძალაუფლების“ შესახებ ემსჯელათ მეორე მსოფლიო კრების მე-3 კანონისა და მეოთხე მსოფლიო კრების 28-ე კანონის შესაბამისად. ამ კანონების მიხედვით, რომის მცდელობა,

ცნოს და აღიაროს პაპის „უზენაესობა“, რომელიც პეტრე მოციქულს ეფუძნება, არის ყალბი.

### **მორწმუნების მშვიდობიანი პროტესტები**

შერეული საბჭოს განცხადების მიხედვით, ეკუმენისტები ზედმეტად გააღიზიანა და აღაშფოთა როგორც სტავროვუნიონის მონასტრის ბერების პოზიციამ, ასევე პატიოსანი სასულიერო პირებისა და ერის ხალხის მშვიდობიანი აქციის მოწყობამ დაალოგის გაუქმების მოთხოვნით, დაალოგისა, რომელიც მართლმადიდებლური რწმენით ვაჭრობას ჰგავდა.

მხურვალე მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ეკუმენისტებს წება არ მისცეს, დაესრულებინათ თავიანთი უწმინდური საქმიანობა, რომელიც წამოიწყეს რავენაში, პორტოში, ალეგრია, ელენტა და თესალონიკში. ქრისტეში პატივისცემითა და სიქადულით მივესალმებით სტავროვენიონის მონასტრის პოზიციას და ასევე ვემადლიერებით ყველა კვიპროსელ და ბერძენ მამებსა და ძმებს, რომლებმაც გადაარჩინეს და დაიცვეს კვიპროსის ეკლესიის ავტორიტეტი. ვისაც ყყო კადნიერება და თავი „ცოლის დამცველად“ გამოაცხადა, პირდაპირი მნიშვნელობით გაანადგურა ეკლესიის ავტორიტეტი. ამ „ჭეშმარიტმა დამცველებმა“ წელი მოაწერეს როგორც ბალამანდისა და შამბეზის თანხმობას, ასევე რავენისა და ელენტას ერთობლივ სტატიასაც. ისეთ „ლრმა ცოლია“ ამჟღავნებენ, რომ დასაშვებად მიაჩნიათ ერეტიკოსებთან ერთად თანალოცვაში მონაწილეობის მიღება და, ასევე, შერეული ქორწინებების აღსრულებასაც უჭერენ მხარს. ისიც კარგია, რომ ბოროტ სულთა განდევნის ლოცვებს ჯერ არ ეხებიან!

### **პაფოში უღირსი საქციელის შესახებ**

ჩვენს გულისწყრომას გამოვხატავთ პაფოში მომხდარი დაუჯერებელი უმსგავსობის გამო, სადაც, პირდაპირი მნიშვნელობით, მასხრად აიგდეს ჩვენი ეკლესია და საზოგადოება Urbi et orbi. განცვიფრებულები დაგრჩით მათი ამ თავშედობით, კანიბალური „იანიჩარობით“, აყალმაყალითა და თეოლოგიური უმეცრებით, ასევე

სტავროვენიონის ბერებისა და სხვა კეთილი მამებისა და ძმების  
მდევნელთა სიშმაგით, – ბერებისა, მამებისა და ძმებისა, რომლებიც  
ეკლესიაში მშვიდად, ლოცვაში მყოფი გამოხატავდნენ თავიანთ  
პროტესტს. კიდევ ერთხელ განცხადდა ეკუმენისტების საზარელი  
მისწრაფებები თუ საქციელი, – ღვთის სახლი საკაჭრო სახლად  
აქციეს, პაფოსის საკათედრო ტაძარი იმ ტურისტულ ადგილად,  
სადაც დაშვებულია ნებისმიერი აღმსარებლობის მიმდევართა  
ქორწინება. ყოველივე ეს კი მართლმადიდებლური ეკლესიის  
შებილწვის საწინდარია (მწვალებლები ქორწინების საიდუმლოს  
აღასრულებენ).

### **შთამბეჭდავი მაგალითები**

ერთობ აგვალელვა ბულგარეთის ეკლესიის პოზიციამ, რომელმაც  
უზნეო კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა.  
ლმობიერებით ხელზე ვემთხვევით საბერძნეთის ეკლესიის იმ  
მღვდელმთავრებს, რომლებმაც „ბაალს მუხლი არ მოუდრიკეს“.  
შეურყევლად დარჩნენ მართლმადიდებლობის თერმოპოლებთან (თბილ  
კარიბჭესთან-მთარგ.) და ისტორიული გადაწყვეტილება მიიღეს,  
რათა ეპუმენისტ მიტროპოლიტებისათვის - მესინიანა  
ქრიზოსტომოსისთვისა და აქია ათანასიასთვის წარმმართველი  
დირექტივები მიეცათ. მხურვალედ ვთხოვთ, დაასრულონ თავიანთი  
ღვთიგსათონ საქმე, – არასანდო ეკუმენისტების ჩანაცვლება  
ტრადიციული ეპისკოპოსებით. მადლიერებას გამოვთქმათ პროფესორ  
ბ. ცელენგიდისადმი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა  
ეკუმენისტური თავდასხმების ასალაგმავად. ეკლესიის ისტორია  
ოქროს ასოებით ჩაწერს მის ღირსეულ სახელს, კეთილშობილურ  
ზნეობასა და აღმსარებლურ სულისკვეთებას.

### **კვიპროსელი მღვდელმთავრების პოზიცია**

გაოცებულნი დავრჩით კვიპროსის ეკლესიის მღვდელმთავრების  
დანაშაულებრივი მდუმარების გამო, რომლებმაც გამოკვებეს  
ეკუმენიზმისა და სინკრეტიზმის ურჩხული, და ამ გზით  
პასუხისმგებლობაც მოიხსნეს თავიანთი მხრებიდან, რადგან მათგან

ზოგიერთები შეგნებული ეკუმენისტები არიან. ზოგიერთებს, ეწ. ფერარა-ფლორენციის „გამაერთიანებლებს”, მიაჩნიათ, რომ ჩვენი რწმენის ყიდვა-გაყიდვა ჩვენი ქვეყნის გადარჩენას ემსახურება. სხვანი თვლიან, რომ მსგავსი ქმედებები „კვიპროსელი მართლმადიდებლობისთვის” უცხოა. (თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, რა სახისა ეს „კვიპროსელი მართლმადიდებლობა“? ვინ არიან მათი წარმომადგენლები? რომელ ტრადიციას ეკუთვნის - კანდარას ცამეტი ღირსემოწამე „კვიპროსელი მართლმადიდებლობის“ ტრადიციას თუ „არგენტინის მართლმადიდებლობის“ ტრადიციას?) ზოგს სულიერი ძალები არ გააჩნიათ, ისინი, ერულად რომ ვთქვათ, „კაცუნები“ არიან. სხვები ყველაფერს ითავსებენ, მიდიან ყველანაირ კომპრომისზე. ერთადერთი, რაც მათ აღელვებთ, ეს მომდევნო მთავარეპისკოპოსის საყდრისთვის პაექრობაა. სხვები კი არაკანონიერი უსჯულობის და ეკუმენისტების წინააღმდეგ არაფერს აკეთებენ.

ნამდვილად ქების ღირსნი არიან ის მღვდელმთავრები, რომლებმაც სინოდზე მშვიდობიანი გზით პაპიზმისადმი პროტესტის გამოხატვის უფლება მოითხოვეს.

მრავალმა კვიპროსელმა მღვდელმთავარმა თავიანთი პოზიცია თავიდანვე გამოავლინა და ზოგიერთი გაურკვევლი პოზიციის მქონე ადამიანი აიძულა, მათ გაპყოლოდა. ამგვარად, აღმსარებელი, მოშურნე სასულიერო პირებისა და ბერების მდევნელები მარტო დარჩნენ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კიტის მიტროპოლიტი ხრიზოსტომოსი, რომელმაც კანონების და წესების ფარგლებში ცხადად გამოააშკარავა და გააცხადა, რომ აღმსარებელი მამების ყველანაირი დევნა, ეს არსობრივად დევნაა სარწმუნოებისა და არა დაცემისა. და ამ გზით დაგმო სინოდის სხდომის გადაწყვეტილება.

### **სიფხიზლე, სიფრთხილე და ლოცვა**

ღვთის შეწევნით და მებრძოლი, ღირსეული და საყვარელი მამების და მმების მოშურნეობით, კვიპროსის ბრძოლა ეკუმენისტების წინააღმდეგ გამარჯვებით დასრულდა. ბრძოლის მომდევნო ეტაპი ვენაში გადაინაცვლებს. მანამდე კი სიფხიზლე, სიფრთხილე და ლოცვა გვმართებს. ვინც სათხო ეყო ღმერთს, მათ წინაშე მუხლს

ვიდრეკთ, ხოლო ვინც წმინდა სწავლებებს უდალატა, მათთვის ვლოცულობთ, რომ ღმერთმა მათ სინანულის დრო მისცეს და საშინელ სამსჯავროზე ღვთის წინაშე ცოდვებით დამძიმებულნი არ წარსდგნენ.

(ΔΙΜΗΝΑΙΑ ΕΚΔΟΣΙΣ ΤΟΥ ΟΜΩΝΥΜΟΥ  
ΣΙΛΛΟΓΟΥ \*ΣΕΠΤΕΜΒΡΙΟΣ- ΟΚΤΩΒΡΙΟΣ 2009\* ΤΕΥΧΟΣ 68)

### **კვლავ კვიპროსთა დაკავშირებით**

იმის დასადასტურებლად, რომ კვიპროსის ეკლესიაში, მის იერარქიაში პაპთან და რომო-კათოლიკებთან დიალოგთან დაკავშირებით მართლმკვეთელური პოზიციებიც მყარად არსებობს, გთავაზობთ ინტერვიუს (მცირეოდენი შემოკლებით) ლემესოს მიტროპოლიტი ათანასესთან. აღსანიშნავია, რომ კვიპროსის მთავარეპისკოპოსის პოსტზე არჩევნებში სწორედ მან გაიმარჯვა, თუმცა საერო ხელისუფლების ჩარევით ამ პოსტზე დროებით, 5 წლით, ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი დაადგინეს. ინტერვიუს თარგმანი იოანე ბჟალავამ მოგვაწოდა, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

#### **4. პაპის კვიპროსზე დაგეგმილმა ვიზიტმა მორწმუნეთა შეშფოთება გამოიწვია**

მიტროპოლიტი ათანასე: მე არ ვაპირებ დავესწრო პაპის ვიზიტთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებს  
ჭურნალისტი: ანტიგონი სოლომონიდუ-დრუსიოტიუ

ლემესოს (Lemesos, კვიპროსი) მიტროპოლიტი ათანასე არ იზიარებს კუნძულზე პაპ ბენედიქტეს ვიზიტის თაობაზე კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას. იგი ნათლად აცხადებს, რომ კვიპროსის ეპისკოპატი ბონ-წინააღმდეგია ამ ვიზიტისა, რადგან კოტს უცხადებს პაპის ვიზიტს



კათოლიციზმი ერესია და მისი მამამთავრის ჩამოსვლა გამოიწვევს მორწმუნე ერის დაბრკოლებასა და შეშფოთებას. ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ რაიმე საპირისპირო რადიკალური ზომების (უხეში და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და ქმედებები) მიღებაც არ არის მიზანშეწონილი.

**ჟურნალისტი:** რატომ გამოიწვევს მორწმუნეთა დაბრკოლებას ბენედიქტეს ვიზიტი?

**მიტროპოლიტი:** დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვიზიტი გამოიწვევს მრავალი მორწმუნის სინდისის ქუჯნას. უკეთესი იქნება, რომ არ ჩამოვიდეს, რადგან მიმაჩნია, რომ ამას არავითარი სარგებელი არ მოყვება. მე არასოდეს მინახავს ჩვენი ეროვნული პრობლემების სასიკეთოდ გადაწყვეტისათვის ვატიკანის პოზიტიური ჩარევა. პაპის მომავალმა ვიზიტმა უკვე გამოიწვია დამატებით მრავალი უხერხულობა, რომელიც ამჟამად ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდება.

**ჟურნალისტი:** რაიმე საშიშროების წინაშე ხომ არ ვდგევართ?

**მიტროპოლიტი:** არა მგონია, ამ ვიზიტით სარწმუნოების საკითხში რაიმე საშიშროება გვემუქრებოდეს, ან რომ ის მართლმადიდებელი ეკლესის დაცემას გამოიწვევს, მაგრამ ეს მშვენიერი მიზეზი იქნება „მეძველსტილებისათვის”, რათა დაგვადანაშაულონ მართლმადიდებლური პირნციპიდან გადახვევაში, რასაც მორწმუნეთა დაბრკოლება მოყვება. რა თქმა უნდა, პაპი მოიწვია ქვეყნის პრეზიდენტმა, მაგრამ მთავარეპისკოპოსის თანხმობით.

**ჟურნალისტი:** იყო სინოდის სხდომაზე ეს საკითხი განხილული?

**მიტროპოლიტი:** ბოლო კრებაზე პაპთან ჩვენი შეხვედრის საკითხმა წამოიწია. მე უარი განვაცხადე და ვთქვი, რომ ამ ვიზიტის თაობაზე მსოლოდ გაზეთიდან შევიტყვე და ინფორმირებული არ ვიყავი. . . ჩვენ ვიყენებთ ჩვენს უფლებას და ვაცხადებთ, რომ არაფერი ვიცოდით პაპის დაგეგმილ ვიზიტზე. ხოლო თუკი მთავარეპისკოპოსი ჩვენი აზრით დაინტერესდებოდა, პირადად მე ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას გამოვხატავდი, რადგან ვიზიტი გამოიწვევს მორწმუნეთა შეშფოთებას და დაბრკოლებას, რაც უკვე ხდება.

**ჟურნალისტი:** თქვენი აზრით ეკლესიებს შორის არავითარი ურთიერთობა არ უნდა იყოს? ბოლოს და ბოლოს, 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, ეკროპულ ოჯახს ვეკუთვნით.

**მიტროპოლიტი:** დაალოგის წარმოება ნებისმიერი საწმუნოების ხალხთან შეიძლება, მაგრამ ერთია დაალოგის წარმოება და მეორე პაპის - როგორც ეპისკოპოსის მიღება. იგი მართლმადიდებელთათვის ერეტიკოსია, ეკლესიიდან განკვეთილი და ამიტომ ეპისკოპოსიც არ არის.

**ჟურნალისტი:** 1054 წლის განხეთქილების გამო?

**მიტროპოლიტი:** იგი საუკუნეებია, რაც ეკლესიიდან განკვეთილია, არ არის ჭეშმარიტი ეპისკოპოსი და არავითარი კავშირი არ აქვს ქრისტეს ერთ, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიასთან. ერთია, როცა მას იღებენ როგორც ეპისკოპოსს, და სხვაა მასთან საუბარი, როგორც ერეტიკოსთან მართლმადიდებლურ საწმუნოებაში და ტრადიციებში მის მოსაქვევად.

**ჟურნალისტი:** მსოფლიო პატრიარქი შეხვდა პაპს და დიალოგიც დაწყებულია.

**მიტროპოლიტი:** მე უკვე ავღნიშნე, რომ თავისთავად დიალოგი არ არის ცუდი, როდესაც იგი შესაბამის პირობებში მიმდინარეობს. მაგრამ არასწორია, რომ ამ ხალხს ვუთხრათ, რომ ვაღიარებთ მათ როგორც ეკლესიას, რომ ვაღიარებთ პაპს ეპისკოპოსად, ქრისტესმიერ მმად, სულიერად და საწმუნოებაში. მე ამას ვერ მივიღებ, რადგან ეს სიცრუუა. ეკლესიის ყველა მამა საწინააღმდეგოს გვასწავლის. პაპიზმი არის მწვალებლობა და ბევრ იმ მწვალებლობათა სათავე, რომლებიც დღეს მსოფლიოს ასე აშფოთებენ. წმ. ოუსტინე პოპოვიჩი გვასწავლის, რომ კაცობრიობაში სამი დიდი ტრაგიკული დაცემა იყო: პირველი – ადამის, მეორე – ოუდა ისკარიოტელის, მესამე – პაპის, რომელიც მოციქულთა საწმუნოებას დაშორდა, თავის თავი ეკლესიის გარეთ დააყენა და უამრავი ადამიანი თან გაიყოლა.

**ჟურნალისტი:** რას ამბობს პაპი მართლმადიდებლებზე?

**მიტროპოლიტი:** იგი ამბობს, რომ ჩვენ არააღექვატური (არასრულყოფილი-ავტ.) ეკლესია ვართ.

**ჟურნალისტი:** უფალი ერთია.

**მიტროპოლიტი:** დაას უფალი ერთია და მისი ეკლესიაც ერთია. ამიტომაც მრწამსში ვაღიარებთ: “ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო. . .” ეს ერთი ეკლესია არის მართლმადიდებლური. არ არსებობს მრავალი ეკლესია.

**ჟურნალისტი:** ეგოისტურად ხომ არ ჟღერს, რომ ის ერთი ჩვენ ვართ?

**მიტროპოლიტი:** არა. როცა შენ იტალიელს უუბნები, რომ არ ხარ ბერძენიო, რაც სრული სიმართლეა, ამით მას სულაც არ აწყენინებ. თუ მე სხვა პირს ვეტყვი, არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ კათოლიკე ხარ, მაინც ერთ ეკლესიას ვეკუთვნითო, ეს ნიშნავს რომ დავცინი, რადგან ეკლესიის ყველა მამა გვასწავლის, რომ არის ქრისტეს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

**ჟურნალისტი:** რატომ არის ეს მართლმადიდებელი და არა კათოლიკური ეკლესია?

**მიტროპოლიტი:** იმიტომ, რომ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია ინახავს მოციქულთა სარწმუნოებას და წინასწარმეტყველთა სიბრძნეს შეუცვლელად დღევანდელ დღემდე. სამწუხაროდ პაპისტები, რაც ეკლესიას ჩამოშორდნენ, ბევრი მწვალებლური დოგმატი მიიღეს თავის სარწმუნოებაში. მათ შეცვალეს მრწამსი და ბოლოს პაპი გამოაცხადეს დვთის ერთადერთ წარმომადგენლად დედამიწაზე. მათი აზრით პაპი უცდომელია და ვისაც არ აქვს კავშირი პაპთან, მას არ აქვს კავშირი ღმერთთან. მათ ეს დოგმატები ოფიციალურად აქვთ აღიარებული თავიანთ კრებებზე. როდესაც შენ დაუმატებ სარწმუნოების სიმბოლოს სხვადასხვა რამეს, რომელიც წმიდა მამებს არ დაუმტკიცებიათ და მრავალ სხვა ცრუ სწავლებებს, ეს უკვე მწვალებლობაა.

**ჟურნალისტი:** როგორ ეპყრობა ეკლესია მწვალებლებს?

**მიტროპოლიტი:** დიდი სიყვარულით, ჩვენ გვიყვარს პაპი და პაპისტები, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანი. ჩვენ არ გვძულს ისინი, ჩვენ არ უარვყოფთ მათ, როგორც ადამიანებს, მაგრამ ვერ მივიღებთ მათ მწვალებლობას, ვერ მივიღებთ ცრუ სწავლებებს და შეცდომებს. ზუსტად იმიტომ, რომ ჩვენ ისინი გვიყვარს, მათ სიმართლე უნდა უთხრათ.

**ჟურნალისტი:** ყველას თავის სიმართლე აქვს.

**მიტროპოლიტი:** ამიტომაც ვაწარმოებთ დიალოგებს, რომ ისტორიული ფაქტებით დავუმტკიცოთ, რომელ ეკლესიაშია დაცული მოციქულთა სწავლება და სარწმუნოება.

**ჟურნალისტი:** გჯერათ, რომ ეს დიალოგები შედეგს მოიტანს?

**მიტროპოლიტი:** შესაძლებელია, თუ კი ის შესაბამისი წინაპირობებით წარიმართება. მაგრამ, სამწუხაროდ, ისე, როგორც

ის დღეს მიმდინარეობს, შედეგს ვერ მოიტანს. ამიტომაც არის, რომ წლების შემდეგაც ასეთი დიალოგებით ვერაფერს მივაღწიეთ.

**ჟურნალისტი:** ყველა მხარე თავისას ამბობს?

**მიტროპოლიტი:** საუბარი უნდა წარიმართოს წმიდა წერილის შესაბამისად, სიმდაბლითა და სიყვარულით ქრისტეს ჭეშმარიტების შესაცნობად. ყველაფერი შეიძლება საკმაოდ გამარტივდეს.

**ჟურნალისტი:** ეს დიალოგები სიმდაბლის და სიყვარულის ატმოსფეროში მიმდინარეობს?

**მიტროპოლიტი:** არ ვიცი, მე მათ არ ვესწრები. მაგრამ მე არ მინახავს რაიმე ხელშესახები შედეგი მათი დასკვნებიდან.

**ჟურნალისტი:** პაპის საწინააღმდეგოდ იბეჭდვა წიგნები და მზადდება პროტესტი.

**მიტროპოლიტი:** არ უნდა მოხდეს არეულება და შეურაცხყოფები. ერთია ხმის ამაღლება და მეორე არეულობა. მე საზოგადოდ და გასაგებად გამოვთქვი ჩემი უთანხმოება პაპის ვიზიტთან დაკავშირებით და მთელი სულით განვაცხადე, რომ პაპი მწვალებელია, იგი არ არის ეპისკოპოსი, არ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, – ეს გაცხადებულია წმიდა მამათა მიერ. თუ ვცდები, მზად ვარ გაკიცხვისთვის. მაგრამ ეს უნდა მოხდეს წმიდა მამათაებრ და არა გლობალიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე. რომ არ ვეთანხმები, ეს არ ნიშნავს, რომ ეკლესის წევრი არ ვარ.

**ჟურნალისტი:** არ ფიქრობთ, რომ თქვენი განცხადებით უფრო მეტად აღელლება ის ხალხი, ვინც უკვე ისედაც შეშფოთებულია?

**მიტროპოლიტი:** ჩვენ გულწრფელად და პასუხისმგებლობით ვამბობთ იმას, რაც უნდა გვეთქვა და არ ვაღვივებთ ცეცხლს. არ მინდა ისე გამოგწნდე, თითქოს ვეთანხმები პაპის კვიპროსზე ყოფნას. სინდის სხდომაზე მთავარებისკოპოსმა საკმაოდ დემოკრატიულად მიიღო ჩვენი წინააღმდეგობა. . პაპი ყოველთვის ფორმალობებით საუბრობს, რასაც კვიპროსზე ჩამოსვლისასაც გააგრძელებს. მაგრამ ამით მნიშვნელოვანი არაფერი შეიცვლება. . . როდის იყო, რომ პაპს მართლმადიდებელი ეკლესია დაუცვია? რამდენჯერ ვიყავით დაპყრობილები და როდისმე თუ დავუცვივართ? თუნდაც გავიხსენოთ, თუ რა საშინელ დღეში ვიყავით ფრანკების უღლის ქვეშ, სხვადასხვა პაპების და მათი ბრძანებების მეშვეობით ჩვენი განადგურება რომ სურდათ. დღეს ჩვენ ვიხსენებთ 13 კანტარელ (Kantara) მოწამეს,

**რომლებიც პაპის ბრძანებით მოაკვდინეს.** 400 წელი ვცხოვრობდით ფრანგების სასტიკი მმართველობის ქვეშ. ისინი უარესები იყვნენ, ვიდრე თურქები. მაგრამ არ მინდა ახლა წარსულს ჩავულრმავდე. .

. დღეს მე წინააღმდეგობას გამოვთქვამ მხოლოდ თეოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე. როდესაც ჩვენ ეპისკოპოსებად დაგვასხეს ხელი, აღთქმა დავდეთ მართლამიდებელი სარწმუნოების დაცვაზე.

**ჟურნალისტი:** ის სასულიერო პირები, ვინც პაპს დახვდებიან, არ დაიცავენ სარწმუნოებას?

**მიტროპოლიტი:** პავლე მოციქულმა ბრძანა: ვინც ხორცს არ იხმევს, ნუ განიკითხავს მათ, რომლებიც იხმევენ. მე არ განვიკითხავ მათ, ვინც შეხვდება პაპს, მაგრამ არც მე მინდა ვიყო განკითხული წინააღმდეგობისათვის. ვატიკანი უმიზეზოდ არაფერ აკეთებს. . . წინა კვირას წერილი (ცირკულარი) იქნა წაკითხული ეკლესიაში იმ ეპისკოპოსთა დასახელებით, ვინც დაესწრება პაპთან შეხვედრას, რაც გასაკვირი იყო მრევლისთვის. ჩვენ გადავწყვიტეთ, გამოგვეცა წერილი სამწყსოსათვის, რომ ხალხი ერთად დამდგარიყო და არ აყოლოდნენ „მეძღვლისტილებს”, რომელთაც მათი მოწყვეტა სურთ ეკლესიიდან. პაპის ვიზიტთან დაკავშირებით ჩვენი არაინფორმირებულობა და უარყოფითი დამოკიდებულება გარკვევით არ იყო განცხადებული.

**ჟურნალისტი:** თქვენი აზრით რატომ სტუმრობს პაპი კვიპროსს?

**მიტროპოლიტი:** როგორც თქვენთვის ცნობილია, პაპისტებს სერიოზული კრიზისი აქვს ყველა იმ სკანდალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რამაც ბოლო დროს კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ გათყდერა.

**ჟურნალისტი:** პედოფილიას გულისხმობთ?

**მიტროპოლიტი:** არ მსურს ამ საკითხს ჩავულრმავდე, მაგრამ თითქმის ყოველ დღე იბეჭდება ამ უბედურების შესახებ. არ განვიკითხავ, მაგრამ პაპს თავის თავი მიაჩნია ქრისტეს ერთადერთ მოადგილედ დედამიწაზე. ეს არის ამ მოგზაურობების მიზეზი.

**ჟურნალისტი:** მან აღნიშნა, რომ პავლე მოციქულის ნაკვალევს მიყვება.

**მიტროპოლიტი:** პავლე მოციქული 500 ათასიანი დაჯავშნული მანქანით არ მოგზაურობდა. როგორც ჩვენ გავიგეთ, კვიპროსის

მთავრობამ ეს მანქანა მისი მხოლოდ ორი დღის ვიზიტისთვის უნდა შეიძინოს. მე აღმაშფოთა ამ ინფორმაციამ და ვთქვი, რომ დაჯავშნული მანქანა არ შემვენის ქრისტეს მოადგილეს, და ამ ეკონომიკური კრიზისის დროს ხალხმა უნდა გაიღოს ამხელა ხარჯები. . . პაპის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იგი ხელს შეუწყობს ჰუმანისტური და ქრისტიანული პრინციპების და ფასეულობების განმტკიცებას და სურს პავლე მოციქულის გზით იაროს და ძმურად შეხვდეს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს კეთილი სურვილებით. . . ჩვენ არ ვკამათობთ მის კეთილ სურვილებზე. იმედია, ეს ასეა და მიემსგავსება პავლე მოციქულს და გაეცნობა მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმურს. ვუსურვებთ მას, დაბრუნებოდეს ეკლესიას და გახდეს ჭეშმარიტი ეპისკოპოსი, ისეთი, როგორიც იყო განხეთქილებამდე. ეს იქნება ერთადერთი ნამდვილი გაერთიანება.

**ჟურნალისტი:** როგორ ფიქრობთ, რა იმაღლება ამ ვიზიტის უპა?

**მიტროპოლიტი:** ვატიკანი არასოდეს მოქმედებს უმიზეზოდ და გაუთვალისწინებელ ნაბიჯებს არ დგამს. ყველა ეს მოგზაურობა ერთ მიზანს ისახავს, – იგი გამოჩენდეს ქრისტიანული სამყაროს ლიდერად. ამჟამად იგი არ გახდავთ ჭეშმარიტი ეპისკოპოსი, არც მართლმადიდებელი, ამიტომ მას არ შეუძლია წარმოგვიდგეს, როგორც პირველი ეპისკოპოსი.

**ჟურნალისტი:** ხომ არ ფიქრობთ რომ ყველაფერი ამის უკან პოლიტიკური მიზნები იმაღლება?

**მიტროპოლიტი:** არ ვიცი, მაგრამ არა მგონია ამ ვიზიტით რაიმე პოლიტიკური სარგებელი მივიღოთ: მხოლოდ უზარმაზარი ხარჯები და უთანხმოება მორწმუნეთა შორის.

**ჟურნალისტი:** მთავარეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ვინც ამ ვიზიტის წინააღმდეგია, თავს ეკლესიის გარეთ აყენებს?

**მიტროპოლიტი:** მოითმინეთ! ეკლესია, როგორც ამას მთავარეპისკოპოსი აღნიშნავს, დემოკრატიული ინსტიტუტია. ერთია საწინააღმდეგოდ ხმა აღიმაღლო დასაშვები ფორმით და სხვაა, არ ეულობა და შფოთი. მთავარეპისკოპოსმა თავისი უფლებამოსილების საზღვრები კარგად იცის.

**ჟურნალისტი:** განსხვავებული აზრი როგორ მიიღო წმინდა სინოდმა?

**მიტროპოლიტი:** მთავარეპისკოპოსი პატივს ცემს ჩვენს შეხელულებებს, რადგან იგი დემოკრატი ადამიანია. ის დიდი სიყვარულით გვეპყრობა ჩვენ.

**ჟურნალისტი:** იმის მერე, რაც ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ როგორ იქნა იგი არჩეული მთავარეპისკოპოსად, როგორ შეიძლება მას დემოკრატი გუწიოდო? ფორმალურად იგი ხმის უმრავლესობით იქნა არჩეული. პრაქტიკულად კი მისი არჩევა არცთუ ისე დემოკრატიული გზით მოხდა.

**მიტროპოლიტი:** ამის განხილვას ახლა არ ვაპირებ ჩემი მდგომარეობის (თანამდებობის) გამო. თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ სინოდის სხდომებზე იგი საკმაოდ დემოკრატიულია, ვერ ვიტყვი რომ განსხვავებულ მოსაზრებებს პატივს არ სცემს, იგი ყველას გვისმენს.

**ჟურნალისტი:** ეკლესიის ახალი წესდება დემოკრატიული პრინციპებით დაცვით არის დაწერილი?

**მიტროპოლიტი:** იგი მთავარეპისკოპოსს არ დაუწერია, სინოდის შესაბამისმა კომიტეტმა შექმნა ეს ღოკუმენტი და განსახილველად მრავალჯერ იყო წარმოდგენილი. საბოლოო გადაწყვეტილება ხმების უმრავლესობით მიიღება.

**ჟურნალისტი:** ხალხს ისეთი აზრი რჩება, რომ წესდება იმგვარად იქნა შედგენილი, რომ თქვენ ხელი შეგშლოდათ მთავარეპისკოპოსის ტახტის დაკავებაში?

**მიტროპოლიტი:** ღმერთმა მრავალი წლის სიცოცხლე მისცეს მთავარეპისკოპოსს, ჩვენ ახალი არჩევნები არ გვჭირდება.

**ჟურნალისტი:** მთავარეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ეკლესიის მეთაურის ტახტს მხოლოდ 5 წლის განმავლობაში დაიკავებადა, ანუ 2011 წლის ბოლომდე.

**მიტროპოლიტი:** როგორც წმიდა წერილშია ნათქვამი, ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე! მხოლოდ მთავარეპისკოპოსს უნდა კითხოთ, თუ რას აპირებს მომავალში. ჩემი სურვილია, რომ არჩევნების პროცესი მალე არ წარიმართოს. . . ჩვენი ცხოვრების მიზანი არ არის მთავარეპისკოპოსად გახდომა.

**ჟურნალისტი:** რა არის თქვენი ცხოვრების მიზანი?

**მიტროპოლიტი:** ცხონება, ღმერთთან ერთად ყოფნა, ღვთისა და მოყვასის სიყვარული.

ინტერვიუს ინგლისური ვარიანტი ამოღებულია: <http://vatopaidi.wordpress.com/>

## 5. რომო-კათოლიკებთან ანტიმართლმადიდებლური დიალოგი ვენაში გაგრძელდება

დიალოგის შერეულმა კომისიამ, კვიპროსზე გამართული უნაყოფო განხილვის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიალოგი გაგრძელდება „ვენაში 2010 წლის 20-27 სექტემბერს. კარდინალ ქრისტოფ შონბორნის (Christoph Schonborn) მოწვევით“.



საბერძნეთის სინოდისა და იერარქების წინაშე დაისვა საკითხები (იოანე ტაცისი, თეოლოგი), რომლებიც კვლავ აქტუალურია ვენის შეხვედრის წინ. გთავაზობთ ამ საკითხების პერიფრაზას ვენის შეხვედრის კონტექსტში:

- ❖ მიიღებს თუ არა საბერძნეთის ეკლესია მონაწილეობას ვენაში დაგეგმილ საღვთისმეტყველო დიალოგის შერეული კომისიის მუშაობაში თუ, შესაძლოა, თავი შეიკავოს მონაწილეობისაგან ისე, როგორც ეს გააკეთა ბულგარეთის საპტრიარქომ კვიპროსის შეხვედრასთან დაკავშირებით?
- ❖ თვლიან თუ არა ისინი პაპიზმს „და-ეკლესიად“, რომელშიც ნათლობა და სხვა საიდუმლოებები ნამდვილ საიდუმლოებებს წარმოადგენენ?
- ❖ ეთანხმებან თუ არა ელადის იერარქები იმას, რომ „პაპიზმი არის ერესთა ერესისა და ცდომილებების წარმომშობელი“, და რომ „ერეტიკოსებთან ჩვენი ერთობის აღდგენის ერთადერთი

- საშუალება არის მათი მხრიდან თავიანთი მწვალებლობებისა და ცდომილებების უარყოფა და სინანული, რაც იქნება საფუძველი ჭეშმარიტი ერთობისა და მშვიდობისათვის“, როგორც ეს გამოთქმულია „სარწმუნოებრივ აღმსარებლობაში ეკუმენიზმის წინააღმდეგ“ 20000-ზე მეტი სამღვდელოების, ბერმონაზვნისა და ერისკაცის მიერ? შეგახსებნებთ, რომ „სარწმუნოებრივ აღმსარებლობას“ ხელი სამმა მიტროპოლიტმა და ელადის ეკლესიის იერარქებმაც მოაწერას.
- ❖ თუკი მიღებულ იქნება ვნების შეხვედრაში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილება, მაშინ გაკეთდება თუ არა კრიტიკული განცხადება განსახილველ საკითხთან, „პაპის პირველობასთან“ დაკაგშირებით, და შეთავაზებულ იქნება თუ არა იმავდროულად დიალოგი განსხვავებების შესახებ დოგმატებთან მიმართებაში, მ.შ. ფილიოკვესთან (filioque), ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა განხილვის აუცილებლობაზე მიუთითებდა პროფესორი ცელინგიდისი?
- ❖ მონაწილეობის შემთხვევაში რომელი ეპისკოპოსები წარმოადგენს ელადის ეკლესიას ვენაში?
- კომისიის დასკვნა კვლავ „სამეცნიერო“ მომზადე-ბის ჭრილში გაკეთდება თუ ეპისკოპოსები არჩევენ ანტიპა-პისტური და აღმსარებლური პოზიციით მუშაობას?
- იგივე კითხვები უნდა დაისვას ყველა ადგილობრივი ეკლესიის იერარქების წინაშე, ვინაიდან ამ დიალოგებში კონსტანტინო-პოლის საპატრიარქოს პროპა-პისტური პოზიცია და აქტიუ-რობა მორწმუნე ერის შეშფო-თებას იწვევს. ამას ემატება რიგი ეპიკოპოსის ღიად ეკუმე-ნისტური მოღვაწეობა,
- 

მიტროპოლიტი ზიზიულასი,  
რომო-კათოლიკებთან დიალოგის  
შერეული კომისიის თავმჯდომარე  
მართლმადიდებელების მხრიდან

რომლებიც ისე მოქმედებენ, თითქოს პაპისტებთან შეერთება უკვე  
მოხდა.

რომო-კათოლიკური საკრებულო და კონსტანტინოპოლის საპატიარქო ანტიმართლმადიდებლური ალიანსით ცდილობს, მოამზადოს მართლმადიდებელთა და პაპისტთა უნია. ამ მიზნით აქტიური მომზადება მიმდინარეობს არა მხოლოდ გენის შეხვედრასთან, არამედ პაპის იმ ქვეყნებში ვიზიტებთან დაკავშირებით, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას მართლმადიდებლები წარმოადგენებ. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა კვიპროსია, რომლის სინოდმაც მიმართა კვიპროსელ მართლმადიდებლებს გაჩუმებისა და პაპთან შეხვედრისთვის მზადების მოთხოვნით, რომ „თავი შეიკავონ ფანატიზმის გამოვლინებისა და ანტიკლესიური პროტესტებისაგან“. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კვიპროსის სინოდის გადწყვეტილება არის მთელი ეკლესიის, თუნდაც ადგილობრივი ეკლესიის ხმა. არსებობს წმიდა მამათა სავსებით მკაფიო სწავლება იმის შესახებ, რომ თუ იერარქია თავის ქმედებებში და გამონათქვამებში ეწინააღმდეგება მამათა სარწმუნოებასა და ღმრთის ერის ნებას, მაშინ იგი არ არის ეკლესიის ცნობიერების გამოხატულება, არამედ ცალკეული იერარქის, თუნდაც იერარქიის უმრავლესობის კერძო აზრი. რიგ მართლმადიდებელ იერარქთა დღევანდელი განცხადებები რომის პაპის და მისი „ეკლესიის“ მისამართით არის ოდენ პოლიტიკური თამაშები, რომლებშიც ხდება მართლმადიდებელი იერარქიის ჩათრევა, რომელთაგან არც თუ მცირეს აქეს ვატიკანისადმი სიმპატიები. ამას გარდა, როგორც აღნიშნავენ ეკლესიის ანალიტიკოსები, კვიპროსის მთავარეპისკოპოსის ასეთი თბილი დამოკიდებულება პაპისადმი განპირობებულია იმის იმედით, რომ ვატიკანი პოლიტიკურ მხარდაჭერას აღმოუჩენს კვიპროსის ბერძენ მოსახლეობას თურქებთან გაჭირულებულ კონფლიქტში. არსებითად, არ არის საჭირო დიდი დაკვირვება კვიპროსის პრობლემასთან დაკავშირებით, რომ აღმოვაჩინოთ იგივე მეთოდების გამეორება, რომლებსაც იყენებდნენ ბიზანტიული იმპერატორები დაღუპვის გზაზე მდგარი რომის იმპერიის (ბიზანტიის-ავტ.) „გადასარჩენად“. და როგორც ჩვენ ვიცით, – ყველაფერი სავსებით ფუჭი აღმოჩნდა.

მართლმადიდებელ მორწმუნეთა მეხსიერებაში დღემდე არის შემორჩენილი ხსოვნა მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსის

„ლოცვაკურთხევით“ პოლიციის მიერ განხორციელებული ბერმონაზონთა და საერო პირთა მიმართ იმ საშინელი და უცერემონიო ანგარიშსწორებისა, რომლებიც აპროტესტებდნენ კვიპროსზე, პაფოში, გასული წლის ოქტომბერში, გამართულ რომო-კათოლიკებთან დიალოგს. მაშინ მლოცველი ბერებისკენ მიმართუს ხელკეტები. აქ უპრიანია გავიხსენოთ მაქსიმე აღმსარებლის დროინდელი ეკლესიის ისტორია, როდესაც ფართოდ გავრცელებული მონოთელიტური მწვალებლობის წინააღმდეგ ბიზანტიიაში მხოლოდ მაქსიმე აღმსარებელი და მის გარშემო შემოკრებილი მცირე ჯგუფი გამოდიოდა, და ამ ბრძოლამ, ღმრთის შეწევნით, ეკლესია იხსნა მწვალებლობისაგან. ამ ისტორიის მაგალითი ჩვენი დროისათვის ის არის, რომ ჩვენ, მორწმუნებს, გვესმოდეს და ვაცნობიერებდეთ პირად პასუხისმგებლობას მართლმადიდებელი სარწმუნობის დაცვის საქმეში, რომ უნდა ვიღვაწოთ და არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იერარქების აშკარა ანტიეკლესიურ დამანგრეველ ქმედებებს. უნდა გვახსოვდეს აღმოსავლელ პატრიარქთა 1848წ. 6 მაისის შესანიშნავი მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე, რომელშიც ისინი აღნიშნავენ: „ჩვენში არც პატრიარქებს და არც (საეკლესიო) კრებებს არასდროს შეეძლოთ შემოუტანათ რაიმე სიახლე, იმიტომ, რომ კეთილმსახურების დამცველ-შემნახავი ჩვენში არის თვით სხეული ეკლესიისა, ანუ თვით მორწმუნე ერი, რომელსაც ყოველთვის სურს, თავისი სარწმუნოება უცვალებლად და წმიდა მამათა რწმენასთან თანხმობით დაცვა“ (ეპისტოლე, § 17).

P.S. სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ ვენის შეხვედრა სტამბულში გადმოიტანეს. სრულიად ნათელია, რომ პატრიარქი ბართლომე თავის მოედანზე ცდილობს მოვლენების გადმოტანას. ისიც ცხადია, რომ სტამბულში მართლმადიდებელთა საპროტესტო გამოსვლა გაცილებით უფრო შეზღუდული იქნება, ვიდრე ვენაში. სახეზეა მზაკვრული და ძალადობრივი ქმედება იმ მიზნების მისაღწევად, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

## 6. დიალოგი რომო-კათოლიკებთან

რომო-კათოლიკურ ეკლესიასთან დამოკიდებულების საკითხი დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს საკითხად, რადგან ერთობლივი

დიალოგების წარმოება გამუდმებით გვინერგავს აზრს, რომ თითქმის ლათინთა საკრებულო არის ჩვენი ეკლესის და-ეკლესია, რომელმაც შეინარჩუნა მოციქულებრივი მემკვიდრეობითობა, საიდუმლოთა მადლმოსილება, მართლმადიდებლობასთან სარწმუნოებრივი ერთობა (ბალამანდის შერეული კომისიის დასკვნითი დოკუმენტი. 1993 წ.). ეს დებულებები არ შეესაბამებიან სინამდვილეს.



აუცილებელია გავიგოთ,  
რომ თავად ამ  
ს ა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ღ რ  
დიალოგებმა დიდი ხანია  
უდალატეს თავის პირვანდელ  
ამოცანას – გამოავლინონ  
დოგმატური განსხვავებები და  
ჩაატარონ მათი  
გამოწვლილვითი ანალიზი.

თანამედროვე დიალოგები მიმდინარეობს ე.წ. „სიყვარულის დიალოგების“ სქემით, რომლებმაც შეცვალეს ნამდვილი საღვთისმეტყველო დიალოგები. ამ ტიპის დიალოგის აზრი ის არის, რომ უარი თქვას დოგმატური და სარწმუნოებრივი განსხვავებების განხილვაზე, აღარაფერს ვამბოთ საეკლესიო წესებზე. განხილვის საგანი არის ის საკითხები, რომლებმაც უნდა შეაერთოს ოდესაც ერთი ეკლესიის შემადგენელი განყოფილი ნაწილები.

როგორც ამას საზო უსვამენ რომო-კათოლიკებთან თანამედროვე დიალოგის განვითარების შესახებ ზოგიერთი ანალიტიკური მიმოხილვები, დიალოგი თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა, რომელიც განმტკიცებულია თავის ახალ იდეოლოგიურ იდეაში: აღდგენა სრული ეკქარისტიული ერთობისა. ხოლო რადგან ეკქარისტიული ერთობა არის სარწმუნოებაში სრული ერთობის მოწმობა, ამიტომ უნდა იგულისხმებოდეს, რომ სარწმუნოებრივ საკითხებში მართლმადიდებლებმა და რომო-კათოლიკებმა სრულ თანხმობას მიაღწიეს. ამიტომ, ამ მოჩვენებითი სინამდვილიდან გამომდინარე, რომო-კათოლიკებთან დიალოგის შერეული კომისია უკვე გადავიდა ისეთი საკითხის განხილვაზე, როგორიცაა რომის ეპისკოპოსის ადგილი ეკლესიაში. საკითხის განხილვა ორ ეტაპად გაყვეს: რომის ეპისკოპოსი და მისი ადგილი ეკლესიაში I

ათასწლეულში, შემდეგ კი – II ათასწლეულში. სავსებით სამართლიანად, ეკლესიის სწავლებაზე დაყრდნობით, წმიდა ათონის მთამ და თესალონიკის უნივერსიტეტის პროფესორმა, დიმიტრი ცელინგიძისმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას იმიტომ, რომ ის არათანადროულია და ხელოფტურად არის წამოწეული. ამ საკითხის განხილვა მხოლოდ მას შემდეგ უნდა მოხდეს, რაც დეტალურად იქნება განხილული დოგმატური და სარწმუნოებრივი განსხვავებები, დაძლეული ცდომილებები და გამოხატული სინანული.

უნდა ითქვას, რომ 1054 წლის დიდი სქიზმის შემდეგ მთელი სისავსით უცბად არ ჩამოყალიბებულა ეკლესიის დამოკიდებულება რომო-კათოლიციზმისადმი, თუნდაც იმიტომ, რომ მწვალებლობის გზაზე შემდგარი რომო-კათოლიკები თავიანთ მწვალებლურ სწავლებას, ე.წ. ფილიოკვეს, სულ ახალ და ახალ ცდომილებებს უმატებდნენ. მართლმადიდებელი ეკლესიის XIV საუკუნის კრებები მიმართული იყო მართლმადიდებლური სწავლების დასაცავად ლათინთა იმ ცრუსწავლებისაგან, რომლებიც უარყოფნებ ღმრთის მადლის უქმნელობას, ხოლო ფერარო-ფლორენციის კრებაზე 1337-38 წლებში განიხილებოდა ისეთი სიახლეები, როგორიცაა სწავლება განსაწმდელ ცეცხლზე, ეკქარისტიის მსახურება უფური პურით (ეს უკანასკნელი წესი ლათინებმა სომხებისგან აიღეს, რომლებმაც, თავის მხრივ, ეს წესი აპოლინარის მიმდევრებისაგან გადაიღეს). უკვე ამ პერიოდისათვის რომო-კათოლიციზმზე, როგორც მწვალებლობაზე, საქმაოდ დასრულებული შეხედულება და დამოკიდებულება ჩამოყალიბდა.

მრავალ ცდომილებათაგან აღნიშნავთ სწავლებას, რომელიც მეტად მისაღებია ეკუმენისტური მოძრაობისათვის, როგორიცაა „ნათვლითი ღვთისმეტყველება“. ეს თეორია, ცდილობს რა გვერდი აუაროს წმინდამბებრივი ეკლესიოლოგიის მკაცრ ჩარჩოებს, რომლებიც სქიზმატებსა და ერეტიკოსებს ანათემისა და წყვეტის ქვეშ, ანუ ეკლესიის გარეთ აყენებენ, წამოსწევს სავსებით მცდარ იდეას მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთ ნათლობის საიდუმლოს ნამდვილობის შესახებ, და როგორც შედეგი, ამტკიცებს, რომ არამართლმადიდებლური დენომინაციები, ნათლობის გზით, ეკლესიას ეკუთვნიან.

## 7. პაპის პირველობის საკითხი



როგორც აღინიშნა, პაპისტები პაპის პირველობის მისაღწევად ასეთ მზაკვრულ ხერხს მიმართავენ: ჯერ ცდილობენ პაპის პირველობა აღიარებინონ I ათასწლეულში. ხოლო შემდეგ, ამაზე დაყრდნობით, მიაღწიონ აღიარებას II ათასწლეულშიც. I ათასწლეულში რომის ეკლესიის საკითხი განიხილებოდა კვიპროსზე, პაფოში გასული წლის ოქტომბერში ჩატარებულ შერეული კომისიის სხდომებზე, თუმცა სავსებით უშედეგოდ. იქ განხილულ დოკუმენტთან დაკავშირებით ჩვენ წარმოგადგინეთ ჩვენი დასკვნა და მოსაზრებები, რომელსაც ახლა გთავაზობთ.

შენიშვნები და მოსაზრებები დოკუმენტთან –  
„რომის ეპისკოპოსის როლი ეკლესიის ერთობაში  
პირველ ათასწლეულში“, კრეტა, საბერძნეთი, 27.09 -  
4.10, 2008წ. (3 ოქტ, შესწორებული გარიანტი) –  
დაკავშირებით

### I. ზოგადი შეფასება

საქართველოს ადგილობრივი, სამოციქულო ეკლესიის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი მიუღებლად მიიჩნევს დოკუმენტს, – „რომის ეპისკოპოსის როლი ეკლესიის ერთობაში პირველ ათასწლეულში“, კრეტა, საბერძნეთი, 27.09 - 4.10, 2008წ. (შემდგომში – „დოკუმენტი“), – როგორც მთლიანობაში, ასევე მის ყველა იმ მუხლს, რომლებიც ერთობლიობაში განსაზღვრავენ დოკუმენტის შინაარსს. ასევე მიუღებლად მიგვაჩნია „დოკუმენტის“ განხილვა რომაელ-კათოლიკებთან ერთად მათ მიერ თავიანთი ცდომილებების აღიარებამდე. დოკუმენტისა და მისი განხილვის მიუღებლობას, ზოგადი თვალისწილით, გააჩნია ორი ძირითადი ასპექტი:

1. დღევანდელ რომის საკრებულოს, „წმინდა საყდარს“, როგორც ის თავის თავს უწოდებს, არაფერი აქვს საერთო „პირველი ათასწლეულის“ რომის ეკლესიასთან, რომელიც დედა ეკლესის განუყოფელი ნაწილი იყო. 1054 წელს რომის საკრებულო ჩამოშორდა დედა ეკლესიას და ანათემა, რომელიც ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ გაიზიარა, მიუხედავად ზოგიერთის პირველული ინიციატივისა, დღესაც ძალაშია. ამიტომ რომაელ-კათოლიკებთან ერთად „დოკუმენტის“ განხილვა უსაგნოდ მიგვაჩნია;
2. თავად საკითხი რომის ეკლესიისა და მისი ეპისკოპოსის პირველობისა რომაელ-კათოლიკეთა მიერ განიხილება მცდარად და მათი მიდგომა ამ საკითხისადმი ეწინააღმდეგება სახარებასა და მოციქულთა სწავლებას, მსოფლიო საეკლესიო კრებების განჩინებებსა და, საზოგადოდ, ქრისტიანობისა და ეკლესიის სულს. ეს ცდომილებები განსახილველ „დოკუმენტშიც“ არის წარმოჩენილი და, ამდენად, მიუღებელია.

ისტორიულად რომის პაპის უკანონო და უსაფუძვლო პრეტენზია ეკლესიაში მეთაურობაზე ეკლესიათა განყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა. რომაული კათოლიციზმის მთელი მოძღვრებისა და დოგმატიკის ერთ-ერთი საფუძველი, სწავლება ეკლესის ხილული თავის, „ქრისტეს მოადგილისა და ნაცვლის“, პაპის ძალაუფლებისა და უცდომელობის შესახებ, ეწინააღმდეგება ეკლესის სწავლებას, ღმრთის სიტყვასა და მოციქულთა სწავლებას ეკლესის შესახებაც და ჭეშმარიტების შეცნობის შესახებაც.

დოკუმენტი აგებულია შემდეგი პრინციპით: მის ძირითად ნაწილს და შინაარსს შეადგენს რომაელ-კათოლიკეთა სწავლება რომის ეკლესიისა და მისი ეპისკოპოსის პირველობის, უპირატესობის, უფროსობის, განსაკუთრებული უფლებების, გამაერთიანებელი და მაკორდინებელი ძალმოსილებისა და როლის შესახებ. ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ არსებობს აღმოსავლეთის ეკლესიის განსხვავებული მოსაზრებები, თუმცა „დოკუმენტი“ ამ განსხვავებას არ მიიჩნევს ისტორიულ ასექტში დამაბრკოლებელ ფაქტორად ერთობისათვის და, ამდენად, მიანიშნებს იმაზე, რომ დღესაც შეიძლება მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აღიარებულ იქნეს რომის საკრებულოსა და მისი პაპის პრიმატი.

„დოკუმენტი“ მთავრდება სიტყვებით, რომ „საერთო საკოორდინაციო კომიტეტი შეთანხმდა, რომ გარკვეული პარაგრაფები, კერძოდ 10, 21 და 24, შემდგომ განხილვას საჭიროებს“. თუ ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ამ პუნქტების გარდა ყველა სხვა პუნქტი არ არის პრობლემატური და მათთან დაკავშირებით მიღწეულია თანხმობა მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის, მაშინ გვინდა განვაცხადოთ, რომ დოკუმენტის უმთავრესი პუნქტები, ისინი, რომლებიც განსაზღვრავენ დოკუმენტის შინაარს, არის მიუღებელი მართლმადიდებელთათვის და იმის მტკიცება, რომ ამ პუნქტებთან დაკავშირებით არსებობს თანხმობა, არ შეესაბამება სინამდვილეს და, ამდენად, მიუღებელია.

## II. ზოგადი პუნქტობრივი შეფასება

ზოგადი დასკვნის შემდეგ გადავიდეთ დოკუმენტის ზოგად, პუნქტობრივ განხილვაზე.

პ1. დოკუმენტის შესავალი, მისი პირველი პუნქტი, ჩვენი თვალსაზრისით, არააღექვატურად აფასებს განვლილ სამუშაოს, წინამორბედ, რავენას დოკუმენტთან დაკავშირებით არსებულ აზრთა სხვადასხვაობას. ამაზე მეტყველებს „დოკუმენტის“ სიტყვები: „კათოლიკები და მართლმადიდებლები აღიარებენ..“; „ისინი ასევე თანხმდებიან...“ და ა.შ., რაც ქმნის ილუზიას, თითქოს რავენას დოკუმენტის განხილვის შემდეგ კათოლიკები და მართლმადიდებლები პრინციპულად შეთანხმდენ „რომის კლესის პირველობის“, „რომის ეპისკოპოსის პირველობის“ და მის, როგორც „პატრიარქთა შორის პირველის“, „მთავარი საყდრების ეპისკოპოსებს შორის პირველის“ შესახებ საკითხში, ასევე „ეკლესიების ერთობაში რომის ეკლესიის როლის“ საკითხთან დაკავშირებით („დოკუმენტი“, შესვალი, პ.1). ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ქონდა და აქვს რომაელ-კათოლიკებისაგან განსხვავებული მოსაზრებები, რაც აღნიშნული და წარმოდგენილი იყო რავენას დოკუმენტთან დაკავშირებით და რაზეც ქვემოთაც გვექნება საუბარი.

პ2. ამ პუნქტში წინამორბედი პუნქტის საკითხები I ეტაპად,

შეთანხმებულ საკითხებად არის მიჩნეული და გვთავაზობს II ეტაპის თემას „**რომის ეპისკოპოსის როლი ეკლესიის ერთობაში პირველ ათასწლეულში**“. ასეთი მიღებობა და ინტერპრეტაცია არამართებულია, ვინაიდან I ეტაპის საკითხებში თანხმობა არ არის მიღწეული და II ეტაპი, ამდენად, უსაფუძვლოა. პ3. ეს პუნქტი გვთავაზობს II ეტაპის თემის დაკონკრეტებას, მის გაშლას ოთხ თემად, რომელთა ფორმულირებაშიც ნათლად გამოსჭვივის რომაულ-კათოლიკეთა სწრაფვა პირველობისაკენ. ასევე ამ ფორმულირებში ასახულია ის მცდარი მიღები, რომლებიც ახასიათებს რომაულ-კათოლიკებს მოსაყდრეობასთან დაკავშირებით. ასეთია სიტყვები: „**რომის ეკლესია, პირველი საყდარი**“, „**რომის ეპისკოპოსი, როგორც პეტრეს მოსაყდრე**“. რომაულ-კათოლიკეთა მიღების მცდარობა გადმოცემულია ქვემოთ, დოკუმენტის დეტალურ განხილვაში.

პპ. 4–15. ამ პუნქტებში გადმოცემულია რომაულ-კათოლიკეთა ცნობილი მიღები და მტკიცებულებანი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება: რომის ეკლესიის პირველობის (პ.4,8), მისი „**უფროსობისა და წინამდღოდობის**“ (პ.5), მოციქულების პეტრესა და პავლეს მიერ მისი დაფუძნებისა და მისთვის სისხლთან ერთად მთელი სწავლების მიმადლების, „**მისი უფრო განსაკუთრებული წარმომავლობის**“, „**მისი უფრო დიდი უფლებამოსილების**“ (პ.6), ეკლესიის ერთიანობის პეტრეში სიმბოლიზების, რომელსაც მიეცა პირველობა (პ.10), რომის ეკლესიის, როგორც „**ეკლესიის სიცოცხლის უნივერსალურობის**“ მატარებლის (პ.12), საკითხებს. მოქადაგად იმისა, რომ ხსენებულ პუნქტებში არის რამოდენიმე მეორეხარისხოვნი კრიტიკული შეფასება (მაგ. „**დეკრეტალებთან**“ დაკავშირებით (პ.15)), მთლიანობაში ეს პუნქტები წარმოადგენენ რომაულ-კათოლიკურ მიღებას ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უფრენება სახარების მცდარ ინტერპრეტაციასა და უსაფუძვლო მსჯელობებს, რაც სავსებით მიუღებელია ეკლესიოლოგიური, სახარებისეული გაგებითა და მოციქულთა სწავლებით.

მე-4 პუნქტი იწყება სიტყვებით, რომ „**კათოლიკები და მართლმადიდებლები თანხმდებიან, რომ მოციქულთა დროიდან**

**რომის ეკლესია აღიარებული იყო როგორც პირველი სხვა ადგილობრივ ეკლესიებს შორის, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში“.** ხასგასმით აღვნიშნავთ, რომ პირველობის საკითხი მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს განსხვავებულად ესმით: პირველებს – სახარებისულად, მეორებს – პროპატისულად.

პ3. 16-22. ეს პუნქტები შეეხება რომის ეპისკოპოსის, როგორც პეტრეს მონაცემლის, და აქედან გამომდინარე, მისი პირველობის საკითხს. რომაელ-კათოლიკეთა მცდარობა, რაც დასახელებულ პუნქტებშიც არის წარმოჩენილი, მომდინარეობს იქიდან, რომ ისინი პატივს აღმატებულ უფლებამოსილებად და პირველობის განმსაზღვრულად მიიჩნევენ, მაშინ როდესაც ეკლესიოლოგიური თვალსაზრისით უპირატესი თანაბართა შორის გულისხმობს თანაბარუფლებიანობას როგორც საღვთისმეტყველო თავალსაზრისით, ისე ინსტიტუციონალური თვალსაზრისით.

მე-17 პუნქტი წარმოადგენს რომაელ-კათოლიკეთა მიერ სახარებისული ტექსტის მცდარად განმარტების ნიმუშს. შემდეგი სიტყვები წარმოადგენს რომაელ-კათოლიკეთა ერთ-ერთ მთავარ ცდომილებას: „**როგორც მემკვიდრე, ჰაპი ზღვა, „სამოციქულო“ და იგი ასევე იმკვიდრებს ქრისტესა და პეტრეს შორის არსებული განუყოფელი ერთობის „კონსორციუმს“.** აქედან გამომდინარე, მის მოვალეობას შეადგენს ყველა ეკლესიაზე ზრუნვა. პეტრეს პირველობა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ქრისტემ მხოლოდ მას მიანდო თავისი ცხვრები. რომის ეკლესია იცავს თავის პრივილეგიებულ ტრადიციას, წმინდა პეტრეს ტრადიციას“. ამ მოსაზრებების დასაბუთებას რომაელი კათოლიკები ცდილობენ სახარების ტექსტის უმართებულო, ეკლესიოლოგიური თვალსაზრისით მიუღებელი ინტერპრეტაციებით. შემდეგი პუნქტები შეიცავს, თუმცა ფრთხილ, მაგრამ მაინც იმ მოსაზრების მტკიცებას, რომ რომის ეპისკოპოსის პირველობა „**განიმარტებოდა როგორც პრეროგატივა, რომელიც მას ეკუთვნოდა იმის გამო, რომ მოციქულთა შორის პირველის პეტრეს მემკვიდრე იყო**“, და რომ, მიუხედავად რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებისა, აღმოსავლეთის მიერ „**ამგვარი**

**განმარტება პირველ ათასწლეულში არასდროს ყოფილა აშკარად უარყოფილი**“, რაც ასევე მცდარ მოსაზრებას წარმოადგენს. ასევე მცდარია თვალსაზრისი (3.21), რომ აღმოსავლეთი პენტარქიას ანიჭებდა ეკლესიის მმართველობის საშუალების მნიშვნელობას.

„დოკუმენტის“ ყველა მომდევნო პუნქტი ემსახურება წინამორბედ პუნქტში აღნიშნული საკითხების დასაბუთების მცდელობას და შეიცავს ყველა იმ ცდომილებასა და წინააღმდეგობრიობას, რომელიც ახასიათებთ რომაელ კათოლიკებს ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ამ თავის დასასრულ აღვნიშნავთ: „დოკუმენტის“ 22-ე პუნქტი ამტკიცებს, რომ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით „განსხვავებული გავება დასავლეთსა და აღმოსავლეთში თანაარსებობდა მრავალი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე პირველი ათასწლეულის დასრულებამდე, მაგრამ ამას არ გაძლიერებია ერთობის გაწყვეტა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „დოკუმენტის“ ავტორები მიიჩნევენ, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ერთობის აღდგენის გზაზე ზემოთ ხსენებული საკითხები არ წარმოადგენენ დაბრკოლებას და შესაძლებელია ერთობა რომის ეკლესიისა და პაპის პრიმატის პირობებში. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ, მართალია პაპის პრიმატი არ ყოფილა ერთადერთი მიზეზი დასავლეთის ეკლესიის განკვეთისა, იყო სხვა მნიშვნელოვანი დოგმატური ცდომილებები და სწავლებები, რომელიც დასავლეთმა ოვითნებურად მიიღო, მაგრამ პაპის პრიმატი მიუღებელია სახარებისეული და მოციქულებრივი სწავლებით და იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას ერთობის აღდგენის გზაზე.

### III. დეტალური შეფასება

ახლა გადავიდეთ დოკუმენტში დასმული საკითხების დეტალურ განხილვასა და შეფასებაზე.

4-15 პუნქტებში განხილული საკითხი – რომის ეკლესია, პირველი საყდარი, და 16-22 პუნქტებში განხილული თემა – რომის ეპისკოპოსი, როგორც პეტრეს მონაცემე, იმდენად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და გადაჯაჭვულნი, რომ ჩვენ მიზანშეწონილად

მივიჩნიეთ მათი ერთობლიობაში განხილვა, იმის ჩვენება, თუ როგორ განაპირობებს ერთი მცდარი მოსაზრება მეორეს, და ყველა ერთობლიობაში როგორ ამტკიცებს რომის საკრებულოსა და პაპის პრიმატის უსაფუძვლობასა და მიუღებლობას.

რომაელ-კათოლიკე ღვთისმეტყველნი ამტკიცებენ, რომ თავად იესო ქრისტემ, რომელიც თავისი მიწიერი ცხოვრების უამს იყო თავი მის მიერ დაარსებული ეკლესისა, თავის შემდეგ უმაღლესი ძალაუფლება ეკლესიაზე პეტრე მოციქულს დაუტოვა, მიანიჭა რა მას სხვა მოციქულთა წინაშე განსაკუთრებული უპირატესობანი, უცდომელობის მაღალი თვისება, ცათა სასუფევლის გასაღებები და დაადგინა მოციქულთა მთავრად, მთელი ქრისტიანული სამყაროს მონარქად. ეს თვალსაზრისი და პათოსი მსჯვალავს მთელ „დოკუმენტს“.

ამ აზრის დასამტკიცებლად რომაელი ღვთისმეტყველნი უპირატესად სახარების სამ ადგილზე მიუთითებენ: როდესაც ფილიპეს კესარიას მხარეში მისულმა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს ჰქითხა, თუ ვინ ჰკონიათ იგი იუდეველებს და თავად მოციქულებს, სიმონ პეტრემ მოციქულთა შორის პირველმა უთხრა მას: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისათ. მიუგო იესუ და პრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სკონ, ბარ ონა, რამეთუ წორცუა და სისხლთა არა გამოგიცხდის, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან. და მე გეტშა შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემი, და ბჭენი ჯოჯოზეთისანი გერ ერეოდიან მას. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათადსანი; და რომელი შეპკრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განკვისნა ქვეყანასა ზედა, ქსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათ. 16,14-19).

სახარების ამ ნაწყვეტის აზრიდან ჩანს, რომ პეტრე მოციქულისადმი წარმოთქმული მაღალი აღთქმანი ეხება არა საკუთრივ პეტრეს პიროვნებას, არამედ მის აღსარებას – თვით ქრისტიანულ რწმენას, რომლის პირველ აღმსარებლადაც აქ პეტრე მოციქული მოგვევლინა, მაგრამ რომელსაც იმავდროულად ყველა სხვა მოციქულიც იზიარებდა და რომელიც მთელი ქრისტიანული სამყაროს მონაპოვარი გახდა. ეს მაღალი აღსარება, ეს რწმენა ქრისტესი, როგორც მე ღვთისასი, კაცთა მოდგმაში შეიქმნა მაგარ ქვად, რომელზეც დაეფუძნა ქრისტიანული ეკლესია, დგას დღემდე

და იდგება სოფლის აღსასრულამდე. სიმონმა პირველმა აღიარა ეს რწმენა და ამიტომ პირველს ეწოდა ქვა (პეტრე), რომელიც უფალმა ეკლესის აღსაშენებლად აიღო. მაგრამ ეს მარტო სიმონის პირადი რწმენა არ ყოფილა. ეს არის საერთო რწმენა ყველა სხვა მოციქულისა და ყველა მორწმუნე ქრისტიანისა. ამიტომ სხვა მოციქულებიც, როგორც ქრისტეს რწმენის გავრცელებისა და განმტკიცების შემწენი, წმიდა წერილში იწოდებიან საფუძლებად, რომლებზეც აღშენებულია ეკლესია (ეფ. 2,20; გამოცხ. 21,14), და ყველა მორწმუნე ქრისტიანი ასევე იწოდება ქვებად, რომელთაგანაც იქმნება ეკლესის დიადი შენობა (I პეტრ. 2,5). მაგრამ უპირველესი საფუძლელი – ქვაკუთხედი, რომელზეც დამტკიცებულია ეს შენობა, ისევე როგორც მისი დამაგვირგვინებული ერთადერთი თავი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ თავად იესო ქრისტეს (ეფ. 2,20-22; I პეტრ. 2,6-7; I კორ. 3,11; ეფ. 1,22).

პეტრემ პირველმა აღიარა რწმენა ქრისტესი და ამიტომ პირველმა მიღიო მაღალი ძალაუფლება ცოდვათა შეკვრისა და გახსნისა. მაგრამ შემდეგ სხვა მოციქულებსაც, პეტრეს რწმენის თანაზიართ, ასევე უთხრა უფალმა: „რაოდენი შეპკრათ ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჯ სნათ ქვეყანასა ზედა, ქსნილ იყოს იგი ცათა შინა” (მათ. 18,18). მოციქულებმა ეს ძალაუფლება ეკლესის მწყემსებს გადასცეს და იგი მუდამ უცვლელადაა დაცული ეკლესიაში, ისევე როგორც თავად ქრისტეს რწმენაა დაცული.

საიდუმლო სერობისას მოწაფეებთან უკანასკნელ საუბარში იესო ქრისტემ, შეწყვიტა რა მოწაფეებს შორის ატენილი დავა პირველობაზე, მოთმინებისა და მისდამი ერთგულებისათვის აღუთქა მათ დიდი საზღაური მომავალ ზეციურ სასუფეველში. განსაკუთრებული სიტყვებით მიმართა პეტრე მოციქულს: „სიმონ, სიმონ, აპა ესერა ეშმაქმან გამოვითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთქს, რათა არა მოგაქლდეს სარწმუნოება შენი, და შენ ოდესმე მოქუც და განამტკიცებ ძმანი შენნი” (ლუკ. 22,31-32).

ამ სიტყვებში რომაელი ღვთისმეტყველი ასევე ზედავენ მითითებას სხვა მოციქულთა წინაშე პეტრეს განსაკუთრებულ უპირატესობაზე. მათი აზრით, აქ იესო ქრისტე გულისხმობდა იმას, რომ პეტრეს,

რომელიც მის შემდეგ მის მიმდევართა მეთაურად დარჩა და ზეციდან რწმენაში უცდომელობის დიდი ნიჭი ებობა, რწმენაში უნდა ეხელმძღვანელა სხვა მოციქულებისა და ქრისტიანებისათვის. მაგრამ თავად საუბრის აზრი და თანმიმდევრობა ნათელ-ჰყოფს, რომ აქ ლაპარაკი არ არის პეტრე მოციქულისათვის აღთქმულ რამე უპირატესობებზე, არამედ მხოლოდ სევდიანი გაფრთხილებაა და წინასწარმეტყველება მის მომავალ განსაცდელსა და დაცემაზე. მართლაც, პეტრემ ეს სიტყვები მიიღო არა როგორც უპირატესობის აღთქმა, არამედ როგორც დაცემის შესახებ გაფრთხილება – რადგანაც ამის შემდეგ, როგორც მოგვითხრობს ლუკა მახარებელი (ლუკ. 22,33), მან დაბეჯითებით იწყო უფლის დარწმუნება, რომ მზადაა მასთან ერთად საპყრობილები წავიდეს და თვით სიკვდილზეც. ამის პასუხად კი უფალმა უფრო გარკვევით უთხრა, რომ ამ დამით იგი სამგზის უარყოფს მას, შემდეგ კი კიდევ ერთხელ დაუდასტურა ყველა მოციქულს, რომ მზად ყოფილიყვნენ განსაცდელისთვის (ლუკ. 22,34-38). მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სწორედ ამ საუბრის წინ ამხილა უფალმა თავის მოწაფებში უპირატესობისაკენ სწრაფვა (ლუკ. 22,25-27). განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ მხილების შემდეგ უფალი ყველას თვალწინ უპირატესობას მიანიჭებდა მის ერთ-ერთ მოწაფეს?

ითანეს სახარების 21-ე თავში მოთხოვნილია, როგორ გამოეცხადა იესო ქრისტე მკვდრეთით აღდგომის შემდეგ შვიდ მოწაფეს, რომლებიც ტიბერიის ზღვაზე თევზაობდნენ. საკვირველად აღავსო რა მათი ბადეები თევზით, უფალმა ისინი სადილად მიიწვია და ტრაპეზის დროს პეტრეს ამ სიტყვებით მიმართა: „სიმონ იონავსო, გიყვარ მეა უფროს ამათსა?” პეტრემ მიუგო: „ჰუ, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ”. იესომ უთხრა: „ამოენ კრავნი ჩემნი”. შემდეგ კვლავ ჰკითხა: „სიმონ იონავსო, გიყუარ მეა?” პეტრემ უთხრა: „ჰუ, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ”. და კვლავ უთხრა უფალმა: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი”. დაბოლოს, მესამედ ჰკითხა: „სიმონ იონავსო, გიყუარ მეა?” შეწუხდა პეტრე, მესამედ რომ ჰკითხა: „გიყუარ მეა?” და აღელვებით მიუგო: „უფალო, შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყუარ შენ”. უფალმა კიდევ ერთხელ უთხრა: „დამწყსენ მცხოვარნი ჩემნი”, და პეტრეს

მოხოცებულობაში მოწამეობრივი აღსასრული უწინასწარმეტყველა (იოვან. 21,15-18).

პეტრე მოციქულთან მაცხოვრის ამ საუბარში რომაელი ღვთისმეტყველი ზედავენ პეტრესთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უპირატესობებს, – რომ თითქოს აქ უფალმა მას განსაკუთრებული უმაღლესი ძალაუფლება ჩააბარა მთელს ეკლესიაზე, როგორც უბრალო მორწმუნებზე – კრავებზე, ისე თავად მწყემსებზე – ცხვრებზე. ეკლესიის ძველი მოძღვარი, საღი აზრის მქონე ქრისტიანენი კი აღიარებენ, რომ ქრისტეს ამ საუბარში სურდა მხოლოდ მომხდარი დაცემით შეცბუნებული პეტრე მოციქულის სინდისის გაღვიძება და მასში სინანულის აღძვრა, შემდეგ კი მისი ნუგეშის-ცემა და სხვა მოციქულების თანდასწრებით სამოციქულო რანგში აღდგენა. სამგზის შეკითხვით: “გიყუარ მე?” ქრისტეს, როგორც ჩანს, პეტრესთვის მისი სამგზის უარყოფის შეზენება სურდა.

პირველად ქრისტე უბრალოდ კი არ ეკითხება: “გიყუარ მე?”, არამედ: “გიყუარ მეა უფროის ამათსა?” ამით პეტრეს შეახსენებს, როგორ არწმუნებდა იგი ოდესლაც, რომ თუნდაც ყველა მოწაფე ცდუნდეს და მიატოვოს უფალი, იგი მასთან ერთად წავა საპყრობილებში და სიკვდილზეც. ასეც იმოქმედეს ამ სიტყვებმა პეტრეზე: რამეთუ, როდესაც უფალმა მას მესამედ ჰყითხა, პეტრე შეწუხდა, რა თქმაუნდა, იმის გამო, რომ თავისი დაცემა გაახსენდა. სამგზის გამეორებით: დამწესენ კრავნი და ცხოვარი ჩემნი, უფალმა პეტრე სამოციქულო წოდებაში აღადგინა. აქ არ არის საუბარი რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობაზე, არამედ მხოლოდ იმ ძალაუფლებაზე, რომელიც ყველა სხვა მოციქულსაც მიენიჭა, მათგან კი გადაეცა ეკლესიის მწყემსებს: დამწესონ ღვთის სამწესო (I პეტრ. 5,1); რა თქმა უნდა, მხოლოდ თავისუფალ სქოლასტიკურ განმარტებას შეეძლო მტკიცება, რომ კრავებში ქრისტე უბრალო მორწმუნებს, ცხვრებში კი სწორედ მწყემსებს გულისხმობდა.

ამრიგად, რომაელ ღვთისმეტყველთა მიერ მითითებული სახარების არც ერთი ადგილი არ ადასტურებს იმ აზრს, თითქოს იესო ქრისტემ პეტრე მოციქულს მიანიჭა უპირატესი ძალაუფლება სხვა მოციქულებზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს აზრი ეწინააღმდეგება სახარების მთელ სულსა და არსს. არაფერში ამხელდა იესო

ქრისტე თავის მოწაფეებს ისე ძლიერ, არაფრის წინააღმდეგ აფრთხილებდა ისე გულმოდგინედ, როგორც თავის განდიდების, უპირატესობისკენ სწრაფვის წინააღმდეგ. იგი მათ გამუდმებით შთააგონებდა იმ აზრს, რომ ქრისტიანულ საზოგადოებაში მსგავს მისწრაფებებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მათ შორის არ უნდა იყვნენ პირველი და უკანასკნელნი, მათ შორის მამა, მოძღვარი ან ბატონიც კი არავის უნდა ეწოდოს, — არამედ ყველა ისინი უნდა ითვლებოდნენ მმებად და გულწრფელად ემსახურონ ერთმანეთს, რისი უმაღლესი მაგალითიც თავად მან, მათმა ღვთაებრივმა მოძღვარმა, უჩვენა მათ (იხ. მათ. 20,25-28; ლუკ. 22,25-27; მარკ. 10,42-45; იოვან. 13,13-15).

სახარების შემდეგ რომაელი ღვთისმეტყველი ცდილობენ მოციქულთა საქმეებში იპოვონ იმ აზრის დადასტურება, რომ თითქოს იესო ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ პეტრე მოციქული დარჩა ქრისტიანობის მეთაურად, სხვა მოციქულთა მთავრად და ეკლესიის უმაღლეს მმართველად. ამის დასამტკიცებლად მათ უყვართ უპირატესად “მოციქულთა საქმეების” პირველ თავებზე მითითება, სადაც ზოგ შემთხვევაში პეტრეს პიროვნება უფრო წამოწეულია, ვიდრე სხვა მოციქულებისა. მაგრამ ყველა ამ ფაქტიდან არაფერი განსაკუთრებული არ გამომდინარებს. ის, რომ “საქმეთა” წიგნის პირველ ნახევარში მეტწილად საუბარია პეტრე მოციქულზე, მეორე ნახევარში კი გაცილებით მეტად — პავლე მოციქულზე, სრულად არ ნიშნავს, თითქოს ამა თუ იმ მოციქულს რაიმე უპირატესი ძალაუფლება ჰქონდა სხვების წინაშე. პირიქით, ფაქტები მოწმობენ, რომ ყველა მოციქული მაცხოვრის მცნების თანახმად თანასწორი იყო. მოციქულთა კრებულში წამოჭრილი საკითხების წამოყენება შეეძლო ერთ-ერთ მათგანს, მაგრამ გადაწყვეტილებას ყველა შეთანხმებულად იღებდა.

პავლე მოციქულის თქმით, მოციქულთა შორის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ პეტრე, იოანე და იაკობი, მმა უფლისა — იერუსალიმის ეკლესიის მწევმსმთავარი. ისინი ითვლებოდნენ ეკლესიის სვეტებად (გალ. 2,9), მაგრამ არანაირი განსაკუთრებული უფლებები და ძალაუფლება სხვა მოციქულებზე არ ჰქონდათ. პავლე მოციქული, რომელიც სამოციქულო მსახურებისთვის უკვე სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ იქნა მოწოდებული, საკუთარ

თავს არ მიიჩნევდა სხვა მოციქულებზე უფრო დაბლა მდგომად და გარკვეულ შემთხვევებში საჭიროდ თვლიდა პეტრე მოციქულთან კამათსა და მის მხილებას (გალ. თავი 2, I კორ. თავი 9).

საყურადღებოა სახარების შემდეგი ეპიზოდი: „ხოლო იქსო მოუწოდა მათ და პრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართონი უფლებედ მათ ზედა? ხოლო თქუენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს თქუენ შორის დიდ ყოფა, იყავნ თქუენდა მსახურ“ (მათე, 20, 25-26). ამ სიტყვებით იქსო ქრისტემ სრულიად უარყო ერთპიროვნული ძალაუფლება თავის ეკლესიაში, რომელშიც, მისი სურვილით, თანასწორობა უნდა სუფევდეს. ღმრთის ამ სწავლებას გულმოდგინედ იცავდნენ მოციქულები. მაგალითისათვის მოვიყვანოთ რამოდენიმე ეპიზოდი მოციქულთა საქმეთაგან: იქსო ქრისტეს ამაღლების შემდეგ, როცა მოციქულები მარტო დარჩნენ, ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ იუდა გამცემელის ადგილას ღირსეული შემცვლელი აერჩიათ და კენჭიც ყარეს (საქმე, 1,23); ასევე შვიდი დიაკვნის არჩევა და ხელდასხმაც ყველა მოციქულმა ერთად აღასრულა (საქმე, 6, 1-7); ბარნაბა ანტიოქიაში გაიგზავნა ყველა მოციქულისა და იერუსალიმის ეკლესიის სახელით (საქმე, 11,22); ანტიოქიაში ამტყდარი დავა მოქცეულ წარმართთა წინადაცვეთის შესახებ გადაწყდა კრებაზე, რომელსაც ყველა მოციქული ესწრებოდა: „ჯერ-უჩნდა სულსა წმიდას და ჩუენცა“-ო, ასე წერდნენ ისინი ანტიოქიელებს (საქმე 15, 1-32). რატომ იქმოდენ ისინი ყოველივე ამას ერთად, თუკი მხოლოდ პეტრე იყო ეკლესიის წინამძღვარი?

საერთოდ, მოციქულები იღაშქრებდნენ ქრისტიანობის ამა თუ იმ მქადაგებლის ავტორიტეტისადმი ზოგიერთი ქრისტიანის მიკერძოების წინააღმდეგ. პავლე მოციქული მკაცრად ამხელდა კორინთელ ქრისტიანებს იმის გამო, რომ მათთან ერთი საკუთარ თავს პავლეს უწოდებდნენ, სხვანი – პეტრესას, ზოგნი კი – აპოლოსას და ა.შ. „გან-მე-ყოფილ არსა ქრისტე? – ამბობს იგი. – ნუ პავლე ჯუარს-უცუა თქუენთკს? ანუ სახელისა მიმართ პავლესისა ნათელ-იღეთა?“ (I კორ. 1,13) „რა არს პავლე? ანუ რა არს აპოლო? არამედ მსახურნი, რომელთაგან თქუენ გრწმენა“ (I კორ. 3,5). „ღვთისა თანა-შემწენი ვართ; ღვთისა ნამუშაკევნი, ღვთისა აღშენებულნი ხართ“ (I კორ. 3,9). „მე დავასხ, აპოლო მორწყო,

ხოლო ღმერთმან აღაორძინა. აწ უკუე არცა დამსხმელი რა არს, არცა მომრწყველი, არამედ ამაღორძინებელი ღმერთი” (I კორ. 3,6-7). „ვინაცა ნუვინ იქადინ კაცთაგანი, რამეთუ ყოველივე თქუენი არს: გინა თუ პავლე, გინა თუ აპოლო, გინა თუ კეფა, გინა თუ სოფელი, გინა თუ ცხორებამ, გინა თუ სიკუდილი, გინა თუ აწინდელი უამი, გინა თუ ძერმე იგი უამი – ყოველივე თქვენი არს. ხოლო თქუენ – ქრისტესნი, ხოლო ქრისტე ღვთისამ” (I კორ. 3,21-23).

მაგრამ პეტრე მოციქულს მართლაც რომ ჰქონოდა სხვა მოციქულებზე უპირატესი ძალაუფლება, როგორ შეიძლებოდა ამას კავშირი ჰქონოდა რომის პაპის პრეტენზიებთან?

რომაელი ღვთისმეტყველი ამბობენ, რომ პეტრე მოციქულმა, გახდა რა მთელი ქრისტიანული სამყაროს მეთაური და მონარქი, თავის რეზიდენციად აირჩია რომი: აქ მან დააარსა ეკლესია, აქ მიიღო მოწამებრივი აღსასრული და გარდაცვალებისას ეკლესიაზე ძალაუფლება გადასცა თავის მემკვიდრეს – მის შემდგომ რომის ეპისკოპოსს. იმ დროიდან მოყოლებული ეს ძალაუფლება ერთი პაპიდან მეორეზე გადადის.

აქ ყოველი დებულება არასწორია. ისტორიული ფაქტების მიუკერძოებელი განხილვისას აღმოჩნდება, რომ:

- პეტრე მოციქული არ იყო ქრისტიანული სამყაროს თავი ან მონარქი;
- პეტრე მოციქულს არ უცხოვრია რომში 25 წელიწადი, რადგან დროის ამგვარი გაანგარიშება არ ეთანხმება სხვა ადგილებში მისი ქადაგების შესახებ ცნობებს;
- პეტრე მოციქული არ იყო რომის ეპისკოპოსი: სამოციქულო ძალაუფლება საეპისკოპოსო ძალაუფლების საფუძველს წარმოადგენდა და თავისთავად გაცილებით უფრო დიდი და ვრცელი იყო საეპიკოპოსო ძალაუფლებაზე; ეპისკოპოსებად იწოდებოდნენ ეკლესის ადგილობრივი შმართველები, რომლებიც ფეხმოუცვლელად იმყოფებოდნენ მხოლოდ თავის ეკლესიაში; პეტრე მოციქული კი სხვა მოციქულების მსგავსად ქრისტიანობას სხვადასხვა ქვეყნებსა და ეკლესიებში განამტკიცებდა;
- პეტრე მოციქულს რომის ეკლესიის უპირატესად დამაარსებელიც კი არ შეიძლება ეწოდოს. რომის ეკლესია დააარსა და მოაწყო არა მხოლოდ პეტრემ, არამედ მასთან ერთად პავლე მოციქულმაც.

საფუძველიც კი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ რომის ექლესიის მოწყობასა და პირველი ეპისკოპოსის, ლინეს დადგენაში უფრო მეტად მონაწილეობდა პავლე, ვიდრე პეტრე („მოციქულთა საქმეების” ბოლო თავი და რომში მიწერილი და რომიდან დაწერილი ეპისტოლენი პავლე მოციქულისა);

- რომის გარდა პეტრე მოციქულმა, ან პეტრემ და პავლემ ერთად, მრავალ სხვა ადგილას მოაწყვეს ეკლესიები. ასე მაგალითად, ანტიოქიის ეკლესიის მოწყობაში ორივე მოციქულმა არანაკლები მონაწილეობა მიიღო, ვიდრე – რომის ეკლესიის მოწყობაში. ალექსანდრიის ეკლესიაც პეტრე მოციქულმა დააარსა და აქ პირველი ეპისკოპოსი იყო პეტრეს უსაყვარლესი მოწაფე მარკოზ მახარებელი. თავისი წარმოშობით ყველაზე უფროსი და პატივსაცემი კი უკველად იყო იერუსალიმის ეკლესია – დედა ყველა ეკლესიისა – დაარსებული იესო ქრისტეს მიერ, საიდანაც სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ ქრისტიანობამ მსოფლიოს ყველა კუთხეში იწყო გავრცელება, სადაც შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებული მოციქულები ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ და ქადაგებათა წარმატებების შესახებ ყველობნენ, თათბირობდნენ და რჩევებს იღებდნენ, სადაც, გადმოცემის თანახმად, თავად უფალმა პირველ ეპისკოპოსად დაადგინა ერთ-ერთი მოციქული – იაკობი, მმა უფლისა;

ამგვარად, რომის ეპისკოპოსი არ შეიძლება ჩავთვალოთ არც პეტრეს საეპისკოპოსო ძალაუფლების მემკვიდრედ, რადგან პეტრე ეპისკოპოსი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ აღგენდა ეპისკოპოსებს რომში, ალექსანდრიაში, ანტიოქიასა და სხვა ადგილებში, და მით უმეტეს, არც ეკლესიაზე რაიმე უმაღლესი უფლებების მემკვიდრედ, რადგან ასეთი უფლებები თავად პეტრეს არ ჰქონია. და უცნაურია ვივარაუდოთ, რომ პეტრეს სიკვდილის შემდეგ რომის ეპისკოპოსები ეკლესიის უმაღლეს მმართველებად ითვლებოდნენ, მაშინ როცა ზოგიერთი მოციქული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. უცნაურია ვივარაუდოთ, რომ ქრისტეს უსაყვარლესი და უახლოესი მოწაფე იოანე ღვთისმეტყველი, რომელმაც პეტრეს სიკვდილის შემდეგ 35 წელზე მეტი ხანი იცხოვრა, ემორჩილებოდა რომის ეპისკოპოსს, როგორც ეკლესიის უზენაეს თავსა და მმართველს!

პეტრე მოციქულის მეთაურობიდან დაასკვნეს რა მეთაურობა რომის ეპისკოპოსისა, როგორც მისი ძალაუფლებისა და ღირსებების

მეტკვიდრისა, კათოლიკე ღვთისმეტყველნი უყრდნობიან ქრისტიანული მსოფლიო კალესიის ისტორიიდან აღებულ მრავალ ფაქტს, რომლებიც ვითომდა ადასტურებენ მათ აზრს. მიიჩნიეს რა უდავოდ, რომ რომის ეპისკოპოსმა პეტრე მოციქულისგან მიიღო არა მარტო ეპისკოპოსობა, არამედ უმაღლესი მმართველობაც, კათოლიკე ღვთისმეტყველნი ისევ და ისევ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ თითქოს ქრისტიანულ ეკლესიაში, არა მარტო დასავლეთში, არამედ აღმოსავლეთშიც, პირველი საუკუნიდან პატრიარქ ფოტიმდე პაპებს ისეთივე ძალაუფლება ჰქონდათ ყველა ეპისკოპოსსა და ეკლესიაზე, როგორიც დღეს აქვთ რომაულ-კათოლიკურ სამყაროში. “პაპები – ამბობენ ისინი, – როგორც ეკლესიის უმაღლესი მმართველნი და სხვა ეკლესიების ეპისკოპოსებზე განსაკუთრებით ძალაუფლების მქონენი, სამწყებსო ეპისტოლებს სწერდნენ სხვადასხვა ეკლესიებს, რომლებიც მათ პატივისცემით იღებდნენ; პაპებთან ეკლესიის საქმეებზე რჩევის საკითხავად მოდიოდნენ აღმოსავლეთის შორეული ეკლესიების ეპისკოპოსები; პაპები მათ მიერ მოწვეულ კრებბზე განიხილავდნენ და გმობდნენ სხვა ეკლესიების მიერ დაგმობილ ცრუ-სწავლებებს; რომის გარეთ დაგმობილი მწვალებლები მოდიოდნენ პაპებთან და სოხოვდნენ მათი საქმეების გადასინჯვას და მათზე დადგებული წყველის მოხსნას; თავად რომის ეპისკოპოსები აღიარებდნენ თავიანთ უფლებას, თავი ყველა ეპისკოპოსზე უხუცესად ჩაეთვალათ, თვალყური ეღვენებინათ საეკლესიო წესრიგისათვის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ყველა ეკლესიაში, მოეთხოვათ მათგან ყველაფერში თანხმობა რომის ეკლესიასთან, ემსილებინათ და ებრძანებინათ სხვა ეპისკოპოსებისათვის, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დამუქრებოდნენ სასჯელით და განეკვეთათ ეკლესიებან”.

კათოლიკე ღვთისმეტყველთა მიერ მითითებული ფაქტები სწორია, მაგრამ არასწორია მათი გაგება და გამარტება. მართალია, ზოგიერთი ეპისკოპოსი ეპისტოლებს სხვა ეკლესიებს წერდა, მაგრამ არა ამ ეკლესიებზე რაიმე ძალაუფლების ან მეთაურობის უფლებით, არამედ – ქრისტიანული ეკლესიების გამაერთიანებელი ძმური კავშირის სულით; თანაც, მსგავს ეპისტოლებს წერდნენ არა მარტო რომის ეკლესიის ეპისკოპოსები, არამედ – სხვა ეკლესიების განსაკუთრებით პატივცემული ეპისკოპოსებიც, მაგალითად: ეგნატე ღმერთშემოსილი,

პოლიკარპე სმირნელი, ირინეოს ლიონელი, გრიგოლ  
საკვირველთმოქმედი და სხვ. იმავე ძმური კავშირის გამო ერთი  
ეკლესის ეპისკოპოსები რჩევის მისაღებად მიდიოდნენ სხვა  
ეპისკოპოსებთან მათ შორის რომის მღვდელმთავართანაც, რომელთაც  
შეეძლოთ არ დათანხმებოდნენ რომის მღვდელმთავარს მისი რჩევების  
უვარესობის შემთხვევაში, როგორც, მაგალითად, წმ. პოლიკარპე  
არ დაეთანხმა პაპ ნიკიტას აზრს, ვისთანაც იგი მივიდა აღდგომის  
დღესასწაულის თაობაზე მოსათათბირებლად. როგორც რომის, ისე  
სხვა ეკლესიებში იყო შემთხვევები სხვა ეკლესიებში უკვე დაგმობილი  
მწვალებლების დაგმობისა (აღმოსავლეთში დაგმობილი ვალენტინი  
შეძლევ რომში განსაჯეს, საბელიოსი და პავლე სამოსატელი  
სხვადასხვა ეკლესის კრებებზე დაგმეს), მაგრამ ეს იმით აიხსნება,  
რომ ერთი და იგივე ერეტიკული ცრუ-სწავლებანი თანდათან  
ვრცელდებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეში და გავრცელებისდა  
მიხედვით მათ გმობდა ესა თუ ის ეკლესია. ხდებოდა ისეც, რომ  
ადგილობრივი ეკლესიების მიერ დაგმობილი ზოგიერთი ცრუ-  
მოძღვარი (მარკიონი და მონფანი) რომის ეკლესიაში ცდილობდა  
განხსნის მიღებას; მაგრამ თავად ეს ეკლესია, ამჩნევდა რა  
მწვალებელთა ეშმაკობას ესარგებლათ მისი ავტორიტეტით თავიანთი  
ცდომილებების უკეთ გასავრცელებლად, არ თვლიდა შესაძლებლად  
და კანონიერად მათთან ერთობაში შესვლას. მართალია ისიც, რომ  
რომის ეპისკოპოსთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ჰქონდათ  
პატივმოყვარე და ძალაუფლებისმოყვარე ზრახვები ეკლესიაში  
უმაღლეს ძალაუფლებაზე და ცდილობდნენ დაემორჩილებინათ სხვა  
ეპისკოპოსები; ამ მხრივ თავი გამოიჩინეს პაპმა ვიქტორმა აღდგომის  
დღესასწაულის შესახებ კამათში და პაპმა სტეფანებ წვალებელთა  
ნათლობის შესახებ კამათში; მაგრამ ისინი შეხვდნენ წინააღმდეგობას  
არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის ეპისკოპოსების  
მხრიდანაც, რომლებმაც მათ აგრძნობინეს, არც ერთ ეპისკოპოსს  
არა აქვს უფლება იწოდებოდეს უფროს ეპისკოპოსად –  
ეპისკოპოსთა ეპისკოპოსად და სხვა ეპისკოპოსებს მბრძანებლურად  
ეპყრობოდეს.

მსოფლიო კრებების პერიოდშიც (IV ს-დან IX ს-დე), ამბობენ  
ბოლოს კათოლიკე ღვთისმეტყველნი, პაპის მეთაურობას ყველა  
აღიარებდა და მას სრული ძალა ჰქონდა, რასაც თითქოს ადასტურებს

ის, რომ მსოფლიო კრებებს ჩვეულებრივ იწვევდნენ პაპები და მათზე ან თავად თავჯდომარეობდნენ ან მათი ლეგატები. ამ კრებებზე საქმეები ასევე ჩვეულებრივ პაპის გავლენით წყდებოდა და კრების ყოველი განჩინება მხოლოდ მისი დამტკიცების ჩემდეგ შედიოდა ძალაში. თავად მსოფლიო კრებებიც აღიარებდნენ პაპის პირველობას სხვა უხუცეს ეპისკოპოსთა შორის.

ჩვენ ამ დებულებების დაწვრილებით განხილვას არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ისინი ან სრულიად მცდარია, ან გაზვიადებულია. მსოფლიო კრებებს, როგორც მოწმობს ისტორია, იწვევდნენ ბერძნი იმპერატორები და არა პაპები; მათზე ჩვეულებრივ თავჯდომარეობდნენ უხუცესი ეპისკოპოსები და არა პაპის ლეგატები, მით უმეტეს – თავად პაპები, რომელთაგანაც არც ერთი პირადად არ დასწრებია არც ერთ მსოფლიო კრებას; კრებებზე საქმეების გადაწყვეტაზე გავლენა შესაძლოა ჰქონოდა და ნამდვილად ჰქონდა კიდეც მხოლოდ მას, ვინც თავისი ქრისტიანული მრწამსის სიმტკიცითა და ძალით სხვებისგან გამოირჩეოდა და ქრისტიანული ჭეშმარიტების ერთგული წარმომადგენელი იყო, თუნდაც იგი არ ყოფილიყო არა თუ პაპი, არამედ ეპისკოპოსიც, როგორც, მაგალითად, პირველ მსოფლიო კრებაზე იყო წმ. ათანასე დიდი – იმ დროს აღექისანდრიის ეკლესიის ახალგაზრდა მთავარდიაკონი. მსოფლიო კრებების განჩინებათა ძალა და კანონიერება პაპზე იმდენად იყო დამოკიდებული, რამდენადაც ნებისმიერი სხვა პატრიარქის დამტკიცებაზე, და იმ კრებების გადაწყვეტილებებს, რომლებზეც არ იყო არც პაპი და არც მისი ლეგატები, ჰქონდათ სრული ძალა და სავალდებულო იყო ყველასათვის. საერთოდ უდავოა ის, რომ აღნიშნულ პერიოდში უმაღლესი ძალაუფლება ეკლესიაში ეკუთვნოდა მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო კრებებს, რომლებიც თავს უფლებამოსილად თვლიდნენ, განესავად ნებისმიერი ეპისკოპოსი, თუნდაც იგი ყოფილიყო უხუცესი პატრიარქი ან პაპი; ამის მაგალითს ვხედავთ VI მსოფლიო კრებაზე, რომელმაც მონოთელიტობისათვის დაგმო კონსტანტინოპოლის რამდენიმე პატრიარქი და რომის პაპი ჰონორიუსი. და თუ მსოფლიო კრებები მართლაც მიაკუთვნებდნენ პირველობას პაპს სხვა უხუცეს ეპისკოპოსებთან ერთად, პირველობა არ არის მეთაურობა; პირველობა შეიძლება იყოს თანასწორთა შორის, ხოლო მეთაურობა – უფრო დაბლა მდგომთა და დაქვემდებარებულთა ზედა.

პირველობა პაპებს ანიჭებდა მხოლოდ ღირსების და არა ძალაუფლების უპირატესობას, თანაც არა მხოლოდ მათ, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქებსაც, რასაც გადაჭრით და ცხადად ადასტურებენ კრებსითი განჩინებები (I მსოფ. კრ. მე-6 კან.; II მსოფ. კრ. მე-3 კან.; IV მსოფ. კრ. 28-ე კან.; VI მსოფ. კრ. 36-ე კან.). კათოლიკე ღვთისმეტყველებს უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინათ ისიც, რომ მსოფლიო კრებები, მიაკუთვნებდნენ რა უხუცეს ეპისკოპოსებს ღირსების უპირატესობას და განსაზღვრავდნენ მათ შორის რიგს, საფუძვლად იღებდნენ მხოლოდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იმ ქალაქებისას, სადაც იმყოფებოდნენ უხუცესი იერარქები; ამასთან ერთად აუცილებელია ვივარაუდოთ, რომ ადნიშნული ქალაქებისა და ოლქების სხვაგვარი პოლიტიკური განაწილების შემთხვევაში შესაძლოა, სხვაგვარი ყოფილიყო განაწილება მათი საეპისკოპოსო კათედრების რიგშიც ისე, რომ, მაგალითად, იერუსალიმის ან ალექსანდრიის ეპისკოპოს შეძლებოდა დაეკავებინა პირველი ადგილი, რომისას კი – მეორე და ა.შ., იყვნენ რა ერთმანეთის თანასწორი და ამ ადგილის დაკავების უფლების მქონე.

ასე გამოიყურება უფსკრული, რომლითაც რომის ეკლესიამ თავი გამოიყო ქრისტესა და მოციქულების სწავლების ერთგული კათოლიკე მართლმადიდებელი ეკლესიისაგან. ეს სწავლება ეკლესიასა და პაპზე აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის, მართლმადიდებელთათვის. იგი აღსავსეა არაქრისტიანული სულით. რომაულ-კათოლიციზმში ქრისტე შეცვალა ადამიანმა, ხოლო ეკლესია, ეს დიადი ცოცხალი ორგანიზმი – პაპმა. ვატიკანის მიერ პაპის მეთაურობის თეორიის განვითარებაში სახასიათოა რომაულ კურთხვებანში (დაახლ. 1600 წლის) შეტანა სიტყვებისა, რომელთა თანახმადაც ქრისტემ ვთომდა პეტრე მოციქულს მსოფლიოს ყველა სამეფო გადასცა: „შენ ხარ მწყები ცხოვროთა, შენ ღმერთმა გადმოგცა მსოფლიოს ყველა სამეფო”. სახარებამ არ იცის ქრისტეს მიერ პეტრესადმი თქმული ასეთი სიტყვები, ეს სიტყვები ქრისტეს უთხრა მაცდურმა: „შენ მიგცე ამის ყოვლისა გელმწიფებაი...” (ლუკ. 4,6).

შემაძრწუნებელია რომის თეორია რომის ეპისკოპოსის მეთაურობაზე. პაპის მეთაურობის საკითხთან განუყრელადაა დაკავშირებული საკითხი მისი უცდომელობის შესახებ. 1870 წელს

კათოლიკურმა ეკლესიამ რომის მღდელმთავრის უცდომელობა დოგმატად აღიარა.

რომაულ-კათოლიკური სწავლება პაპის პრიმატისა და უცდომელობის შესახებ თავად კათოლიკეთა შორის, მათ შორის უმაღლეს იერარქებშიც იწვევდა უკმაყოფილებას. მოვიყვანთ ამონარიდს რომის კათოლიკური ეკლესის ბოსნია-დიაკონისა და სრემის მთავარეპისკოპოს, იოსებ შტროსმაიერის სიტყვიდან რომის პაპების მეთაურობისა და უცდომელობის შესახებ, რომლითაც მან მიმართა 1870 წელს ვატიკანის კრებაზე დამსწრე რომაულ-კათოლიკე „ეკლესიის მთავართ“ და თავად პაპ პიუს IX.

„მე უაღრესად დიდი ყურადღებით შევუდექი ძველი და ახალი აღთქმის წმიდა წერილის შესწავლას და ჭეშმარიტების ამ შეუფასებელ საუნჯეში ვეძიებდი პასუხს კითხვაზე, არის თუ არა წმიდა მღვდელმთავარი, რომელიც აქ თავჯდომარეობს, წმიდა პეტრეს მემკვიდრე, იესო ქრისტეს ნაცვალი და ეკლესიის უცდომელი მოძღვარი?“

მე გადავშალე ეს წმიდა ფურცლები (ბიბლიისა). და რა! როგორ გავბედო ამის თქმა? მე მათში ვერაფერი ვიპოვე სულ მცირე გადაკრული მითითებაც კი პაპზე, როგორც წმიდა პატრეს მემკვიდრეზე და იესო ქრისტეს ნაცვალზე... ვერ ვიპოვე ვერცერთი თავი და ვერცერთი მუხლი, რომელშიც იესო ქრისტე წმიდა პეტრეს ანიჭებდეს პირველობას მოციქულებზე. იესო ქრისტეს არათუ არაფერი უთქვაშს ამის შესახებ, არამედ როდესაც მან აღუთქვა საყდარნი თავის მოციქულებს ისრაელის თორმეტი ტომის განსასჯელად, მან ყველას თანაბრად აღუთქვა და არ უხსენებია, რომ ამ საყდართა შორის წმიდა პეტრეს კუთვნილი საყდარი სხვებზე მაღალი იქნებოდა (მათ. 19,28). ეს მისთვის სათხო რომ ყოფილიყო, ალბათ ასეც ეტყოდა. რა უნდა დავასკვნათ? ის, რომ ქრისტეს არ სურდა, პეტრე მოციქულთა თავად დაედგინა. როდესაც ქრისტე მოციქულებს სახარების საქადაგებლად აგზავნიდა, მან ყველა მათგანს მიანიჭა თანაბარი ძალაუფლება შეკვრისა და განხსნისა და ყველას აღუთქვა სულიწმიდის მადლი (იოვან. 20,21-23). ნება მომეცით, გავიმეორო: მას რომ ენება, დაედგინა პეტრე თავის ნაცვლად, იგი მას თავისი სულიერი მხედრობის მეთაურობას ჩააბარებდა.

ქრისტემ, როგორც საღვთო წერილი ამბობს, პეტრეს და სხვა მოციქულებს აუკრძალა ბატონობა და ბატონობისკენ სწრაფვა, ან მორწმუნებზე ძალაუფლება წარმართი მეფეების მსგავსად (ლუკ. 22,25). წმიდა პეტრე პაპად რომ აერჩიათ, უფალი იქსო არ იტყოდა ასე, რადგანაც, ჩვენი გადმოცემით, პაპობას ხელთ უპყრია ორი მანევილი – სასულიერო და საერო ძალაუფლების სიმბოლოები. პეტრე მოციქული პაპად რომ ყოფილიყო არჩეული, განა ექნებოდათ სხვა მოციქულებს იოანესთან ერთად მისი სამარიაში გაგზავნის უფლება ღვთის ძის სახარების საქადაგებლად? (საქ. 8,14).

მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი. იერუსალიმში შეიკრიბა მსოფლიო კრება, მორწმუნეთა შორის უთანხმოების გამომწვევი საკითხის გადასაწყვეტად. ვინ მოიწვევდა ამ კრებას, წმიდა პეტრე რომ პაპი ყოფილიყო? წმიდა პეტრე. ვინ იქნებოდა მასზე თავჯდომარე? წმიდა პეტრე ან მისი ლეგატები. ვინ შეადგენდა და გამოაცხადებდა კრების დადგენილებებს? წმიდა პეტრე. აი, ასე; სინამდვილეში კი მსგავსი არაფერი ყოფილა. პეტრე მოციქული სხვების მსგავსად ესწრებოდა კრებას, რომელიც მას კი არ მოუწვევია, არამედ – წმიდა იაკობმა; ხოლო დადგენილებანი გამოაცხადეს მოციქულების, უხუცესი ძმების სახელით (საქ. 15).

ახლა, როცა ჩვენ გასწავლით, რომ ეკლესია დაფუძნებულია წმიდა პეტრეზე, წმიდა პავლე, რომლის ავტორიტეტშიც არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს (ეფ. 2,20), რომ იგი დაშენებულია მოციქულთა და წინასწრმეტყველთა საფუძველზე, სადაც თავად იქსო ქრისტეა ქვაკუთხედი. და იმავე მოციქულს ისე მცირედ სწამს წმიდა პეტრეს მეთაურობისა, რომ დაუფარავად კიცხავს მათ, ვინც ამბობს: ჩვენ პავლესი ვართ, ჩვენ კი აპოლოსი (I კორ. 1,12); ისევე როგორც მათ, ვინც იტყვის: ჩვენ პეტრესი ვართ. ეს უკანასკნელი მოციქული უფალ იქსო ქრისტეს ნაცვალი რომ ყოფილიყო, წმიდა პავლე ვერ გაბედავდა საკუთრივ მის მიმდევართა ასეთ ძლიერ გაყიცხას; იგივე მოციქული ეკლესიაში მსახურებათა ჩამოთვლისას ახსენებს მოციქულებს, წინასწარმეტყველებს, მახარებლებს, მოძღვრებსა და მწყებებს. ნუთუ უნდა ვიფიქროთ, ღრმად პატივცემულო მმანო, რომ წმიდა პავლეს, წარმართთა ამ დიდ მოციქულს, დაავიწყდა ამ მსახურებათა შორის პირველის – პაპობის მოხსენიება, იგი რომ ღვთაებრივი დადგენილება

ყოფილიყო? ალბათ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე დაწერდა გრძელ ეპისტოლეს.

მე წმიდა პავლეს, იოანესა და იაკობის ვერცერთ ეპისტოლეში ვერ ვი პოვე უმცირესი კვალი ან გადაკრული მითითება პაპის ძალაუფლებაზე. წმიდა ლუკა, მოციქულთა მისიონერულ ღვაწლთა ისტორიკისი, ასევე დუმს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე. ამ წმიდა მოღვაწეთა დუმილი ამ საკითხზე მე საეჭვოდ და შეუძლებლად მომეჩვენებოდა, პეტრე პაპი რომ ყოფილიყო. მაგრამ რამაც მე გამოუთქმელად გამაოცა, იყო თავად წმიდა პეტრეს დუმილი. პეტრე მოციქული რომ ყოფილიყო ის, რასაც მას დღეს ჩვენ ვუწოდებთ, ანუ იესო ქრისტეს ნაცვალი მიწაზე, მას ეს ალბათ ეცოდინებოდა; და თუ მან ეს იცოდა, რატომ ერთხელაც არ უმოქმედია, როგორც პაპს? მას შეეძლო ემოქმედა, როგორც სულთმოფენობის დღეს, როდესაც წარმოთქვა თავისი პირველი სიტყვა, — და არ მოქმედებდა; ზუსტად ასევე მას არ გამოყავს თავი პაპად ეკლესიის მიმართ მიწერილ თავის არც პირველ და არც მეორე ეპისტოლეში.

მე ვამბობ: მოციქულთა სიცოცხლეში ეკლესია არასოდეს ფიქრობდა, რომ უნდა იყოს რაღაც პაპი. თუ გვსურს, დაგმტკიცოთ საპირისპირო, მაშინ ცუცხლები უნდა ჩავყაროთ მთელი წმიდა წერილი, ან სრულიად უგულებელვყოთ იგი.

როცა მოციქულთა ხანაში პაპობის ვერავითარ კვალს ვერ მივაგენი, ჩემს თავს ვუთხარი: რასაც ვეძებ, ვიპოვი ეკლესიის მატიანებში. დას, გულწრფელად ვამბობ, მე ვეძებდი პაპს პირველ ოთხ საუკუნეში და ვერ ვიპოვე იგი. იმედი მაქს, თქვენს შორის არავის ეპარება ეჭვი წმიდა ეპისკოპოსის, დიდი და ნეტარი ავგუსტინეს დიდ ავტორიტეტში. ეს კეთილმსახური, მასწავლებელი, კათოლიკური ეკლესიის პატივი და დიდება, იყო მელივის კრების მდივანი. ამ ფრიად პატივცემული კრების დადგენილებაში შეეხვდებით შემდეგ შესანიშნავ სიტყვებს: „ვინც მოისურვებს საჩივრით მიმართის ზღვის გადაღმა მყოფთ მას აფრიკაში არსად მიიღებენ თანაზიარებაში”. აფრიკელი ეპისკოპოსები რომის ეპისკოპოსს იმდენად უმნიშვნელოდ თვლიდნენ, რომ განკვეთითაც კი სჯიდნენ მათ, ვინც მასთან ჩივილს მოინდომებდა. კართაგენის მეექვსე კრებაზე, რომელიც ამ ქალაქის ეპისკოპოსის, აგრელიუსის თავჯდომარეობით გაიმართა, იგივე ეპისკოპოსები წერდნენ ცელესტინს, რომის

ეპისკოპოსს, რათა გაეფრთხილებინათ, არ მიეღო საჩივრები არც აფრიკელი ეპისკოპოსებისგან, და არც მღვდლებისგან ან კლირიკოსებისგან; და რომ მას მეტად აღარ გამოეგზავნა თავისი ლეგატები ან რწმუნებულები, და რომ იგი ეკლესიაში არ უნდა ამკვიდრებდეს კაცობრივ ამპარტავნებას.

რომის პატრიარქი სულ პირველი ხანიდანვე რომ ყოველგვარი ძალაუფლების საკუთარ თავში თავმოყრას ლამობდა, ეს აშკარა ფაქტია; ისევე როგორც აშკარა ფაქტია, რომ მას არ ჰქონდა ის მეთაურობა, რომელსაც მიაწერენ მას ულტრამონტანები (იხ. ბოლოში). მას რომ იგი ჰქონოდა, მაშინ აფრიკელი ეპისკოპოსები და ნეტარი ავგუსტინე — პირველი მათ შორის, როგორ გაბედავდნენ მისი უმაღლესი ტრიბუნალის წინაშე მათი განჩინებების გასაჩივრების აკრძალვას?

მე ვთქვი, რომ პირველივე საუკუნეებიდან რომის პატრიარქი ეკლესიაზე მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფვოდა. საუბედუროდ, მან თითქმის მიაღწია ამას, მაგრამ სრული წარმატება ვერ მოიპოვა, რადგან იმპერატორმა თეოდოსი II კანონით დაადგინა, რომ კონსტანტინოპოლისა და რომის პატრიარქებს ჰქონოდათ თანაბარი ძალაუფლება. ქალკედონიის კრების მამებმა ახალი და ძველი რომის ეპისკოპოსები ერთსა და იმავე ძლივმარკობაში ჩააყენეს ყოველგვარ, თვით საეკლესიო საქმეებთან დამოკიდებულებაში (თავ. 28). კართაგენის მეექვსე კრებამ აუკრძალა ყველა ეპისკოპოსს, მიეღო ეპისკოპოსთა მთავრის ან უმაღლესი ეპისკოპოსის ტიტული.

ქვაში (პეტრა), რომელზეც დაარსებულია წმიდა ეკლესია, თქვენ გულისხმობთ პეტრეს (ეტრა). ეს რომ ქეშმარიტება ყოფილიყო, კამათი შეწყდებოდა; მაგრამ ჩვენი წინაპრები, — რადგანაც იცოდნენ, — ჩვენსაგით არ ფიქრობდნენ. წმიდა კირილე (IV წიგნში წმ. სამებაზე) ამბობს: „მე ვვიქრობ, რომ ქვაში ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ მოციქულების ურყევი რწმენა”. წმიდა ილარი, პუატიეს ეპისკოპოსი (II წიგნში წმ. სამებაზე) ამბობს: „ქვა (პეტრა) არის კურთხეული და ერთადერთი ქვა წმიდა პეტრეს ბაგეებით აღსაარებული რწმენისა; სარწმუნოების აღსარების ამ ქვაზე არის დაარსებული ეკლესია” (IV წიგნი). „დმერთმა, — წმ. იერონიმეს თქმით (VI წიგნში მათეს სახარებაზე), — თავისი ეკლესია დააარსა ამ ქვაზე, და ამ ქვისგან მიიღო პეტრე მოციქულმა თავისი სახელი”. მის შემდეგ წმ.

ოქროპირი (53-ე საუბარში მათეს სახარებაზე) ამბობს: „ამ ქვაზე მე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას, ე.ი. აღსარების რწმენაზე”. ახლა ვთქვათ, როგორი იყო მოციქულის აღსარება? აი, ისიც: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისავ”. ამბობის, მედიოლანის წმიდა მთავარეპისკოპოსი (ეფეს. მიმართ ეპისტ. II თავის განმარტებაში), წმიდა ბასილი სელევკიელი და ქალკედონიის კრების მამებიც ზუსტად ასევე ასწავლიან.

ძველი დროის ქრისტიან მასწავლებელთა შორის წმიდა ავგუსტინეს განსწავლულობით და სიტმინდით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს; მაშ ასე, ყური დაუგდეთ, თუ რას წერს იგი თავის მეორე ტრაქტატში წმიდა იოანეს პირველ ეპისტოლეზე: „რას ნიშნავს სიტყვები: ამ ქვაზე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას? ეს ნიშნავს: ამ რწმენაზე, – სიტყვებზე: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა ” მის 124-ე საუბარში წმიდა იოანეზე ჩვენ ვხვდებით დიდად მნიშვნელოვან სიტყვებს: „შენი აღსარების ამ ქვაზე მე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას. ხოლო ქვა იყო ქრისტე”. დიდ განსკოპოსის ისე ნაკლებად სწამდა, რომ ეკლესია წმიდა პეტრეზე იყო დაარსებული, რომ თავის 13-ე საუბარში სამწყსოსადმი თქვა შემდეგი: „შენ ხარ პეტრე, და ამ ქვაზე (პეტრა) შენი აღსარებისა, ამ ქვაზე შენი სიტყვებისა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა”, მე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას...”

ავგუსტინეს აზრი ამ ცნობილი ადგილის შესახებ იყო მთელი ქრისტიანული სამყაროს აზრი მის დროში. ამიტომ, მოკლედ რომ ვთქვა, მე ჩამოვაყალიბებ შემდეგ დებულებებს:

- იესო ქრისტემ თავის მოციქულებს მისცა იგივე ძალაუფლება, რაც წმიდა პეტრეს;
- მოციქულები წმიდა პეტრეში არასოდეს აღიარებდნენ იესო ქრისტეს ნაცვალს და ეკლესის უცდომელ მასწავლებელს;
- წმიდა პეტრეს არასოდეს უფიქრია, ყოფილიყო პაპი და არასოდეს უმოქმედია ისე, როგორც მოქმედებენ პაპები;
- პირველი ოთხი საუკუნის კრებები, აღიარებდნენ რა რომის ეპისკოპოსების მიერ ეკლესიაში დაკავებულ მაღალ მდგომარეობას რომის დიდი მნიშვნელობის გამო, მიაკუთვნებდნენ მათ მხოლოდ ის, და არასოდეს ძალაუფლების ან იურისდიქციის პირველობას;

- წმიდა მამებს არასოდეს უფიქრიათ, რომ ცნობილი ადგილი: „შენ ხარ პეტრე, და ამ ქვაზე მე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას”, გაეგოთ იმ აზრით, რომ ეკლესია დაარსებულია პეტრეზე (სუპერ ეტრუმ), არამედ ქვაზე (სუპერ ეტრუმ), ანუ მოციქულის რწმენის აღსარებაზე.

მე საზეიმოდ ვასკვნი ცნობიერების, გონების, ლოგიკის, საღი აზრისა და ქრისტიანული სინდისის საფუძველზე, რომ იქსო ქრისტეს წმიდა პეტრესთვის არ მიუცია არანაირი მეთაურობა, და რომ რომის ეპისკოპოსები შეიქნენ ეკლესიის მეუფენი ეპისკოპოსობის ყველა უფლების თანდათან, ერთიმეორეზე დათრგუნვის გზით“.

იოსებ შტროსმაიერი ნამდვილად არ იყო მიკერძოებული მართლმადიდებლობის სასარგებლოდ, ამიტომ მისი მოყვანილი სიტყვების ობიექტურობაში თავად კათოლიკებსაც არ უნდა შეეპაროთ ეჭვი.

**განმარტება:** ულტრამონტანებს იმ რომაელ კათოლიკებს უწოდებენ, რომლებიც კანონიერად აღიარებენ და იცავენ პაპების ყველა პრეტენზიას ეკლესიაში მეთაურობაზე, მიწაზე დვითის ნაცვლობაზე, უცდომელობაზე, მათ უფლებასაც კი საერო ძალაუფლებაზე, ეთანხმებან პაპების ყველა მონაგონს სარწმუნოების სწავლებაში.

ჩვენს ამ შენიშვნებს პაპის პირველობასთან დაკავშირებით დავამატებთ საიტ მართლმადიდებლი აპოლოგეტის კომენტარის.

## 8. საიტ „მარლმადიდებელი აპოლოგეტის“ კომენტარი

„რომის ეპისკოპოსის როლის შესახებ I ათასწლეულში, ჩვენ გვინდოდა კიდევ ერთხელ მოგვეყვანა ძეველი ეკლესიის ეკლესიოლოგიის სავსებით ნათელი და ცნობილი დებულებები, რომელიც უცვლელია დღემდე:

1. ეკლესიამ არასდროს იცოდა ცნება „პირველობა-პრიმატი («ძნისტა»),
2. I ათასწლეულში ეკლესიის კანონიკურ დადგენილებებში ჩვენ ვხვდებით მხოლოდ უპირატესობის («ძნისტა» მემბრი) ცნებას, ანუ ხარისხის, ღირსების უპირატესობას («ძნისტა» მემბრი), რომელიც დაკავშირებული იყო განსაკუთრებულ დამოკიდებულებასთან, რომელსაც იჩენდნენ ზოგიერთი ეკლესიის მიმართ, ეკლესიის

საქმეებსა და ურთიერთობებში მათი დიდი ავტორიტეტიდან გამომდინარე.

3. ტერმინი ის „უპირატესობა (მწარმატებელი) იყო ეკლესიის კრებსითი მოწყობის პირში და არანაირად არ იყო დაკავშირებული ადმინისტრაციულ-იურიდიულ ძალაუფლების ცნებასთან.
4. რომის ეკლესია და მისი ეპისკოპოსი „ის „უპირატესობით“ აღჭურვილი იყო მსოფლიო კრებებზე მხოლოდ იმიტომ, რომ რომი იყო რომის მმკრთალობის პოლიტიკური ცნობით, მისი დედაქალაქი. ამას გარდა, დასავლეთში, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, ასეთი ღირსებით სხვა არცერთი ქალაქი არ იყო შემკული.
5. ეკლესიის ისტორიის ადრექტისტისულ პერიოდში რომის ეკლესია იწოდებოდა „სიყვარულში თავმჯდომარედ (წმ. მოწ. ეგნატე ღმერთშემოსილი), ანუ მითითებული იყო მის სათხოებაზე და არა რაიმე ძალაუფლებაზე საერთოეკლესიურ ცხოვრებაში.
6. რომის ავტორიტეტი პირველქრისტიანულ წლებში ემყარებოდა იმ პატივისცემას, რომ ეს იყო ადგილი პირველმოციქულების წმიდა მოწამებრივი აღსასრულისა.
7. ეკლესიის ისტორია ადასტურებს იმას, რომ პირველ ათასწლეულში რომის ეპისკოპოსის ნებისმიერი ჩარევა სხვა ადგილობრივი ეკლესიის საზღვრებში ხვდებოდა მკვეთრ უკუგდებას, მაგალითად, კართაგენის 418-419 წწ. კრების გადაწყვეტილებით უგულებელყოფილ იქნა რომის რაიმე უფლება, განეხილა და გაეუქმებინა კართაგენის ადგილობრივი კრების რაიმე გადაწყვეტილება.
8. კონსტანტინოპოლის 879-880 წწ. კრებამ I კანონით მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივი ეკლესიების აბსოლუტური ავტონომიის შესახებ ეპისკოპოსთა გადაწყვეტილებებში და მათვე დაავალა თავიანთი ეპისკოპოსების განსჯა.

#### **9. პირეის მიტროპოლიაში ჩატარებული კონფერენციის (28.04.10) შედეგები, რომელიც მიეძღვნა „პირველობის“ საკითხს.**

პაპის პირველობას არანაირი კანონიერი საფუძველი არ გააჩნია, არც საღვთისმეტყველო, არც სასულიერო, არც ეკლესიოლოგიური. სავსებით ცხადია, რომ ის ემყარება ხელისუფლების მიწიერ გაგებას.

ასეთი ზოგადი დასკვნის გამოტანა შეიძლება პირების მიტროპოლიტ სერაფიმეს მიერ ირინისა და ფილიის სახ. სტადიოზე ჩატარებული „ღვთისმეტყველების დღის“ მასალებიდან. კონფერენციას მრავლრიცხოვანი სამღვდელოება და საერო პირები ესწრებოდნენ.

ეს დღე აღსანიშნავი იმითაც იყო, რომ კონფერენციას ათენისა და სრულიად



პირების მიტროპოლიტი სერაფიმე ესწრებოდა, რომელმაც კონფერენციას გახსნაზე სიტყვა წარმოსთქვა.

კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ კიფირის მიტროპოლიტი, მეუფე სერაფიმე, გლიფადის მიტროპოლიტი, მეუფე პავლე, ასევე მარათონის ეპისკოპოსი, მეუფე მელიტონი.

კონფერენციის თემა იყო „პირველობა, კრებსითობა და ერთობა ეკლესიისა“. ორ სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს: მიტროპოლიტმა სერაფიმემ, ბერმა ლუპა გრიგორიატელმა, პროფესორმა არქსტიდის პაპადიკისმა (მერილენდის უნივერსიტეტი, აშშ), პროტოპრესვიტერებმა გიორგი მეტალინოსმა და თეოდორე ზისისმა, პრესვიტერმა ანასტასი გნოცოპულოსმა და პროფესორმა დიმიტრი ცელინგიდისმა.

გაეთებული მოხსენებებიდან გამომდინარეობდა, რომ: ერთობა ბუნებით ეკუთვნის ეკლესიას როგორც ქრისტეს სხეულსა და როგორც საკრებულოს ქრისტეში. ჭეშმარიტი ეკლესია ერთია. ეკლესის ერთადერთობას ყველა მხრივ, როგორც კანონმდებლობითი, ისე ქარიზმატული თვალსაზრისით, აქვს სავსებით ნათელი ღვთივსულიერი საფუძველი. იგი წარმოგვიდგება, როგორც მისტიური, მაგრამ ცხოვრობს, მოქმედებს და მეღავნდება უპირველეს ყოვლისა ევქარისტიაში.

კონსტანტინოპოლის 1727 წლის კრების „სარწმუნოების აღმსარებლობის“ თანახმად, „არასდროს არავითარი სხვა თავი არ ყოფილა აღმოსავლეთის ეკლესიაში, გარდა უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესი, რომელიც, წმინდა მამების თანახმად, სამუდამოდ არის ეკლესიის მომცემი და საფუძველი“. მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის თანახმად, „პირველი“ არ

გაიგება და არ შეიმუცნება უმთავრესად უშუალოდ კონკრეტული ადგილისა თუ ეპარქიის ეკლესიისაგან განცალკევებით.

ის უპირატესობის (შწაბაშაში) დებულება (ამ ტერმინს იყენებს მართლმადიდებლური საეკლესიო ტრადიცია პაპისტების მიერ ხმარებული ტერმინის, — „პირველობა“ (შწაბაში). — საპირისპიროდ) გამოხატავს და ინარჩუნებს მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესიის ერთობასა და კრებსითობას. საპატრიარქო ტახტთა პენტარქია არის ფორმა, რომლის საშუალებითაც ეკლესიამ ადგილი მისცა ის პირველობას I ათასწლეულში. „პირველის“ ძალაუფლება, რომელიც მომდინარეობს ის უპირატესობიდან, არის კრებსითობის ნაყოფი, მაშინ, როდესაც ძალაუფლება, რომელიც რომის ეპისკოპოსმა მიითვისა I ათასწლეულის შემდეგ, წარმოადგენს ეკლესიის კრებსითი მოწყობის გაუქმებას.

I ათასწლეულის ეკლესიაში არ არსებობდა „ღვთიური უფლება“ პაპის პირველობისა მმართველობაში და მთელს ეკლესიაზე ძალაუფლებაში, არამედ ეკლესიას ქონდა უფლება, გადაეწყვიტა თავისი პრობლემები პაპის გარეშე და უმეტეს შემთხვევაში ამას იგი აკეთებდა სწორედ პაპის დაჟინებული წინააღმდეგობის საპირისპიროდ და ეკლესიის ამ გადაწყვეტილებებს ქონდათ კრებსით-კათოლიკური (საყოველთაო) ძალმოსილება.

1054 წლის სქიზმის შემდეგ პაპების მისწრაფება, მოიპოვონ ძალაუფლების პირველობა მთელს ეკლესიაზე, მთლიანად ანგრევს ეკლესიის მისტიური სხეულის ღვთივსულიერ აგბულებას, ქმნის ხაზს და ფაქტობრივად აუქმებს კრებსითობას, როგორც ამ სხეულის ღვთივსულიერ მსახურებას და შემოაქვს ეკლესიაში მიწიერი აზროვნება, აუქმებს ეპისკოპოსების ღისრებათა ტოლდიდობას, ითვისებს ეკლესიაზე აბსოლუტური ძალაუფლების უფლებას. ეს, არსებითად, განაყენებს ღმერ-თკაცს და ეკლესიის ხილულ თავად ადგენს ვინმე კაცს. ამგვარად, თითქოს თავიდან მეორდება პირველქმნილი ცოდვა.

ჭეშმარიტი ერთობა მიიღწევა რწმენაში, ღვთისმსახურებასა და უფლებაში ერთობის საშუალებით. ეს არის ძველი ეკლესიის ერთობის პროტოტიპი, რომელსაც ზუსტად და კათოლიკურად აგრძელებს მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესია. უნიატობის მეთოდს შემოაქვს ცრუერთობა, რომელიც ემყარება ერეტიკულ

ეკლესიოლოგიას, რადგან, იმის გარდა, რომ უშვებს მრავალფეროვნებას სარწმუნოებასა და ღვთისმსახურებაში, ერთობა ასევე დაძოკიდებული ხდება პაპის პირველობის ცნობაზე, რომელიც ამყარებს კაცობრივ ძალაუფლებას და აუქმებს ეკლესიის კრებსითი მართვის მოწყობას, რომელიც წარმოადგენს ღვთიური უფლების ინსტიტუტს.

ვატიკანის I კრების (1870), უმთავრესად კი ვატიკანის II კრების (1952-1964) შემდეგ პაპის პირველობა არ წარმოადგენს უბრალო კანონიკურ პრეტენზიას, არამედ სარწმუნოების აუცილებელ (ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის მიხედვით) ღოგმატს, რომელიც, ლათინთა თვალსაზრისით, სრულიად აუცილებელია მორწმუნეთა გადარჩენისათვის. ამ ღოგმატის უარყოფელი თავს იტეხს ვატიკანის I კრების ანათემას, რომელიც ძალაში დარჩა ვატიკანის II კრების შემდეგაც.

პირეის მიტროპოლიტმა სერაფიმებ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „პაპის ძალაუფლების პირველობის შესახებ ერეტიკული და მკრეხულური სწავლებისა და მისგან გამომავალი სულიერი შედეგების (როგორიცაა პაპის უცდომელობა და მისი აბსოლუტისტურ-მონარქისტული ბატონობა მთელ მის რელიგიურ საკრებულოზე) წყალობით პაპიზმი გარდაიქმნა როგორც აბსოლუტისტურ-მონარქისტული სისტემა მისტიური მსოფლმხედველობისა და მივიდა ეკლესიის გაგების დამახსნებელდე. პაპიზმა ახალი რომაულ-ფრანკისტული წარმართობა მოირგო რაღაც სულიერ ნიღბად და თავის ყოველ წევრს წაართვა ქრისტეში მისტიური თავისუფლება. შედეგად პაპიზმა ხელი შეუწყო ასობით სხვადასხვა მწვალებლობაში შთავარდნასა და განვარდნას ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიიდან, ასევე აღმართა დაუძლეველი წინაღობა მწვალებლობათა უარყოფისათვის.

კონფერენციის პატივცემული მონაწილეების თვალსაზრისით, მართლმადიდებლებსა და რომო-კათოლიკებს შორის მიმდინარე თანამედროვე დალოგების მცდელობისათვის, აღადგინოს ეკლესიური ერთობა, აუცილებელია, სულ მცირე, რომო-კათოლიკების მხრიდან ღოგმატური ცდომილებების, მათ შორის პაპის პირველობის უარყოფა, და არა მისი რაიმე მისაღები ფორმით განმარტება.

დასასრულ, განსჯილ, უარყოფილ და მიუღებლად მიჩნეულ იქნა „სრული ერთობის აღდგენის ნიმუშისათვის“ ისეთი სინკრეტიკული ფორმა, როგორიცაა „ერთობა მრავლფეროვნებაში“.

<http://amen.gr/index.php?mod=news&op=article&aid=2260>

## 10. სერბეთის ეკლესიაში


რაშკას და პრიზრენის მიტროპოლიტ არტემის  
მიმართვა სერბეთის სინოდს

ცნობად: სერბიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავარს

რაშკასა და პრიზრენის წმიდა მიტროპოლიტის  
მართლმადიდებელი მიტროპოლიტი არტემი  
ოქმის ნომერი №363

19.5.2008

პრიზრენი. გრაჩანიცას წმიდა მონასტერი  
ეპისტოლე  
მღვდელმთავართა  
სინოდს



**მიტროპოლიტი არტემი**  
მღვდელმთავართა სინოდის „დღის წესრიგში“ წარმოდგენილი.  
მორწმუნე ერი, შემფოთებული თავისი მართლმადიდებლური  
სარწმუნოების გამო, მოელის მღვდელმთავართა სინოდისგან გარკვეულ  
პასუხს იმის თაობაზე, თუ რა მოხდა რავენაში 2007 წლის 8-15  
ოქტომბერს, და არა მარტო ერი, ამასვე მოელის უმეტესობა  
მღვდელმთავრებისა, რომლებიც აქ ვართ თავმოყრილნი. ჩვენც  
გაგვიჩნდა ბევრი კითხვა და ეჭვი, რაც სასურველია, აქევე გადაიჭრას.

რავენას მოვლენათა თანამონაწილემ, ბაცკას  
მალალყოვლადუსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა, მეუფე ირინეოსმა  
შეკრიბა სინოდი შხოლოდ მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული

მოვლენიდან უკვე სამ თვეზე მეტი წანი იყო გასული (2008, 23 იანვარი). მეუფე წარდგა მოხსენებით „სიტყვა შერეული საერთაშორისო კომისიის პლენარული სედომისათვის მართლმადიდებლებსა და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებს შორის საღმრთისმეტყველო დიალოგის 10 წლისთავთან დაკავშირებით (რავენა, იტალია, 2007 წ. 8-15 ოქტომბერი)“. მუდმივმოქმედი წმიდა სინოდი 2008 წ. 5 თებერვალს აგზავნის მღვდელმთავრებს და ჩვენ ამას გეგმულობთ ფოსტით, თითოეული ჩვენგანი – ჩვენი რეზიდენციების მანძილისა და საფოსტო კავშირის სისწრაფისდა შესაბამისად.

ამასობაში – 2007 წ. ოქტომბრიდან 2008 წ. თებერვლამდე დიდი დროის განმავლობაში გამოითქმებოდა სხვადასხვა მოსახრებები, ჰიპოთეზები, მარჩიელობა იმის თაობაზე, თუ რა მოხდა სინამდვილეში რავინაში? რას მოეწერა ხელი, ვინ მოაწერა, ვისი დავალებით და ლოცვა კურთხევით?.. თავად სხდომაზე მონაწილეთა სახელით კეთდებოდა განცხადებები, თუ სრულიად მღვდელმთავართა და მორწმუნე ერის სახელით?..

2008 წ. 2 თებერვალს ოქმის №131/66 მუდმივმოქმედი წმიდა სინოდის ეპისტოლეს მეშვეობით (მას ახლდა მმის-ირინეოსის დანართი) ჩვენ ვამდიდობდით, რომ ვპოვებდით ზემოთ წარმოდგენილ შეკითხვებზე პასუხებს, მაგრამ ვერ ვპოვეთ. იმუდად ისლა შემოგვრჩა, რომ ყველაფერს მღვდელმთავართა სინოდზე გავიგებდით, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგშიც კი არ შეუტანათ.

იმისათვის, რომ მეტად აღარ შევყოვნდეთ შესაბამის თემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის ლაბირინთში, მღვდელმთავართა სინოდს წარმოვუდგენთ ჩვენს ამ ეპისტოლეს, მოუთმენლად მომლოდინენი, რათა შევიტყოთ ოფიციალურად:

1. როდის, ვისი დადგენილების საფუძველზე, რომელი საექლესიო კორპუსის თაოსნობით განუწესეს ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლებს – ბაცკას ეპისკოპოს ირინეოსა და ბრანიჩევის ეპისკოპოს ეგნატეს მართლმადიდებელ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებს შორის „შერეული სადიალოგო კომიტეტის“ „საქმეებში მონაწილეობა“?

2. მიუცა თუ არა ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლებს აღნიშნული დადგენილებით (რაკი იგი არსებობს) „სამსახურისა” მთელი ცხოვრების მანძილზე, ანდა კონკრეტული კურონების ზემოთ დასახელებული კომიტეტის კონკრეტულ სხდომებზე დასასწრებად?
3. შეხვდნენ თუ არა ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლები გამგზავრებამდე წმიდა მუდმივმოქმედ ან მღვდელმთავართა სინოდს მოსათათბირებლად და იმ პოზიციების შესათანხმებლად, რომელთაც ისინი ჩვენი ეკლესიის სახელით დაიცავდნენ?
4. მოგახსენებთ უფრო კონკრეტულად: რავენაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე ჩვენ ამბებს ვიგებთ ბაცკას ეპისკოპოსის მოხსენებიდან. ანუ, ვიგებთ იმას, რომ რავენას სხდომაზე აღიარებული ტექსტი წარმოადგენს „საღმრთისმეტყველო შესავალს ეკლესიაში რომის ეპისკოპოსის პოზიციისათვის” და კვალად ვსვამთ კითხვას: როგორ შეიძლება წარმოებდეს მსჯელობა „ეკლესიაში რომის პაპის პოზიციაზე”, როცა რომის „ეპისკოპოსი-პაპი” არ არის ეკლესიის წიაღში, არ არის მისი წევრი, არამედ ეკლესიის გარეთ მისდევს მწვალებლობას? განა ეკლესიის წიაღში ადგილის განსაზღვრავდ აუცილებელი წინაპირობა არ იყო (პაპის-მთ.შენ). ეკლესიის წიაღში მოქცევა? განა რავენას ტექსტი ითვალისწინებს მართლმადიდებელი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების ერთობას?
5. გვსურს, რათა წარმოგვიდგინონ რავენას 2007 წ. სხდომათა მონაწილეების ნუსხა; თუნდაც ის, რაც ადგილობრივ ეკლესიებს უკავშირდება.
6. მომხსენებელი მუდმივმოქმედი წმიდა სინოდის წინაშე, ბაცკას ეპისკოპოსი საუბრობს ადგილობრივი მღვდელმთავრების

ვარაუდებზე „რავენას ტექსტის” ხელმოწერასთან და ვითომდა „უკანდახევასთან” დაკავშირებით და გვიმტკიცებს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა „მტკნარი სიცრუე და სისულელე”. სხვა წყაროებიდან კი, სამწუხაროდ, ვიგებთ, რომ არსებობს „ხელმოწერებიც” და „უკან გადადგმული ნაბიჯებიც”; და რომ ეს „სიცრუე და სისულელე” კი არა, მწარე სინამდვილეა.

7. მოველით, რომ მღვდელმთავართა სინოდი ხელახლა განიხილავს დადგენილებას „მართლმადიდებელ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიათა შორის საერთაშორისო შერეული საღმრთოსმეტყველო დიალოგის” სამუშაოებში სერბის ეკლესიის თანამონაწილეობის საკითხის შესახებ, რადგან ყოველი ამგვარი „დიალოგის” შედეგად სერბის ეკლესიის სავსება განიცდის გამანადგურებელ რყევებსა და მორწმუნებში რწმენის რღვევას.
8. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მღვდელმთავართა სინოდი ხელახლა გადასინჯავს ჩვენს ამ თაოსნობას და გაძლიერებული განახორციელებს 1997 წ. დადგენილებას „მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან სერბის მართლმადიდებელი ეკლესიის გამოსვლის” თაობაზე, გაუძლვება ერს ქრისტეს გზით, წმიდა საბა სერბის გზით, ერთადერთი სწორი გზით ცხონებისაკენ.

დასასრულ, კეთილი სასოებით ხელმომწერი

რაშკას და პრიზრენის მიტროპოლიტი არტემი

ამონაბეჭდი „თეოლოგიის” 6.2.10 დან

რუბრიკა: ანტიეკუმენისტური მასალები

## 11. თესალონიკის კონფერენცია რომ- კათოლიკებთან დიალოგის შესახებ



თესალონიკის უნივერსიტეტის  
საღვთისმეტყველო ფაკულტეტის  
პროფესორი, დიმიტრი ცელინგიძისი

მიმდინარე (2010) წლის მარტში, თესალონიკში, ადგილობრივ თეოლოგთა კავშირისა და ქრისტიანული ცენტრის, „მოცეკველი პავლექ“ ორგანიზებით, ჩატარდა კონფერენცია. თავის მოხსენებაში „ქრისტეში ერთობისათვის სხვაგვარადმადიდებლებთან დიალოგებში დოგმატების მნიშვნელობის შესახებ“ თესალონიკის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორმა, დიმიტრი ცელინგიძისმა აღნიშნა, რომ დოგმატი, რომელიც არის ინდექსი და რწმუნება მართლმადიდებლური აზროვნებისა, უნდა იყოს პირველი და ფუძემდებლური პირობა დიალოგისათვის, რომელიც მიზნად ისახავს გზაბნეულთა ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში დაბრუნებას. ეს ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომლისგანაც რომ-კათოლიკები 1054 წელს განვარდნენ დოგმატური გადახვევების გამო, რომელთაგან მთავარი «filioque»—ა. დოგმატის შეცვლის მომენტიდან რომის ეკლესიამ დაკარგა ღმრთის მადლი, განვარდა ეკლესიიდან, აღარ არის ეკლესია, არამედ — რაღაც ერეტიკული ერთობა. ბ-ნმა ცელინგიძისმა აღნიშნა, რომ სინამდვილეში უფსკრული ორ მხარეს შორის ეკლესიოლოგიური ხასიათისაა და მოცემულ მომენტში ეს უფსკრული დაუძლეველია. ამიტომ, სანამ ეს დოგმატური განსხავება არსებობს, ყველანარ დიალოგს არა აქვს არსებითი აზრი.

აღსანიშნავია, რომ დიდი სქიზმის შემდეგ მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს მიიჩნევს რომის საკრებულოს ეკლესიად. მას ყოველთვის განიხილავდნენ როგორც სქიზმატურ ერთობას, ხოლო შემდგომ ჩამოყალიბდა მასთან საბოლოო დამოკიდებულება, როგორც მწვალებლობასთან. მართლმადიდებელი ეკლესიის ცნობიერებაში არასდროს ყოფილა ის იდეა, რომელიც დღეს გამოითქმება

მართლმადიდებელი ეკლესიის ეპუმენისტურად მოაზროვნე ნაწილის მიერ, რომ, თითქოს, რომის ეკლესიის მწვალებლურად მისაჩნევად აუცილებელია მსოფლიო კრება, და რადგან ასეთი არ ყოფილა, ამიტომ, მიუხედავად აშკარა მწვალებლური სწავლებების მიუხედავად, რომის საკრებულო ეკლესიად უნდა მივიჩნიოთ. ეს სრულიად მცდარი მოსაზრებებია. პირველი, ეს პოზიცია ძირშივე ეწინააღმდეგება მსოფლიო კრებათა განმარტებას, რომელთა მიერ განისჯებოდა არა ადგილობრივი ეკლესიები (მაგ, ალექსანდრიისა თუ კონსტანტინოპოლის), არამედ მწვალებლობის მატარებლები და თავად მწვალებლობები. ამ ანათება-განსჯათა კონტექსტი ისეთი იყო, რომ ნებისმიერი, ვინც, — მიუხედავად იმისა, თუ სად და როდის, — გაიზიარა სწავლება, რომელიც უარყოფილია ეკლესიის მიერ, ასევე ექვემდებარება განკვეთასა და ანათემას. ამისთვის საკმარისია გავეცნოთ თავად მსოფლიო კრებათა საკითხებს. დასავლეთის ეკლესიის სწავლება «filioque»-ს შესახებ უშუალოდ ექვემდებარება მთელი რიგი მსოფლიო კრებების განჩინებებს, რომლებიც კრძალავენ ახალი სარწმუნოების შედეგნას და სარწმუნოების სიმბოლოსთვის რაიმეს დამატებასა თუ მოკლებას. ამიტომ სრულიად გასაგებია, თუ რატომ უწოდებდნენ წმ. გრიგოლ პალამა თუ წმ. მარკოზ ეფესელი დასავლეთის ეკლესიას მწვალებლურს. და თუ ვინმე მაღალ იერარქთაგანი ემსრობა აზრს, რომ რომის საკრებულო არის ეკლესია, ეს არ არის მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება, არამედ იერარქის კერძო მოსაზრება. ასეთი ლიბერალური აზროვნების მიზეზი არის მაღალი იერარქიის მიერ წმინდამამებრივი დოგმატური ცნობიერების დაკარგვა, რომელიც გამოწვეულია ცხოვრების წესის გამიწიერებითა და აქტიური ეპუმენისტური კონტაქტებით, რომლებიც აჩლუნგებენ მართლმადიდებლურ ცნობიერებას. არა ადგილებრივი ეკლესიები გამოთქვამენ მოსაზრებებს რომის საკრებულოს, როგორც ეკლესიის შესახებ, არამედ მათი იერარქები, რადგან ეკლესია არის ყველა მორწმუნის ერთობა, ხოლო ეკლესიის სწავლება — წმიდა მამათა სწავლება. ამიტომ პროფესორ ცელინგიდისის ზემოთ მოყვანილი გამონათქვამები არის არა მისი თვალსაზრისი, არამედ — ეკლესიის სწავლება, რომელიც ეწინააღმდეგება ზოგიერთი მაღალიერარქის მოსაზრებებს.

**12. ავსტრალიის მთავარეპისკოპოსი სტილიანი:**  
**რომო-კათოლიკებთან წარმოებული დიალოგი**  
**არის დაცინვა**



**მთავარეპისკოპოსი  
სტილიანი**

ეკლესიის სწავლებიდან და რომო-კათოლიკებთან მიმღინარე დიალოგის ხასიათიდან გამომდინარე ამბობს ავსტრალიის მთავარეპისკოპოსი სტილიანი, რომ რომო-კათოლიკებთან წარმოებული დიალოგი არის დაცინვა. ამ დიალოგის ხასიათს რომთან ერთად მასთან ანტიმართლმადიდებლურ ალიანსში მყოფი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოც განსაზღვრავს. მეუფე სტილიანი ამბობს, რომ ვატიკანმა თავისი უმაღლესი ფარისევლობა დაამტკიცა! რომ უნია არის დაცინვა და წმინდა წყლის

სიცრუუ. რომ თანამედროვე პაპიზმი ქადაგებს პაპიზმის შუასაუკუნოებრივ ზღაპრებს. კერძოდ, მან ვატიკანის გახმაურებულ 09.07.2007წ.-ის ენციკლიკას გამომწვევი უწოდა. ამ ენციკლიკაში პაპმა განაცხადა, რომ ერთადერთი ნამდვილი ქრისტეს ეკლესია არის პაპისტური ეკლესია და რომ „აღმოსავლეთის ეკლესიებს“ აქვთ ნაკლული ეკლესიოლოგა, რადგან ისინი არ აღიარებენ რომის პირველობას და იმას, რომ პაპი არის ზეპისკოპოსი და „ქრისტეს ნაცვალი დედამიწაზე“. მეუფე სტილიანმა, კერძოდ, თქვა შემდეგი: „მართლმადიდებლებსა და რომო-კათოლიკებს შორის „ოფიციალურ საღვთისმეტყველო დიალოგზე“ ჩემი 20-წლიანი დამქანცველი თავმჯდომარეობის შემდეგ მე საკუთარი წებით გადავდეჭი, იმისათვის, რათა არანაირი დამოკიდებულება აღარ მქონოდა ამ „არამიმზიდველ და ულამაზო თამაშთან“. . . მე არ შევუდგები ვრცელ საუბარს სწრაფად განვითარებად „იატაპეტეშა“ საქმიანობისა და განახლებული საღვთისმეტყველო დიალოგის შესახებ, რომელიც ფარისევლურ ხასიათს ატარებს. . . პერგამოს მიტროპოლიტ იოანეს მიერ დიალოგის წარმოება – ესაა ერთგვარი დევნის ტაქტიკა, როდესაც

ის თავს უფლებას აძლევს განაცხადოს, რომ ის თანმიმდევრული ღვთისმეტყველია და ამტკიცებს, რომ თითქოს „უნიატობა არ განეკუთვნება დიალოგის საკითხებს“. უნიატობა არის დაცინვა და სუფთა წელის სიცრუე, ადამიანური სიბილწე. მოდის მიტროპოლიტი იოანე და მეუბნება, რომ დღის წესრიგში შევიტანოთ შემდეგი საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ჭკუაზე მოვიყვანოთ ადგილობრივი ეკლესიები. სად იპოვა ეს პერგამოს მიტროპოლიტმა? და განა მაშინ იგი ამას დაუდევრობითა და უთაობით ამბობდა?“ (Öéëiñèüäñiç, i ñ ó ç «ÊiñiÜö ÖéáñéÜöiò», ÓåôÝñç 4, Ô. È. 542 50)

### 13. პაპის დამცინავი და შეურაცხმყოფელი ენციკლიკა

პაპის ფარისევლობა 2007 წლის ენციკლიკაში თვალნათლივ ჩანს. ერთი მხრივ პაპისტები მართლმადიდებლებს ძმებს გვიწოდებენ, ამბობენ, რომ ჩვენ ერთი ვართ, და ასეთი ლიქნით სურთ, რომ გვალიარებინონ მათი საკრებულო ეკლესიად. მეორე მხრივ ქედმაღლურად აცხადებენ, რომ ერთადერთი ეკლესია რომის ეკლესიაა და რომ მართლმადიდებლური ეკლესია არასრულფასოვანია. გთავაზობთ ხსენებული ენციკლიკის თარგმანს კომენტარებითა და თანამდევი სხვა მასალებით:



### ვატიკანის მზაკვრული გეგმა

პაპ ბენედიქტე XVI –ის სამი წლის წინ გამოქვეყნებული დოკუმენტი დღევანდელი გადასახედიდან სრულიად ააშკარავებს ვატიკანის მზაკვრულ განზრახვას, – მიაღწიოს პაპის პრიმატის აღიარებას მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან. ამ მიზნით ვატიკანმა მისთვის დამახასიათებელი მზაკვრული გზა აირჩია: ჯერ ცდილობს, რომ მიღებულ იქნას დოკუმენტი „პაპის პრიმატის

თაობაზე ერთიან ეკლესიაში პირველ ათასწლეულში“, და შემდეგ პირველი ათასწლეულიდან გადმოინაცვლოს მეორე ათასწლეულში. ამ მზაკვრობაში ორმაგი სიცრუე დევს:

1. პაპის პრიმატი პირველ ათასწლეულშიც სრულიად უსაფუძვლო, არაეკლესიოლოგიური და არასახარებისეულია (იხ. ქვემოთ);
2. დღევანდელ რომის ეკლესიას არაფერი აქვს საერთო პირველი ათასწლეულის ერთიან ეკლესიასთან. მეტიც, ამ ერთიანი ეკლესის მიერ იგი ანათემასაა გადაცემული, რომელიც დღემდე ძალაშია.

ანათემა ოფიციალურად გამოცხადდა 1054 წელს კონსტანტინოპოლის ეკლესიის ინიციატივით, იგი დროთა განმავლობაში ყველა ადგილობრივმა ეკლესიმ გაიზიარა, და მის მოსახსნელად არ არის საკმარისი ცალკეული მოსყიდული და სულგაყიდული პატრიარქის (ათინაგორა) ინიციატივა. ანათემის გასაუქმებლად აუცილებელია რომის ეკლესიის მიერ თავისი მწვალებლობების აღიარება, უკუგდება და კვლავ დედა ეკლესიაში დაბრუნება. ყველა სხვა მცდელობა იქნება არამართებული, არაკანონიკური, არაეკლესიოლოგიური, არამედ – მზაკვრული და ავაზაკური.

მოგვყავს სამი წლის წინ გამოქვეყნებული დოკუმენტი და მასთან დაკავშირებული მასალები, რომელიც ყველა ზემოხსენებულ სიცრუეს შეიცავს. შემდეგ ჩვენს კომენტარსაც შემოგთავაზებთ.

## 2007 წლის ენციკლიკა

snbc.com საინფორმაციო სამსახურები  
განახლებულია 9:52, 10 ივლისი, 2007.

ლორენზაგო დი კადორე, იტალია – პაპმა ბენედიქტე XVI ხელახლა დაადასტურა რომის კათოლიკური ეკლესიის უნივერსალური პრიმატი, მოწონა რა სამშაბათს გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ორთოდოქსული (მართლმადიდებლური – მთარგმნ.) ეკლესიები არასრულყოფილნი არიან და რომ, სხვა ქრისტიანული დენომინაციები არ წარმოადგენენ ჭეშმარიტ ეკლესიებს.

ბენედიქტემ მოიწონა მისი სამრევლოს მიერ სარწმუნოებრივი დოქტრინის შესახებ გამოქვეყნებული დოკუმენტი, სადაც ახლიდანაა ჩამოყალიბებული ეკლესიის სწავლება სხვა ქრისტიანებთან მიმართებაში. ამ კვირაში ეს უკვე მეორედ გააკეთა რომის პაპმა, — ვატიკანის მეორე კრების გადაწყვეტილების (მისი გაგებით) მცდარი ინტერპრეტაციების კორექტირება. საუბარია 1962-65 წელს მოწვეულ კრებებზე, რომლებმაც მოახდინეს ეკლესიის მოდერნიზაცია.

შაბათს ბენედიქტემ ვატიკანის მეორე კრების კიდევ ერთი ძირითადი ასპექტი შეასწორა — აღადგინა ძველი ლათინური მესა. ტრადიციონალი კათოლიკები ამ ცვლილებას სიხარულით შეხვდნენ, მაგრამ უფრო ლიბერალებმა ეს მოვლენა შეაფასეს, როგორც ვატიკანის მეორე კრების გადაწყვეტილების განხორციელებისაგან თავის შეკავება.

ბენედიქტე, რომელიც ესწრებოდა ამ კრებას, როგორც ახალგაზრდა თეოლოგი, დიდი ხნის მანძილზე ასაჩივრებდა ლიბერალთა მხრიდან კრების გადაწყვეტილებათა მცდარ ინტერპრეტაციებს. აცხადებდა რა, რომ ეს წარსულის გადმონაშოთი კი არა, არამედ უფრო საეკლესიო ტრადიციის განახლება იყო.

ახლახანს გამოცემულ დოკუმენტში, რომელიც 5 კითხვისა და პასუხებისაგან შედგება, ვატიკანი ცდილობს წერილობით ჩამოაყალიბოს ვატიკანის მეორე კრების ეკუმენური განზრახვა. მასში წერია, რომ ზოგიერთი თანამედროვე თეოლოგიური ინტერპრეტაციები გახდათ “შცდარი და ორაზროვანი”, რამაც გამოიწვია დაბნეულობა და ეჭვი.

დოკუმენტში განმეორებულია 2000 წელს პაპის მიერ გაკეთებული განცხადებიდან ძირითადი ადგილები. ეს განცხადება პაპმა, „Dominus Iesus“, კონგრეგაციის პრეფექტად ყოფნის დროს გააკეთა, რამაც პროტესტანტებსა და სხვა ქრისტიანულ დენომინაციებს შორის კრიტიკის ქარცეცხლი გამოიწვია. ამ დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დენომინაციები არ წარმოადგენდნენ ჭეშმარიტ ეკლესიებს, არამედ მხოლოდ საეკლესიო სექტებს და ამდენად არც “მაცხოვნებელი საშუალებები” არ გააჩნდათ მათ.

როდესაც პაპი შვებულებით იმყოფებოდა აქ, იტალიაში, დოლომიტის მთებში, ვატიკანმა გამოაქვეყნა ახალი დოკუმენტი თანმხლები კომენტარით, სადაც კვლავ დაადასტურა თავისი პოზიცია.

„ქრისტემ, აქ, დედამიწაზე დააარსა მხოლოდ ერთი ეპლესია—ვკითხულობთ დოკუმენტში, - სხვა რელიგიური ჯგუფები არ შეიძლება წოდებულ იქნენ ეკლესიებად, ამ (სიტყვის წმინდა გაგებით), -ვინაიდან მათ არ გააჩნიათ სამოციქულო მემკვიდრეობა –შესაძლებლობა, რომ ეპისკოპოსები მიერჩიან ქრისტეს ნამდვილ მოციქულებს.

### **„კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტება“.**

რომში ანგლიკანური ცენტრის წარმომადგენელმა სარა მაკვეინმა განაცხადა, რომ ამ დოკუმენტში არაფერი იყო ახალი. „არ ვიცი, ამჯერად რა წარმოადგენდა მის მოტივაციას“, – თქვა მან – „მაგრამ ყოველთვის მნიშვნელოვანია, მივუთითოთ რომ ეს გახლავთ ოფიციალური პოზიცია და რომ ამის მიუხედავად არსებობს უზარმაზარი მეგობრობა და კეთილი დამოკიდებულება, ასევე ყველა დონეზე ტარდება ერთობლივი ღვთისმსახურებები ანგლიკანებსა და კათოლიკებს, თუნდაც სხვა რელიგიის წარმომადგენელ ჯგუფებსა და კათოლიკებს შორის.“

დოკუმენტში ნათქვამია, რომ მართლმადიდებლური (ორთოდოქსული) ეკლესიები ნამდვილად წარმოადგენ „ეკლესიებს“, რადგან მათ გააჩნიათ სამოციქულო მემკვიდრეობა და ასევე შეიცავენ „განწმენდისა და ჭეშმარიტების მრავალ ელემენტს.“ თუმცა, ისინი არ არიან სრულყოფილნი, გინაიდან არ სცნობენ პაპის პრიმატს – ეს გახლავთ ზადი ანუ „ჭრილობა“, რაც მათ აყენებს ზიანს.

„ცხადია, ეს სრულიად შეუთავსებელია პაპის პრიმატის დოქტრინასთან, რაც, კათოლიკური მრწამისის მიხედვით, წარმოადგენს ცალკეული ეკლესიების არსებობის შიდა კონსტიტუციურ პრინციპს“ – ნათქვამია კომენტარში.

დოკუმენტის ამ უხეში ტონის მიუხედავად, მასში ხაზგასმითაა აღნიშნული ბენედიქტეს მზადყოფნა ეკუმენური დიალოგისთვის. „თუმცა დიალოგი რომ იყოს ნამდვილად კონსტრუქციული, იგი უნდა ხასიათდებოდეს არა მხოლოდ მონაწილეთა ორმხრივი გულწრფელობით, არამედ კათოლიკური სარწმუნოების მიმართ ერთგულებით, - ვკითხულობთ კომენტარში, - და ასევე ეკუმენური ვალდებულების დაცვითაც“.

დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს კონგრეგაციის პრეზექტი, ამერიკის შეერთებული შტატების კარდინალი ვილიამ ლევადა, მოწონებულ იქნა ბენედიქტეს მიერ 29 ივნისს, - წმინდა პეტრესა და პავლეს ხსენების დღეს, -რომელიც გახლავთ ერთერთი უდიდესი ეკუმენური დღესასწაული.

### ჩვენი კომენტარი

მწვალებელი პაპი თავისი პირით ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მაცხოვარმა მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი ეკლესია დააფუძნა დედამიწაზე, და რომ მოციქულებრივი მემკვიდრეობითობა აუცილებელია ეკლესისათვის. მაგრამ ღვთაებრივ მადლს მოკლებული, მწვალებლური სიცრუით მეტყველი სული ვერ და არ აღიარებს, რომ სწორედ ეს მოციქულებრივი მემკვიდრეობითობა დაკარგა რომის ეკლესიამ, როდესაც შეცვალა მოციქულებრივი სწავლება, შეცვალა და დაამახინჯა სახარებისეული ღოგმატი სულიწმიდის გამომავლობის შესახებ და მიიღო მწვალებლური ღოგმატი ე.წ. „ფილიოკვე“, რომელსაც შემდგომ სხვა მრავალი მწვალებლური და მცდარი სწავლება მიუმატა (მაგ. „პაპის უცდომელობის ღოგმატი“).

კიდევ ერთ მომენტზე უნდა გავამახვილოთ ფურადღება, – შეხედეთ იეზუიტურ მზაკვრულ ხერხს, რომლითაც პაპისტები ჩვენს ქვეყნაში მოქმედებენ: თავიანთი აგრესიული და მზაკვრული პროტელიტიზმის შესანიშავ, მართლმადიდებელთა საცდუნებლად და გადასაბირებლად, ისინი მართლმადიდებლებს გვეუბნებიან, რომ ჩვენ ერთნი ვართ, რომ ჩვენს შორის განსხვავება არ არის, რომ ჩვენი ეკლესიები და-ეკლესიებია. მაგრამ პაპმა ბენედიქტე XVI ამ ტყუილს მოკლე ფეხები თავადვე გამოავლინა, როდესაც თქვა, რომ რომაულ-კათოლიკური ეკლესია (რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ კათოლიკე (საყოველთაო, მართლმადიდებელ) ეკლესიასთან და არის თვითმარქებია ცრუ საკრებულო) არის სრულყოფილი, ხოლო მართლმადიდებლური ეკლესია – არასრულყოფილია. მაშ როგორდა ვართ ერთნი? შეიძლება ყველა ნაბიჯზე ტყუილი და სიცრუე?

რაც შეეხება პაპის პრიმატს, ეს არის საშინელი ეკლესიოლოგიური ერესი, რომლითაც დაცემული ეკლესია ცდილობს

მოიპოვოს პირველობა და მექანიზმები, რომლებიც მას მისცემენ საშუალებას, ჩაერიოს ადგილობრივ მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა საქმეებში. ამ მზაგვრული გეგმის განხორციელებაში პაპს ეხმარება და მასთან დანაშაულებრივ ალიანსში იმყოფება კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ბართლომე თავისი გარემოცვით.

#### **14. მიმართვა ელადის ეკლესის სინოდს**

რომო-კათოლიკებთან დიალოგის საკითხთან დაკავშირებით ელადის ეკლესიის სინოდს მიმართა თესალონიკის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის დოგმატური ღვთისმეტყველების პროფესორმა, ბატონმა დიმიტრი ცელინგიძისმა. ეს მიმართვა, რომელიც წინ უსწრებდა კვიპროსზე შერეული კომისიის ფორმატში შეხვედრას, მრავალ საგულისხმო თვალსაზრისს შეიცავს, რის გამოც გადავწყვიტეთ ამ მიმართვიდან ამონარიდების მოტანა:

„მიზეზი, რის გამოც მე აუცილებლად მივიჩნიე ამ წერილის დაწერა იყო ის, რომ მე მაქვს კონტაქტები მიტროპოლიტებთან. მე მათ მივმართე შეკითხვით, განიხილა თუ არა ელადის ეკლესიამ სინოდზე და მიიღო თუ არა პოზიცია მოსალოდნელ ორმხრივ საღვთისმეტყველო დიალოგთან დაკავშირებით კვიპროსზე, რომელზეც განხილულ უნდა ყოფილიყო პაპის პრიმატის საკითხი, მათ მიპასუხეს, რომ ისინი არ იცნობენ ამ საკითხს. . .

შერეული საერთაშორისო კომისია უშუალოდ განიხილავს საკითხს „რომის ეპისკოპოსის როლის შესახებ ეკლესიათა ერთობაში (εν τη κοινωνίᾳ). მორჩილად მივიჩნივ, რომ თუკი პატივცემული იერარქია საღვთისმეტყველო კუთხით განიხილავს საკითხს და მკაფიოდ განსაზღვრავს თავის პოზიციას საკითხთან დაკავშირებით, ამით იგი ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლების მონაწილეობას შერეული კომისიის მუშაობაში უფრო მკაფიოდ მიზანმიმართულს გახდის და, რაც მთავარია, გავლენას მოახდენს საბოლოო ტექსტის

ფორმირებაზე (როგორც ცნობილია, კვიპროსზე საკითხის განხილვისას ელადის ეკლესიის წარმომადგენლებმა ქრიტიკის ქარცუცხლში გაატარეს პაპის პირველობის საკითხი, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შეხვედრის საბოლოო შედეგზე-ავტ.). . .

ამას გარდა, ნება მომეცით მოკლედ მოგახსენოთ ჩემი საღვთისმეტყველო შეხედულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. პაპის პრიმატის საკითხის დაგეგმილი „გამოწვლილვითი“ განხილვა კვიპროსზე (2009წ. ოქტომბერში-აკტ.) მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არის უადგილო და ნაადრევი. ამ საკითხს, საღვთისმეტყველო და წმინდამამობრივი ეთიკის თანახმად, აუცილებლად უნდა უსწრებდეს წინ იმ საკითხების განხილვა, რომლებიც აღნიშნავენ ჩვენი დოგმატიკის პრინცი პიალურ განსხვავებას რომო-კათოლიკების დოგმატიკასთან, როგორიცაა *filioque*, ღვთიური მადლის ქმნადობა და სხვა, რომლებსაც ისინი დღემდე მცდარად ქადაგებენ. ეს დოგმატური ცდომილებანი განსაზღვრავენ რომაული კათოლიკიზმის იერსახის ხასიათს და საღვთისმეტყველო თვალსაზრისით შრეტენ მის ეკლესიოლოგიასა და მისტერიას, ანუ მნიშვნელოვანწილად ართმევენ მას, როგორც საკრებულოს, ეკლესის ყველაზე არსებით, — ადამიანის განმღრთობის, — თვისებას (აბ «ესეინისაბაზე ესტრადი» მიუ აიენტიში).

შხოლოდ დოგმატებში აბსოლუტური იდენტურობის მიღწევის შემდეგ შეიძლება საუბარი ეკლესიის მართვის საკითხზე. დოგმატური განსხვავებები, მსოფლიო კრებათა სულისკვეთებიდან გამომდინარე, რომელიც მათ დადგნილებაში აისახება, რომო-კათოლიკებს ეკლესიის გარეთ აყენებს. ეს რეალობა ემპირიულად დასტურდება ჩვენსა და მათ შორის საიდუმლოებებში ურთიერთობის შეწყვეტით. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ წარმოიშვება საღვთისმეტყველო ხასიათის კითხვა: როგორ შეგვიძლია ჩვენ მოსალოდნელ საღვთისმეტყველო დიალოგისას რაციონალურად განვიხილოთ საკითხი კაცის (პაპის)

ინსტიტუციონალურ-იერარქიული მდგომარეობის შესახებ, როდესაც მისი პიროვნება არსებითად და კანონიერად ჯერ კიდევ ეკლესიის გარეთ იმყოფება?

მაგრამ თუ მხოლოდ თეორიული დისკუსია იქნება პაპის პრიმატთან დაკავშირებით, ნება მომეცით შეგახსენოთ უდავო ისტორიული ფაქტი, რომ უკლებლივ ყველა ეკლესია I ათასწლეულში არ ცნობდა რომის ეპისკოპოსის ავტორიტეტისა და ძალაუფლების პირველობას მსოფლიო დონეზე. მსოფლიო ეკლესიაში უმაღლესი ავტორიტეტისა და ძალაუფლების მპყრობელი ყოველთვის იყო მხოლოდ მსოფლიო კრება. მართლმადიდებელი ეკლესია რასდროს არ ცნობდა პაპის პრიმატს (მი შემთხვევაში შემთხვევაში) იმ სახით, როგორც ის გაგებულ და განხილულ იქნა ვატიკანის I კრებაზე, რომელმაც პაპი ეკლესიის ცნობიერების უცდომელ გამომხატველად აღიარა და მთელი ძალით დაუპირისპირა იგი თვით მსოფლიო კრებების დადგენილ გადაწყვეტილებებს. სხვა სიტყვებით, პაპმა ლათინურ დასავლეთში – დოგმატურად დაამტკიცა რა ვატიკანის II კრებაზე თავისი „უცდომელობა“ და მთელს ეკლესიაში პირველობის უფლება – თვითნებურად მიიტაცა სულიწმიდას ადგილი მსოფლიო ეკლესიაში. ამგვარად, პაპის ძალაუფლების პრიმატის ეკლესიონების სიონის სამართლოში (მისი შემთხვევაში უცდომელობას არა მხოლოდ ეკლესიის მართვის სისტემას, არამედ, არსებითად, სულიწმიდას მასში მყოფობასაც).

ვიმოდევნებ, რომ სულიწმიდა, რომელიც ეკლესიას წარმართავს ისე, რომ არ დამსხინვდეს ჭეშმარიტი სიტყვა, თქვენით იმეტყველებს, ჩემთვის პატივცემულო იურარქებო, რადგან სამერთიანმა ღმერთმა დალოცა თავისი ეკლესია, რათა იგი კანონიერად კრებსითად გამოხატავდეს თავის აზრს.

დიდი მოწიწებით ვემთხვევი თქვენს მარჯვენას.

დიმიტრი ცელინგიძისი, არისტოტელეს სახ. უნივერსიტეტის  
საღვთისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორი“.

ანალოგიური წერილი გაუგზავნა ბ-ნმა ცილინგიძისმა  
კვიპროსის წმიდა სინოდს, ასევე ათონის მთის წმიდა კინოჭის.

რომის ეკლესიის მზაკვრობის ერთ-ერთი ზერხია  
ადგილობრივ ეკლესიებთან ბრძოლა უნიატების საშუალებით.  
ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საბერძნეთის მაგალითი,  
სადაც რომის პაპი ყველანაირად ცდილობს უნიატების  
მხადაჭერასა და გაძლიერებას.

## 15. შეწყდეს პაპთან დიალოგი

ასეთი მოწოდებით მიმართა ელადის ეკლესიის მთავარეპისკოპოს  
იერონიმესა და წმიდა სინოდს პირების მიტროპოლიტმა სერაფიმებ  
(Đáñáéáđáèřéč, ɪáéřđ-éřđíéřđ, 2008, მაđ. 70). გთავაზობთ ამ  
მიმართვას მცირეოდენი შემოკლებით.

„ჩემო უნეტარესო მეუფევ,

რომის პაპ ბენედიქტეს გადაწყვეტილებით საბერძნეთში აირჩიეს  
უნიატების ახალი ეპისკოპოსი. ამ შემთხვევის შემდეგ ნებისმიერი  
მიამიტი მიხვდება, რომ ერეტიკულ პაპისტურ პარასინაგოგას, როგორც  
ეს მათ ჩვენმა სულიერმა ღირსსახსოვარმა მამამ, უნეტარესმა  
სერაფიმებ უწიდა, არაფრით არ შეუცვლია თავისი მხეცური პოზიცია  
განუყოფელი მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესიის მიმართ,  
რომლისგანაც მან თავი მოიკვეთა და ათასნაირ ცოდვაში ჩავარდა,  
— თვითნებურად და მეთოდურად დაამახინჯა დოგმატი, ეკლესიის  
მოწყობა, განუყოფელი ეკლესიის ზნეობრიობა.

მიმდინარე წლის (2009წ.-ავგ) 24 მაისს ათენში ბ-ნ დიმიტრიოს  
სალახის საბერძნეთში არარსებული უნიატების ეპისკოპოსად  
ინტრონიზაციამ ნიღაბი ჩამოხადა რომს, რომელიც თვალთმაქცობდა  
ურთიერთსიყვარულისა და და-ეკლესიების თეორიით და დაგვანახა  
პაპიზმის ნამდვილი სახე, მწვალებლობისა, რომელმაც დიდი დარტყმა  
მიაყენა მართალ სარწმუნოებას, სატანისტურად იმყოფება გაუსაძლის

მბერნვარებაში. ამიტომ ვთვლი, რომ ჩვენი ვალია, მითუმეტეს, როდესაც გვაქვს განუყოფელი მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესიისთვის მიუღებელი უსირცხვილო ტექსტი რავენას შეხვედრისა, მოვახდინოთ გადაფასება ჩვენი, როგორც ავტოკეფალური ეკლესიის შემდგომი მონაწილეობისა რომის ბოროტმოქმედებებით დაზიანებულ, ერეტიკულ გროვად შემდგარ ეწ. „ეკლესიათა“ მსოფლიო საბჭოში, ასევე შევაფასოთ, რამდენად სასარგებლოა ჩვენთვის მონაწილეობა სხვაგვარადმადიდებლებთან დიალოგებში, რადგან მეშინა, რომ ერთადერთს, რასაც ჩვენ მივაღწევთ – მივცემთ მათ საბაბს იმისა, რომ იფიქრონ, თითქოს ისინი თანასწორნი არიან ღვთივდაფუძნებული განუყოფელი კათოლიკე ეკლესიისა. ათენში უნიატების ახალი ეპისკოპოსის არჩევამ და ონტრონიზაციამ ყოველი ჩვენთაგანი დააყენა ისტორიული პასუხისმგებლობის წინაშე და უმორჩილესად ვფიქრობ, რომ ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, სათანადო რეაგირება მოვახდინოთ ძალადობაზე, განუყოფელი კათოლიკე ეკლესიის ერთიანობის შელახვაზე, რომელსაც ეწევა უსირცხვილო დაცემული რომი.

ალბათ გახსოვთ ის ტრაგიკული სურათი, რომელიც ტელევიზიით ვიხილეთ, როდესაც პაპ იოანე პავლე II-ს დაკრძალვის დროს უცხო ქვეყნის უნიატური მასხარები, ალბათ იმისათვის, რომ ენახვებინათ პაპის ტახტის მსოფლიო ხასიათი, „განუსვენენის“ ბერძნულ ენაზე მღეროდნენ. ამიტომ მე კეთილით ოფიციალურად გთავაზობთ, რომ თქვენი გადაწყვეტილებით ეს აქტუალური საკითხი განხილვისათვის შეიტანოთ წმინდა სინოდის სხდომის დრის წესრიგში. გიცხადებთ თქვენ ჩემს ერგულებას, ძმურ სიყვარულსა და პატივისცემას.

უღირსი ძმა ქრისტეში, პირების მიტროპოლიტი სერაფიმე“.

## **16. ათონის წმიდა მთის კინოტი რომო- კათოლიკებთან დიალოგის შესახებ**

საინფორმაციო სააგენტო Romfea.gr-მ გამოაქვეყნა ათონის წმინდა მთის კინოტის ოფიციალური პოზიცია, რომელიც მან მიიღო კვიპროსზე დაგეგმილ მართლმადიდებლებსა და პაპისტებს შორის დიალოგის შერეული კომისიის მორიგ პლენურმთან დაკავშირებით.



1. წმიდა მთა საუკუნეების განმავლობაში ქრისტეს მადლით ერთგულად იცავს წმიდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას, რომელიც ღმრთივდამოძღვრილმა მოციქულებმა გადმოსცეს ეკლესიას და ჩვენი ღმერთშემოსილი მამები საუკუნეების მანძილზე მსოფლიო კრებების საშუალებით უცვლელად იცავდნენ. ეს ტრადიცია ერთგულად დაიცვეს ასევე ჩვენმა წინამორბედმა მთაწმინდელმა მამებმა.
2. გვაცნობეს, რომ მაღლე კვიპროსზე შედგება მართლმადიდებელ ეკლესიასა და რომო-კათოლიკურ ეკლესიას შორის დიალოგის საერთაშორისო შერეული კომისიის პალენტი, რათა განიხილონ საკითხი „რომის ეპისკოპოსის როლის შესახებ ეკლესიათა კინონიაში I ათასწლეულში“, და ჩვენ, კინოტი, რომელიც არ მიიჩნევს სწორად დაალოგისთვის შერჩეულ ოქტას, გმოხატავს ძლიერ შეშფოთებას ამასთან დაკავშირებით, რადგან განიხილება პაპის პრიმატი მანამდე, ვიდრე პაპმა დაუტევა თავისი ერუტიკული დოგმატები და მიწიერი ხასიათი (სახელმწიფო ვატიკანი). საკითხის განხილვის ერთადერთი წინაპირობაა რომოკათოლიკების დაბრუნება მართლმადიდებელ სარწმუნოებაში და მართლამადიდებელი ეკლესიის კრებსითი მართვის ტრადიციაში, და არა „ერთობა მრავალფეროვნებისას“.
3. მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთიანი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. ამისა გვწამს და მტკიცედ ვიდგებით იმაზე, რაც გვამცნეს ჩვენმა წმიდა მამებმა.

**ყველა ერთობლივ კრებაზე, ათონის მთის 20 მონასტრის თავები და წარმომადგენლები.**

**17. ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის  
სინოდმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ბმე-ის  
მონაწილეობა კათოლიკებსა და  
მართლმადიდებლებს შორის საღვთისმეტყველო  
დიალოგში კვიპროსზე**



ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ბმე-ის მონაწილეობა კვიპროსზე კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის საღვთისმეტყველო დიალოგში. ბულგარეთის ეკლესიის სინოდმა გადაწყვიტა, არ გააგზავნოს თავისი

წარმომადგენლები საერთაშორისო შერეული საღვთისმეტყველო კომისიის შეხვედრაზე კვიპროსში 16-23.10.2009წ., გვაცნობებს “Orthodox Outlet for Dogmatic Enquiries” “Romfea”-ზე დაყრდნობით.

ბმე-ს სინოდმა განიხილა შეხვედრის ორგანიზატორების მიერ გამოგზავნილი წერილი-მოწვევა და გადაწყვიტა, რომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ შეხვედრაში. სინოდის მიერ ბმე-ს მონაწილეობას ასეთ დიალოგში უადგილო უწოდა. მსგავსი შეხვედრებისა და კონფერენციების შესწავლის შემდეგ ბმე-ს სინოდმა დაადგინა, რომ მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის მსგავსმა საღვთისმეტყველო დიალოგმა ვერ მიგვიყვანა სულ უმცირეს შეთანხმებამდეც კი დოგმატიკის საკითხებში.

ბმე-ს სინოდმა მზადყოფნა გამოხატა მომავალში, ასეთი შეხვედრების დროს განიხილოს სოციალური და პუმანიტარული საკითხები.

<http://www.maranatha.org.ua/cnews/r/59664>

## 18. რუსი მართლმადიდებლების შეშფოთება

საინტერესოა რუსეთის ეკლესიის მიტროპოლიტ ილარიონის გამონათქვამი იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ რუსეთის ეკლესია არ ღებულობს პაპის პირველობას. ეს სიტყვები არ არის მართალი, ვინაიდან მრავალი ეკლესია, იგივე საბერძნეთის, საქართველოს, ბულგარეთის და სხვა ეკლესიები არ ღებულობენ პრიმატს. თვალსაჩინოა, რომ ელადის ეკლესია ალბათ ყველაზე ღიად, მედგრად და მეგობრულად ეწინააღმდეგება პაპიზმის მიერ მართლ მადიდებლობის ჩაყლაბას. მაგრამ მიტროპოლიტ ილარიონის სიტყვებთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს ის, თუ რა ხდება მისი მეურვეობის ქვეშ მყოფ ასპირანტურაში: ვგებულობთ ოფიციალურ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ კათოლიკე პროფესორები მოწვეულნი არიან ლექციების წასაკითხად არა სხვა რომელიმე, არამედ დოგმატური ღმრთისმეტყველებისა და ეკლესიოლოგის საგანში (<http://www.mospat.ru/ru/2010/03/16/news14520/>).



პატრიარქები მართლმე და კარილე

ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსი მართლმადიდებლები აღშფოთებას გამოთქვამენ და შეახსენებენ მიტროპოლიტ ილარიონს, რომ მართლმადიდებელმა იერარქმა უნდა იცოდეს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიოლოგია, თავისი სულითა და სტრუქტურით, უცხოა რომო-კათოლიკური ეკლესიოლოგიისათვის. ეკლესიის, როგორც ქრისტეს მისტიური სხეულის, ღმერთკაცობრივი ორგანიზმის გაება, რომელშიც ჰგიებს და მოქმედებს სულიწმიდა უქმნელი ღმრთაებრივი მადლისა და უნერგიების საშუალებით ადამიანის სინერგიული თანაქმედებისას, არსებითად, მიუღებელია რომო-კათოლიკური საკრებულოსთვის თავისი პაპოცენტრისტული ეკლესიოლოგითა და ღვთიური მადლის უქმნელობის უარყოფით. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ რომო-კათოლიკე პროფესურა

ასპირანტურის მსმენელებს, რომელთა შორის ბერმონაზვნებიც არიან, მისცემს ეკლესიის სრულიად მცდარ წარმოდგენასა და გაგებას. რუსი მორწმუნების მიერ ეს ფაქტი განიხილება, როგორც გარკვეული იდეოლოგიის დანერგვის მიზანმიმართული მცდელობა, რომელიც მიმართულია მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიური აზროვნების დანგრევისა და რომო-კათოლიკური აზროვნების ჩამოყალიბებისაკენ. ამან უნდა მომზადოს ლათინებთან უმტკივნეულო უნია, პაპისტებთან დაიალოგის წარმოებისას ის თამაშის წესები, რომელსაც თავს გვახვევს რომი და კონსტანტინოპოლი.

ყოველივე ეს არ არის გასაკვირი, რადგან რუსი, და არა მარტი რუსი, იერარქების გონიერაში ჩანერგილია სუფთა პაპისტური გაგება საეკლესიო ხელისუფლებისა. ამან უკვე შექმნა საშიში განახეთქი იერარქიასა და მორწმუნე ერს, იერარქიასა და კლიროსს შორის. ამის მიზეზები ასევე უნდა ვეძებოთ ცნობიერების იმ დანალექში, რომელიც შეიქმნა საბჭოთა პერიოდში ხელისუფლების გაგების თვალსაზრისით, რომელმაც სასულიერო ხელისუფლების საერო გაგება დაამკიდრა, როდესაც არ არის სწორი სულიერი ცხოვრება გამოცდილი ბერის მორჩილებაში და ისეთი რჩევებით, რომელსაც გამოცდილი სასულიერო პირი იძლევა. ამან დაბადა ამპარტაგნული ნდობა არა ეკლესიის მამებისადმი, არამედ საკუთარი კაცობრივი გონებისადმი. ეს კი ქმნის კარგ საფუძველს იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს გარედან თავსმოხვეული იდეოლოგია და შეხედულებები. ასეთი იერარქები ჩშირად აღმოჩნდებიან ორ ხაზს, — უმეცრებასა და ლათინობრნების ინტელექტუალობანას, — შორის.

რუსეთის მრავალი მორწმუნე მიჩნევს, რომ რომო-კათოლიკებთან მიმდინარე დიალოგის ამჟამინდელ მიმართულებას მიყავს მართლმადიდებელი ეკლესია, მისი სამწყსო დამღუპველი ცრუერთობისაკენ, უნისკენ, ე.ი. მართლმადიდებელი ეკლესის, როგორც ერთადერთი, ერთი, წმიდა, კრებსითი, საყოველთაო და სამოციქულო ეკლესიის განადგურებისაკენ.

\* \* \*

პაპის პრიმატის შესახებ მრავალი დაიწერა და მრავალი დაიწერება. მაგრამ, ვფიქრობთ, მრავალმხრივ საინტერესოა ნიკოლოზ ვასილიადისის ერთი სტატია, რომელსაც გთავაზობთ შემოკლებით.

## 19. პაპის პრიმატი საშინელი ეკლესიოლოგიური მწვალებლობაა

ნიკოლოზ პ. ვასილიადისი

1. შესავალი

ცნობილია, რომ პაპისტები ჯიქურ იცავენ პაპის ე.წ. „პირველობა-პრიმატს“. მათვე არაერთხელ გამოაცხადეს, დაწერეს, რომ „ქრისტიანთა ერთობა სხვას არაფერს (და მხოლოდ ამას) ნიშნავს, – ესაა უპირატესობა პაპისა, რომელიც დედამიწაზე ქრისტეს ერთადერთი წარმომადგენელი“. და რომ „პირველობა და უცდომელობა ეკლესის დადგნილებები კი არ არის, რომელთა გაუქმებაც ეკლესის შუძლია, არამედ ღოვმატებია, რომელთა შერყვა არასდროს არ შეიძლება“. და კიდევ, „საუბარიც არ შეიძლება იმაზე, რომ კათოლიკური (პაპისტური-ავტ.) ეკლესია რაიმეს დათმობს თავისი ჰეშმარიტებებიდან“ (218-ზე მეტი ცდომილება). პაპისტების ასეთი პოზიცია, რომელსაც ისინი გამუდმებით იმურებენ, არავითარ ეჭვს არ ბადებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეერთებას ესწრაფვიან ისინი, როდესაც მართავენ მსჯელობას მართლმადიდებლებთან. მათ უნდათ შეერთება წყეული უნის მსგავსი სახით. იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იცავნ ისინი „პირველობას“, როგორ განვითარდა იგი და როგორ ამტკიცებენ ისინი ამას, ბევრი დაიწერა მართლმადიდებლების მიერ და ისინი ქების ღირსნი არიან.

ჩვენი სწავლისათვის კარგი მაგალითია კონსტანტინოპოლის პატრიარქი ოსებ II, რომელიც დიდი შემართებით ჩავიდა ფერარო-ფლორენციის ცრუ კრებაზე (1438-39), და მიამიტობით სჯეროდა, რომ მართლმადიდებლები გამარჯვებულები დარჩებოდნენ, მაგრამ იგი გაწილებული დარჩა და აღნიშნა: ლათინები „ჯიუტები, ამპარტავნები და დაურწმუნებელნი არიან. არ იღებენ ჩვენს სიტყვებს, არ სურთ დაეთანხმონ და მიიღონ ჰეშმარიტება“.

### 2. მიუღებელი პოზიცია

პაპისტები ყველა შესაძლო შემთხვევას იყენებენ, რათა წამოაყენონ პაპის პირველობის შესახებ უახლესი ეკლესიოლოგიური მწვალებლობა. პაპისტები წერენ: „მრავალი ადამიანი არ ითვალისწინებს იმას, რომ 879-880წწ. კონსტანტინოპოლის კრებამ,

რომელმაც აღადგინა სრული ერთობა ძველსა და ახალ რომს შორის, მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც რომის პირველობა არა მხოლოდ იცნობა, არამედ გამყარებულია კიდეც, ამასთან, ეს დადგენილება მიუღებლად თვლის მომავალ კამათებს ამის წინააღმდეგ“<sup>1</sup>. შემდეგ მათ მოჰყავთ კონსტანტინოპოლის კრების პირველი კანონი და ამბობენ, რომ მართლმადიდებლები არასწორად ხსნიან მას.

როგორც პროფესორი იოანე კარმირისი აღნიშნავს, 879-880წ.წ. კრებაზე თავად პაპის წარმომადგენლების შემთავაზება იყო, რომ აიკრძალოს ყოველი სიახლე რომის პაპის საპატიო წარმომადგენლობა-უფროსობისა და პრივილეგიების სფეროში, ანუ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება მისი primatus honoris-ის (ôéîçôéêïý ðññùôâïou-ის პირველობა) primatus jurisdictionis-ში (æéééçôééïü ðññùôâïou - ძალაუფლების პირველობა) გადაყვანას. მეტიც, პაპის წარმომადგენლები კონსტანტინოპოლის პატრიარქ ფოტის სთავაზოვდნენ ეკლესიაზე ძალაუფლების პირველობას, მაგრამ პატრიარქმა ფოტიმ, ეკლესის სწავლების შესაბამისად, არ მიიღო ეს პრივილეგია.

ეკლესიის ისტორია ამტკიცებს, რომ პირველ სამ ასწლეულში არ იყო არც ერთი შემთხვევა იმისა, რომ ეკლესიას ოდესმე რომის პაპის იურიდიული პირველობა ეცნო. საეკლესიო კრებების გასამართვად არ იყო საჭირო და აუცილებელი რომის ეპისკოპოსის რაიმენაირი დასტური. ეს პრაქტიკა დადასტურებული იყო მოციქულთა კანონებით, რომლებშიც აღბეჭდილია ეკლესიის მართვის პრინციპები. ამ პრინციპების დიდსა და მნიშვნელოვან ავტორიტეტზე თავის კანონებში 1,2,5,9,10 უკვე I-ზა მსოფლიო კრებამ (325წ.) მიუთითა. მოციქულთა კანონების თანახმად, ყოველი ადგილობრივი ეკლესია იმართება თავისი ეპისკოპოსის მიერ (იხ. მოციქულთა კანონები 32,35,38,39,76), აკრძალულია რომელიმე ეპისკოპოსის ნებისმიერი ჩარევა სხვა ეპარქიაში (იხ. მოციქულთა კანონები 34,35). ადგილობრივი ეპისკოპოსები (პარიკიები) შეადგენდნენ ადგილობრივ ეკლესიას, რომელიც იმართებოდა „მთავარი“ და „პირველი“ ეპისკოპოსით (ðññùôâïð). მაგრამ „პირველი“ არასდროს მოქმედებდა სხვა ეპისკოპოსების თანხმობის გარეშე, ისევე როგორც ნებისმიერი ეპისკოპოსი მის საკითხთა წრეს აღმატებულ საკითხებში

არ მოქმედებდა „პირველის“ თანხმობის გარეშე „თითოეულისა ნათესავისა ეპისკოპოსთად უქმს კაცთა მის ნათესავისათა, რადთა პირველად და თავად მათდა შეერაცხოს ეპისკოპოსი თვისი და არარას იქმოდიან ნამეტნავსა თვისიერ განზრახვისა მისისა, არამედ მათ ხოლო იქმოდინ კაცად-კაცადი, რაოდენნი სარგებელ ეყოფოდინ ეკლესიასა მისსა და მისქუეშეთა სოფელთა. არამედ ნუცაღა (პირველი-ავტ.) ეპისკოპოსი თვისიერ განზრახვისა ყოველთავსა იქმს რასმე, რამეთუ ესრეთ ერთნებობა აღესრულოს...“ (მოციქულთა კანონი 34). შესაბამისად, რომის ეპისკოპოსიც მართავდა მხოლოდ თავის საეპისკოპოსოს.

### **3. „პატივის პირველობასა“ და „ხელისუფლების პირველობას“ შორის განსხვავებები**

ქრისტეს ეკლესია პირველ საუკუნეებში წამოჭრილ საკითხებს წყვეტდა ადგილობრივი კრებების სამუალებით. ამ პერიოდში არ არსებობს არც ერთი შემთხვევა, როდესაც ეკლესია იმ საკითხების გადაწყვეტას, რომელიც ეხებოდა ეკლესის მთავარ ინტერესებს, სთხოვდა მხოლოდ რომის ეპისკოპოსს.

მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული წარმოიშვა დიდი საკითხები, რომლებიც, ძირითადად, განპირობებული იყო მწვალებლობების გაჩენით. ეს საკითხები განიხილებოდა და წყდებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებებზე. ამ კრებებზე რომის ეპისკოპოსის წარმომადგენლებს ეკავათ საპატიო ადგილი, მაგრამ არა იმიტომ, რომ რომის ეპისკოპოსს ჰქონდა რაღაც ძალაუფლება სხვა ეპისკოპოსებზე, არამედ იმიტომ, რომ იგი ითვლებოდა „პირველად“ სხვა „პირველებს“ შორის პატივის თავაღსაზრისით. ხოლო პატივით „პირველად“ ითვლებოდა იმიტომ, რომ მისი კათედრა იმყოფებოდა რომში. I მსოფლიო კრების დროს „პირველებად“ ითვლებოდნენ რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსები. მსინი ერთმანეთის ტოლებად ითვლებოდნენ I მსოფლიო კრების მე-60 კანონის თანახმად.

მსოფლიო კრებების მიერ „პატივის“ პირველობის მიჩნევა ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ ქალაქების სახელმწიფო მნიშვნელობას, რომლებიც წარმოადგენდნენ ეპისკოპოსებისა და

პრესვიტერების სამოღვაწეო მხარეებს. აღსანიშნავია, რომ „ყველა მსოფლიო კრების პირველი თავისებურება ის არის, რომ ისინი მოიწვიეს არც პაპის და არც სხვა რომელიმე ძლიერი პატრიარქის ბრძანებით, არამედ ბახილევსის ბრძანებით“ (ნიკოდიმოს მთაწმინდელი). მსოფლიო კრებზე ისხდნენ, ჩვეულებრივ, პატივით პირველი ეპისკოპოსები, და არა პაპის „ლეგატები“. რომის არც ერთი ეპისკოპოსი არ თავმჯდომარეობდა არც ერთ მსოფლიო კრებას. მსოფლიო კრებაზე განხილული სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტისას პიროვნებასა და ავტორიტეტს შეეძლო ჰქონიდა გავლენა, და არსებითად ჰქონდა კიდეც გავლენა, მაგრამ მხოლოდ იმ პიროვნებებისა, რომელთა შესახებ ცნობილი იყო, რომ მათ ჰქონდათ მყარი, დაუზიანებელი, სუფთა და ძლიერი მართლმადიდებლური ცნობიერება. ასეთი პიროვნება წარმოადგენდა და არწმუნებდა როგორც ჭეშმარიტი წარმომადგენელი და გამომხატველი სახარებისეული ჭეშმარიტებისა, თუნდაც იგი არ ყოფილიყო ეპისკოპოსი. ამის ნათელი მაგალითია წმ. ათანასე დიდი, რომელმაც I მსოფლიო კრებაზე უმნიშვნელოვანესი და ფუძემდებლური როლი ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღექმანდრის ეკლესიის ახალგაზრდა დიაკონი იყო.

ისიც აღსანიშნავია, რომ ძალა და კანონიერება მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებებისა ისევე იყო დამოკიდებული რომის ეპისკოპოსზე, როგორც სხვა პატრიარქების მიერ დამტკიცებაზე. იმ მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებებს, რომლებზეც არ იყვნენ არც პაპი და არც მისი წარმომადგენლები, ჰქონდათ სრული და აბსოლუტური ძალა და მათ ჰქონდათ სავალდებულო ხასიათი ყველა ეპისკოპოსისათვის; ისინი აუცილებელნი იყვნენ რომის პაპისთვისაც.

პირველი ათასწლეულის განმავლობაში, იმ საბედისწერო სქიზმის დრომდე, როდესაც ქრისტეს ეკლესია ერთიანი იყო, უმაღლესი ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო კრებებს ეპუთენოდა. ისინი შეუმცდარად და ავტორიტეტულად აყალიბებდნენ ეკლესის სწავლებას, მათ გამოჰქონდათ განაჩენი ეპისკოპოსებისათვის, იქნებოდა ეს ეპისკოპოსი, პაპი თუ პატრიარქი. ცნობილია, რომ VI მსოფლიო კრებამ (680წ.) მონოთელიტობისათვის განსაკა კონსტანტინოპოლის პატრიარქები – სერგი, პიროსი, პავლე და

პეტრე, რომის პაპი პონორიუსი, ალექსანდრიის პატრიარქი და სხვები. თუკი რომის პაპს მსოფლიო კრება მიანიჭებდა „პატივის პირველობას“ სხვა პატრიარქების პარალელურად, ეს არ იყო ძალაუფლება და მპყრობელობა, რადგან იყო პირველობა თანასწორთა შორის, მაშინ, როდესაც ძალაუფლება და მპყრობელობა ხდება არა თანასწორობებზე, არამედ უმცროსებზე, დაბლებზე, დაქვემდებარებულებზე.

პაპის მიჩნეული პირველობა გულისხმობდა მხოლოდ და მხოლოდ პატივის პრივილეგიას (შექმნილი იქნა და არა ძალუფლებისა და მცყორბელობის პრივილეგიას. თუნდაც, II მსოფლიო კრებამ რომთან ერთად მისი „ტოლი უპირატესობა“ მიანიჭა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსაც. „კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსსა აქუნდეს წარჩინებულება პატივისად, სწორი პრომისა ეპისკოპოსისად, ვინაოთგან ახალი პრომი არს იგი“ (მე-3 კანონი). მსგავსს აღწერს IV მსოფლიო კრების 28-ე კანონი. „ვანჩინება წმიდისა ამის კრებისად, რომელი წმა-ფო დღიდებულებისათვეს წმიდისა ეკლესიისა კონსტანტინოპოლელთადასა. . . განვაჩინებთ დიდებულებისათვეს წმიდისა ეკლესიისა თვთ მის კონსტანტინოპოლისა, ანლისა პრომისა. . . ასერგასისთა ღმრთისმოყვარეთა ეპისკოპოსთა სწორნი პატივინი განუჩინეს ახალისა პრომისა უფროხსად წმიდასა საყდარსა“. ღირსი ნიკოლოზის მთაწმინდელი განმარტავს (IÉEË Ä Ç I ÌÖ ÁÄEÎNÅËOË Ö, Åñìçíåßá ööii ÈC' Éáüüia ôçò Ä' Iéëiöiåééëö Óöüüäö, ÐçäÜëeii, öåë. 207-208): „რაღვან რომის საყდარს, იქიდან გამომდინარე, რომ იქ იმყოფებოდა მეფე, სამართლიანად მიაწერდნენ მამები პრივილეგიას, იმას, რომ ის (მისი ეპისკოპოსი) იწოდებოდეს პატივით პირველად სხვა პატრიარქებს შორის, ამის მსგავსად წმ. IV მსოფლიო კრების მამებმა მიანიჭეს ტოლი და ზუსტად ისეთივე პრივილეგიები ახალი რომის წმიდა საყდარსაც, ანუ კონსტანტინოპოლის“.

4. I, III, IV მსოფლიო კრებები და კონსტანტინოპოლის 867 და 869 წ.წ. კრებები პაპის „პირველობის“ შესახებ

სამიტროპოლიტო სისტემა ძველი ეკლესიის მოწყობისა, რომელიც სავსებით არ იყო მონარქიული, შესანიშნავად არის გადმოცემული I მსოფლიო კრების (325წ.) მე-6 კანონში. მასში წერია: „ძველივე წესი იპყრობოდეს ადგილსა შინა უკტისა და ლკბიისა და ხუთქალაქეისათა, რაოთა ეპისკოპოსა აღექსანდრიისასა აქუნდეს ამათ ყოველთა ზედა კელმწიფებამ, ვინათვან პრომაგლისაცა ეპისკოპოსისად ესე არს ჩუეულებამ, უგრეთვე ანტიოქელისად და სხუათაცა სამთავროთა შინა რომელთამე ეკლესიათა უწარჩინებულესობად დაცვულ არს“. ეს კანონი მოწმობს, რომ რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსები „ერთმანეთის ტოლებად ითვლებოდნენ“ (აბების კი ერთ ბეჭედში). ეს კანონი ამბობს, რომ რომის ეპისკოპოსს იგივე ხელმწიფება აქვს, რაც სხვა დანარჩენს, მაგ. ალექსანდრიისას, ანუ ეკლესიას არ ჰქონდა მონარქისტული მოწყობა. ეს კანონი ასევე სხინის, რომ ეპისკოპოსები არ იმყოფებოდნენ რომელიმე ერთი ეპისკოპოსის, არც ეკლესიები რომელიმე ერთი ეკლესიის დაქვემდებარებში. ყველა ეპისკოპოსი და ეკლესია იყო იურიდიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი.

ლათინთა მტკიცება, რომ თითქოს III მსოფლიო კრებამ (431წ.) გამოაცხადა რომის ეპისკოპოსის მთელ ეკლესიაზე ძალაუფლების „პირველობა“, მცდარია, რასაც ნათლად ამტკიცებს ათენის მთავარეპისკოპოს ხრისტოსტომოს პაპალობულოსის შესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომი „III მსოფლიო კრება და რომის ეპისკოპოსის პირველობა. პასუხი პიუს XI-ის ენციკლიკა «Lux Veritatis»-ზე“ («Ҫ ԱՇ Առաջին պատմության մեջ է պատմված առաջին պատմությունը, որը պատմում է առաջին պատմության մեջ պատմված առաջին պատմության մեջ პაპი პიუս XI-ი მიეც ენციკლიკა „Lux Veritatis“ 1932 წელს). სიმართლე ის არის, რომ III მსოფლიო კრებამ არა მარტო არ შეცვალა, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა და კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანა ის განაწევი, რომელიც არსებობდა მანამდე ეკლესიის მართვის სფეროში. „**მან** კატეკორიულად აკრძალა საეპისკოპოსო საყდრების მხრიდან უფლება მართვის საშუალებებისა და ეპარქიების შეცვლისა, რომელიც მიღებულია თავიდანვე და შეძლომ. დაამტკიცა, რომ მისთვის ყოველთვის უცხო იყო მონარქიული პირველობა, ერთი საეპისკოპოსო კათედრის ძალაუფლება მეორეზე“

( $\times$ ΝΟΟΙΟΪ Ι ΙΟ ΔΑΘΑΪ Δ ΙΟΕΙ Ο, ü.δ., γν. 71) (θωμαλεύκην  
πιο θυσίας ήταν από την προστάσια της Αρχαίας Ελλάδας). Η πατέρας του ήταν ο Καράβας Λαζαρίδης, ο οποίος ήταν ο πρώτος που στην Ελλάδα έγινε διάσημος στην παραγωγή της μπανάνας. Η μητέρα του ήταν η Καράβα Σταύρα Λαζαρίδη, η οποία ήταν η πρώτη γυναίκα στην Ελλάδα που άνοιξε ένα καφέ. Ο Λαζαρίδης γεννήθηκε στην Αθήνα το 1881, σε οικογένεια που ήταν γνωστή για την παραγωγή μπανάνας στην Ελλάδα.

ასეთი იყო მდგომარეობა, რომელიც ეკლესიაში პირველი 8 საუკუნის განმავლობაში იყო დამყარებული.

ახლა განვიხილოთ ის, თუ რა მდგომარეობა იყო  
კონსტანტინოპოლის 879-880წ.წ. კრებაზე, რომელმაც, ლათინთა  
თქმით, თითქოს, აღიარა და განამტკიცა რომის ეპისკოპოსის  
ძალაუფლების „პირველობა“. ცნობილია რომის პაპ ნიკოლოზ I-  
ის კონსტანტინოპოლის ეკლესიის შიდა საქმეებში თვითნებური  
ჩარევის შესახებ, რისთვისაც საბაბად გამოიყენა ის ფაქტი, რომ  
გადაყენებულ იქნა პატრიარქი ეგნატე და მის ნაცვლად არჩეულ  
იქნა (858წ) ფოტი დიდი (თავად ფოტის ნების საწინააღმდევოდ).  
მაგრამ ნიკოლოზ I-ის სკანდალური ჩარევა კონსტანტინოპოლის  
ეპისკოპოსის შიდა მმართველობის საკითხებში უკუაგდს და  
გაკიცხეს კონსტანტინოპოლის კრებაზე 867წ-ს. ამ კრებაზე  
„გაკიც ხულ და ანათემირებულ იქნა ასეთი  
მაღალამპარტაგნებით განცხადებული, მანამდე ეკლესიისთვის  
უცნობი პირველობა“ პაპისა, რომელმაც „უგულებელყო ის,  
რომ იგი კანონიკურად უნდა ექვემდებარებოდეს მსოფლიო  
კრებებს და ის, რომ საპატრიარქო ტახტები  
დამოუკიდებელი არიან“ და რომლის საშუალებითაც „რომის  
ეპისკოპოსმა მთელი ეკლესიის აბსოლუტურ ხელისუფალ-  
ჰეგემონად გახდომისა მისწრაფება გამოავლინა“.

კონსტანტინოპოლის 869წ. კრებაზეც, პაპების რაიმე უარყოფის გარეშე, დაადასტურეს დამოუკიდებლობა, ავტონომია და თანასწორობა ხუთი საპატრიარქო საყდრისა. უარყოფილ იქნა ნებისმიერი იდეა მონარქიული პირველობისა თუ რომის კათედრის ძალუფლების პიველობისა. ამგვარად, „პაპის პირველობა ამ ახალი გავებით“, რომელიც თვითნებურად და ანტიეკლესიურად განცხადებულ იქნა პაპ ნიკოლოზ I-ის მიერ, ამ კრებაზეც არ იქნა მიღებული.

პაპის ძალაუფლების პირველობა საზეიმოდ იქნა უარყოფილი 879-880წ.წ. კრებაზეც. ეს კრება ერთიანი ქრისტეს ეკლესიის უკანასკნელი დიდი კრება იყო. მამები და საეკლესიო მოღვაწეები მას VIII მსოფლიო კრების სადარად მიიჩნევენ. იგივეა აღნიშნული მისავე დადგინელებებში. ეს კრება მოიწვია ფოტი დიდმა, რომელიც თავად იყო ამ კრების თავმჯდომარე. ამ კრებას ესწრებოდნენ პაპის სამი წარმომადგენელი, სამი წარმომადგენელი აღმოსავლელი პატრიარქებისა, 18 მიტროპოლიტი, მრავალი ეპისკოპოსი ფრაკიის, პონტოს, ეფესოს, ილირიისა და ქვემო იტალიის საეკლესიო დიოცეზებიდან, ჯამში 383 ეპისკოპოსი. ეს კრება ნამდვილად შთაბეჭდდავი იყო. მასზე გამეფდა ერთსულოვნება, მისი მუშაობა მიმდინარეობდა თანაბრად, და მის მეხუთე სხდომაზე აღიარებულ იქნა VII მსოფლიო კრების ყველა დადგენილება.

### **5. 879-880 წლის კონსტანტინოპოლის კრების მნიშვნელობა**

ამ კრების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან გარკვეული სიცხადე შეიტანა წმ. ფოტის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებასთან დაკავშირებით, და ეს არ გაკეთებულა პაპის ნებით და არც ისე, რომ იგი ყოფილიყო პაპისთვის მისაღები. ამ კრებამ წმ. ფოტის აღსაყდრება, როგორც მომხდარი ფაქტი, ისე მიიჩნია. მაგრამ საგულისხმოა ის, რომ ამ კრების რომო-კათოლიკე ისტორიკოსები ცდილობდნენ, I კანონის ნამდვილობა სათუოდ მიეჩნიათ. მაგრამ, რადგან ეს არ გამოუვიდათ, ისინი ცდილობდნენ სხვაგვარი განმარტება გაეკეთებინათ და მისთვის ისეთი შინაარსი მიეცათ, რომლის თანახმადაც ეს დადგენილება, თითქოს, არ ზღუდდას, არამედ აკანონებს პაპის პრივილეგიებს. მაგრამ, პაპისტებისათვის სამწუხაროდ, ჰეშმარიტება სხვაა. კრებისთ დადგენილებას, როგორც ეს უმთავრესად კრების დადგენილებებიდან და თვით ამ I კანონიდან გამომდინარეობს, მიზნად ქონდა მიეღო ზომები, რომლებიც დაარეგულირებდნენ ზოგიერთ ანომალიას, რომლებიც ხდებოდა შემდეგი ფაქტის გამო: კლიროსის ის წარმომადგენლები, რომლებიც გასამართლებულნი იყვნენ კონსტანტინოპოლში, დახმარებისათვის მიმართავდნენ დასავლეთში და იქ ღებულობდნენ სასჯელის გახნას. კრებაზე, რა

თქმა უნდა, იყვნენ პატრიარქ ეგნატეს მომხრებიც, რომლებიც რომის წაქეზებით არ ცნობდნენ ფოტის. პაპ ნიკოლოს I-ისა და მისი მემკვიდრეების მოთხოვნები აშკარა სიახლეებს წარმოადგენდა: როგორიცაა ის, რომ თვითნებურად გაემართლებინათ სხვა ეკლესიის მიერ უკვე ან მომავალში დასჯილი თავისი კლიროსის წარმომადგენლები; ასევე ის, რომ ანტიკანონიკურად ჩარეულიყვნენ სხვა ეკლესიის შიდა საქმეებში.

ამ პარაგრაფის შემდეგ დადგენილება მთავრდება შემდეგით: „ნუცა რადს მისდა ხუედრებულისა პატივისაგან ქუებული იქმნების ყოვლად წმიდად საყდარი პრომაელთა ეკლესიისად ნუცა საყდრისმპყრობელი მისი რაღოურთით, ნუცა აწ და ნუცა ამისსა შემდგომად“ (I კანონი). ანუ, რომის ეკლესიისათვის ხვედრებულ პატივზე მეტი მის წარმომადგენლებს მთლიანობაში არ წამოუყენებიათ არც ახლა და არც შემდგომ წამოაყენონ. ხოლო ხვედრებული პატივი, რაზეც არის საუბარი, არის ის უბირატესობანი (ტრ ბჟადალება მეტი), რომლებიც ეკუთვნოდა პაპს. ისინი განსაზღვრული იყო I მსოფლიო კრების მე-60 კანონით, II მსოფლიო კრების 30-ე კანონით, IV მსოფლიო კრების 28-ე კანონით და V–VI კრების 36-ე კანონით. შესაბამისად, ზემოთ დასახელებული დადგენილებების წყალობით აკრძალული იყო ნებისმიერი სიახლე რომის ეპისკოპოსის პრივილეგიასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც ნებისმიერი ცვლილება – „პატივის პირველობისა“, „ძალაუფლების პირველობით“ – არც ახლა, არც შემდგომ. როგორც ეს სამართლიანად შენიშნა მთავარეპისკოპოსმა ქრიზოსტომოსმა: „კონსტანტინოპოლის პატრიარქი ზემოთ დასახელებული დადგენილებებით გათანაბრებულია რომის პატრიარქთან, შესაბამისად, აკრძალულია ამ დადგენილების შემდეგ რაიმე აღმატებითობა. არა მხოლოდ კონსტანტინოპოლისაა გათანაბრებული რომის პაპთან, არამედ პიროვნულად ფოტი აყვანილია პაპზე მაღლა“. აღმოსავლელმა პატრიარქებმა მიიღეს ფოტი, ალექსანდრიელმა მიქაელმა მას უწოდა „ნათლისდარი და ნათლისმოქმედი ადამიანი, მღვდლობის სრულყოფილება, ჭეშმარიტების კანონი, ქრისტეს ეკლესიის ძლვდეკლმთავარი“, იერუსალიმელმა თეოდოსიმ – „ქრისტეს სხეულის თავი“, ანტიოქიელმა თეოდოსიმ – „წმიდა მამა“. ასევე, „პაპის

წარმომადგენლები ადარებდნენ ფოტის „მზეს“, რომელიც ანათებს ყოველთა სამყაროში“. ბოლო სხდომაზე კესარიის ეპისკოპოსმა ფოტის საქებრად თქვა: „ასეთი მწყემსმთავრისათვის ხამს პატივი მთელი მსოფლიოს ჭეშმარიტებით ძართვისა, ჩვენი მწყემსმთავრის, ქრისტეს მსგავსად“, და პაპის წარმომადგენლებმა ამას დაამატეს: „ჭეშმარიტებაა ის, რაც მან თქვა. და ჩვენ, მიწის განაპირას მცხოვრები ასევე გვესმის“. მანამდეც იმავე წარმომადგენლებმა თქვეს: „კურთხეულია ღმერთი, რომ უწმინდესი ფოტის კეთილი სიტყვა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში ვრცელდება“. ყოველივე ამის მიუხედავად, წმ. ფოტი „არ აღივხო ამ ქებისაგან ქედმაღლობით და სრულებით არ ისურვა იმაზე მეტი უფლება, რაც კანონით იყო განსაზღვრული“.

ყურადღების ღირსია ასევე ის, რომ 879-880წ.წ. კრებამ ფოტის შესახებ მიიღო დადგენილება: „პავლემ და უვენიმ, რომის წმიდა ეპისკოპოსებმა, ასევე პეტრემ, ღვთივორჩეულმა პრესვიტერმა და კარდინალმა, თქვეს, რომ თუ ვინმეს მასთან, უწმინდეს პატრიარქთან (ანუ ფოტისთან) არა აქვს კავშირი, ის არ არის ჩვენ მიერ მიღებული, რაღაც მისი აღიღლი იუდასთანაა, და ის არ ირცხება ქრისტიანებს შორის. და წმიდა კრება საყოველთაოდ აცხადებს, რომ ჩვენ ასე ვაზროვნებთ და ვასწავლით, რომ მათ, ვისაც მწყემსმთავრად არა პყავს ღმერთი, მათ არა აქვთ ღმრთის დიდება“ (Mansi XVII, 524).

პაპმა იოანე VIII-მ თავიდან, როგორც კი გაიგო კრების გადაწყვეტილებების შესახებ, მაშინვე აღიარა ისინი. მაგრამ ლათინებმა არ ისურვეს კრების დადგენილებების გამოქვეყნება. იმავდროულად, ისინი არ ცდილან, რომ შეეცვალათ ეს დადგენილებები ან უარესოთ მათი ნამდვილობა. ამ კრების ავტორიტეტსა და დადგენილებებს დღესაც აქვს უმცდარობის ხარისხი.

## 6. მომაკვდინებელი დარტყმა პაპის ხელისუფლების პირველობას

სავსებით გასაგები იყო ის, რომ 879-880წ.წ. ისტორიულმა კრებამ პაპის აღშფოთება გამოიწვია. ამის ერთ-ერთი ძირითადი

მიზეზი იყო ის, რომ ამ კრებამ არ მისცა პაპს ნება ბულგარეთის ეკლესიაზე ძალაუფლებისა, და მეორე მიზეზი იყო ის, რომ ფოტიმ კრებაზე არ გამოხატა ოფიციალური კრძალულება რომის ეკლესიისადმი. ამ უხერხულობის თავის სასარგებლოდ ასახსნელად ლათინი ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ პაპის წარმომადგენლებმა, რომლებიც კრებას ეწრებოდნენ:

- ა) დაარღვიეს ის რეკომენდაციები, რომლებიც მათ ჰქონდათ მიცემული;
- ბ) მათ არ იცოდნენ ბერძნული ენა და ამიტომ ვერ გამოხატეს თავიანთი მართებული პოზიცია, რომელიც უნდა დაეცვათ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;
- გ) ისინი მოისყიდეს.

ფრანკო-ლათინი ისტორიკოსების ეს მტკიცებულებანი მიუთითებს, რომ პაპის წარმომადგენლები ან უუნარონი იყვნენ ზუსტად დაეცვათ რომის ინსტრუქციები, ან ისინი, დაინახეს და გაუცვნენ რა მოვლენების ნამდვილ ვთარებას, მიხვდნენ პაპის პრეტენზიების არაგონიულობას (*×ΝΟΟΪΟΪ Ι ἸΟ ΔΑΔΑΪ Δ ΙΟΕΙ Ο*). საგულისხმოა ის, რომ პაპის წარმომადგენელი ორი ეპისკოპოსი კრებამდე ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდან კონსტანტინოპოლიში, და ბუნებრივია, შეისწავლიდნენ ბერძნულ ენას და, ბუნებრივია, შესანიშნავად ესმოდათ იგი. მესამე წარმომადგენელი, კარდინალი პეტრე, კრებაზე კამათებში მეტად ცოცხალ მონაწილეობას დებულობდა, რაც აღასტურებს, რომ მან იცოდა ბერძნული ენა. მეტიც, პაპის სამივე წარმომადგენელმა „მიიღო და ხელი მოაწერა დადგენილებებს“, რომლებიც კრებამ მიიღო.

კრების, როგორც უმაღლესი საეკლესიო დაწესებულების, მოღვაწეობის მნიშვნელოვან შედეგებს შორის არის ის, რომ მასზე მიიღეს დადგენილება, რომ რომის ეპისკოპოსი „არ არის მთელი ეკლესიის უფროსი, რომ მისი ავტორიტეტი არ არის აბსოლუტური და რომ, შესაბამისად, არამართებულად და არაკანონიკურად ერეოდა იგი კონსტანტინოპოლის ეკლესიის შიდა საქმეებში. . . ეს მოწმობს პაპის ავტორიტეტის წინააღმდეგ, რადგან მის შესახებ მან (კრებამ-ავტ.) განაცხადა მისი ანტიკანონიკური მოღვაწეობიდან გამომდინარე, რითაც

მან პაპის პრეტენზიებისათვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენების თანხმობა მისცა. უარყოფილ იქნა ძალაუფლების პირველობის ახალი მიღვომა. სავსებით საკმარისი იყო ის, რომ პაპი მიჩნეულლ იქნა ეკლესიის ხუთ პატრიარქთაგან ერთ-ერთად, და რომ საპატიო პირველობა, რომელიც მას ჰქონდა სხვებთან მიმართებით, არ აძლევდა მას უფლებას, გადაეჭარბებინა იმისთვის, რაც მისთვის იყო განწესებული. . . ამ კრებით ეკლესიამ, ამგვარად, ერთხელ და სამუდამოდ უარყო რომის ეპისკოპოსის ძალაუფლების პირველობა (ტი ბწყის შესაბამის, ეპისკოპოსის უფლება უფლება არ არის). ის, რაც გადაწყვიტეს ამ კრებაზე, სავსებით ეთანხმება იმას, რაც მიღებული იყო წინამორბედ მსოფლიო კრებებზე, ეთანხმება ეკლესიის „სწავლებას“ (×ΝΟΟΪΩΪ Ի ՅՈ ԾԱԾԱԱ Ե ՅԵ Օ).

## 7. დასკვნები

ამგვარად, ზემოთმოყვანილი ამტკიცებს, რომ ერთიანი-გაერთიანებული ეკლესია I ათასწლეულის განმავლობაში არ აღიარებდა რომის ეპისკოპოსის „ძალაუფლების პირველობას მსოფლიო დონეზე“. მან რომის ეპისკოპოსის მიანიჭა პირველობა თანასწორ ხუთ პატრიარქს შორის. მან მიიღო ის, რომ რომის ეპისკოპოსმა, ისევე, როგორც ანტიოქიამ, არ მიიღო შთამომავლობით მოციქულ პეტრესაგან რაიმე პრივილეგიები იურიდიული ძალაუფლებისა თუ მეთაურობისა, ან რაიმე სახის მონარქიისა ქრისტიანულ სამყაროში, არ არსებობდა არანაირი დადგენილება ეკლესიისა, ეპისკოპოსობა არ სცილდებოდა რომის ფარგლებს. რომის ეპისკოპოსი არ არის მოციქულ პეტრეს მემკვიდრე, რადგან პეტრე არ იყო რომის ეპისკოპოსი. ლათინთა პრეტენზიებს არა აქვს რაიმე ისტორიული საფუძველი. მაგრამ თუ მაინც დავუშვებთ, რომ მოციქულმა პეტრემ დააარსა რომის ეკლესია, მერე რა გამომდინარეობს აქედან? განა მან მხოლოდ ერთი ეკლესია დააფუძნა? მან, ისევე როგორც მოციქულმა პავლემ, მრავალი ეკლესია დააფუძნა.

ამგვარად, რომის პაპს ჰქონდა ისეთივე ძალაუფლება, როგორიც სხვა პატრიარქებს. მსოფლიო კრებები (I, II, IV), როდესაც საუბარი იყო რომის ეკლესიის „პატივის უპირატესობაზე“, არ ამბობდნენ,

რომ იგი დადგენილია „ღვთიური კანონით“ ან „ღვთიური განწესებითა და მოციქულ პეტრესთან დაკავშირებით“, არამედ ეს განისაზღვრა იქიდან გამომდინარე, რომ რომი იყო იმპერიის ძველი დედაქალაქი. ამასთან, კონსტანტინოპოლის საყდარიც ისევე იქნა დაფასებულ, რადგან „იგი იყო ახალი რომის დედაქალაქი“.

(ამ მეტად მნიშვნელოვანი პასუხის სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ **ქ. EÁNIÉNC**, ტ. ÄřāiádóééÜéáé ÖÖíàïééÜlíçìåbáöö)

Iñè iä üü ð Éáè iééPò Åéëëçóßáð, ôüì. 2iò, Graz-Austria 1968, óåë. 932[1018]- 946á[1032]).

ეს ყველაფერი ძალაში იყო ეკლესიის ერთობის პერიოდში. ამ მდგომარეობას შესანიშნავი დასკვნა გაუკეთა პროფესორმა დამიტრი ცელინგიძისმა: „პირველი ათასწლეულის განმავლობაში, როდესაც ეკლესია ერთიანი იყო, „უძალლესი ავტორიტეტი მსოფლიო ეკლესიაში ეკუთვნოდა მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო კრებებს. ყოველ შემთხვევაში, მართლმადიდებელ ეკლესიას არასდროს არ მიუღია პაპის პირველობა-პრიმატი, როგორც ეს მთილო და ახსნა ვატიკანის I-მა კრებამ (1879/1880), რომელმაც პაპი აღიარა ეკლესიის ცნობიერების შეუძლებელ გამომხატველად და რომელსაც შეუძლია ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაც კი, რომელებიც ეწინააღმდეგებიან მსოფლიო კრებებს“: პაპის ამ გადაწყვეტილებით ერეტიკოსებმა „გააუქმეს არა მხოლოდ ეკლესიის მართვის კრებებითობა, არამედ, არსებითად, სულინწმიდის ეკლესიაში მყოფობაც“ (ÂDEÓDÖËP ÁÇÍÇÔÑÉIÖ ÔÓÅÉÄÄÉÄC, ÐIIIÖ ôçí ÉäñÜ Èïéíüödçôå ôïö Áâbïö ¼nïöö).

ახლა, როდესაც რომის ეკლესია, სავსებით ცხადია, რომ არის მწვალებლური, ის პირველობა მართლმადიდებელ ეკლესიაში ეკუთხნის კონსტიტუციონულის (როგორც ახალი რომის) პატრიარქს, რომელიც, ამასთან, არის „პირველი თანასწორთა შორის“. ნებისმიერი სხვაგვავრი გადაწყვეტილება არის მიუღებელი, ასოლუტურად უკანონო, კადნიერი პრეტენზია დამღუცველ აბსოლუტურ ძალაუფლებაზე ეკლესიაში და ეშმაგისეული ცნობიერება.

ფუჭად იღვწიან და უდიდეს ცოდვას ჩადიან ისინი, ვინც ცდილობს დაიკას ეს ეშმაკისეული ცნობიერება. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ყოველთვის, როდესაც წარმოჩნდებოდა ეს უცხო აზროვნება, ეკლესია წინააღმდეგობას უწევდა და უარყოფდა მას. ამიტომ, არსებითად, შეუძლებელია რაიმე დიალოგის გამართვა ვატიკანთან, რადგან პაპი ჯიუტად ცდილობს მოიპოვოს ეს წყეული „მალაუფლების პირველობა“, რომელიც წარმოადგენს საშინელ ეკლესიოლოგიურ მწვალებლობას, ისევე, როგორც „უცდომელობა“, ან სწავლება სულიტმიდის ძისგან გამომავლობის შესახებ (Filioque) და პაპისტთა სხვა მწვალებლობები.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

83.  
2

|   |    |
|---|----|
| 1.შესავალი . . . . .  | 3  |
| 2. მეორე წერილი ათონის მთის მონასტრების წმიდა<br>იღუმენებსა და წმიდა კინოტის წევრებს . . . . .  | 3  |
| 3. ეპისკოპოსის მოხსენიების შეწყვეტა და მისგან განშორება   | 8  |
| 4. „მართლმადიდებელი აპოლოგეტის“ კომენტარი –<br>მართლმადიდებლობა საფრთხეშია . . . . .  | 12 |
| 5. ამონარიდი სტატიიდან „ოქტომბერში ცრუ ერთობისკენ?“   | 17 |
| 6. რვა მთავარიერარქი აძლევს „აუცილებელ პასუხს“ მსოფლიო<br>პატრიარქს, ამხელენ ეკუმენიზმის ერესთა ერესს, მოძრაობას,<br>რომელსაც ის უდგას სათავეში . . . . . | 19 |
| 7. მართლმადიდებლური ძმობა, „კოსმია ფლამიატოს“ . . . . .   | 21 |

თავი II

27

სარწმუნოების მხურვალე აღსარება (აღმსარებლობა)  
ეკუმენიზმის წინააღმდეგ 26

თავი III 41

|   |    |
|---|----|
| VIII მსოფლიო კრება – განდგომილების, ავაზაკთა კრება. . .   | 42 |
| 1. შესავალი . . . . .   | 42 |
| 2. კომენტარები დაგეგმილი მსოფლიო კრების საკითხთა<br>წრესთან და თავად კრების ჩატარებასთან დაკავშირებით                                       | 45 |
| 3. სრულიად მართლმადიდებელთა თათბირების<br>გადაწყვეტილებები – ეს ეკლესიის გადაწყვეტილება კი არ<br>არის, არამედ ეკუმენისტთა ჯგუფისა . . . . . | 53 |
| 3. მსოფლიო პატრიარქი ბართლომე და რუსეთის პატრიარქი<br>კირილე მოსალოდნელ სრულიადმართლმადიდებელთა კრების<br>შესახებ . . . . .                 | 55 |

|   |     |
|---|-----|
| რომის პაპისა და მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს<br>ანტიმართლმადიდებლური ალიანსი . . . . .  | 58  |
| 1. მიტროპოლიტ ზიზიულასის პროპაპისტური ინტერვიუ . . . . .  | 58  |
| 2. კვიპროსის შეხვედრა . . . . .   | 60  |
| 3. პაფოს შეხვედრის სრული წარუმატებლობა . . . . .  | 61  |
| 4. პაპის კვიპროსზე დაგეგმილმა ვიზიტმა მორწმუნეთა<br>შეშფოთება გაოიწვია . . . . .  | 65  |
| 5. რომო-კათოლიკებთან ანტიმართლმადიდებლური დიალოგი<br>ვენაში გაგრძელდება . . . . .   | 73  |
| 6. დიალოგი რომო-კათოლიკებთან . . . . .  | 76  |
| 7. პაპის პირველობის საკითხი . . . . .   | 79  |
| 8. საიტ „მარლმადიდებელი აპოლოგეტის“ კომენტარი . . . . .   | 102 |
| 9. პირების მიტროპოლიაში ჩატარებული კონფერენციის<br>(28.04.10) შედეგები, რომელიც მიეძღვნა „პირველობის“<br>საკითხს . . . . .  | 103 |
| 10. სერბეთის ეკლესიაში . . . . .  | 107 |
| 11. თესალონიკის კონფერენცია რომო-კათოლიკებთან<br>დიალოგის შესახებ . . . . .   | 111 |
| 12. რომო-კათოლიკებთან წარმოებული დიალოგი<br>არის დაცინვა . . . . .  | 113 |
| 13. პაპის დამცინავი და შეურაცხმყოფელი ენციკლიკა . . . . .   | 114 |
| 14. მიმართვა ელადის ეკლესის სინოდს . . . . .  | 119 |
| 15. შეწყდეს პაპთან დიალოგი . . . . .  | 122 |
| 16. ათონის წმიდა მთის კინოტი რომო-კათოლიკებთან<br>დიალოგის შესახებ . . . . .  | 123 |
| 17. ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა<br>მიზანშეუწონლად მიიჩნია ბმე-ის მონაწილეობა<br>კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის<br>საღვთისმეტყველო დიალოგში კვიპროსზე . . . . . | 125 |
| 18. რუსი მართლმადიდებლების შეშფოთება . . . . .  | 126 |

---

|   |     |
|---|-----|
| 19. პაპის პრიმატი საშინელი ექლესიოლოგიური<br>მწვალებლობაა . . . . . | 128 |
|---|-----|

**შენიშვნებისათვის**



**ახალი მსოფლიო ერთობა – გლობალიზაცია  
ანტიქრისტეში.**



ბუშები



ბენედიქტე XVI



სარკოზი



ობამა



ეშმაკის ნიშანი



კლინტონი



პუტინი

პაპი – სატანური  
ჯვარი

ბერლუსკონი



არაფატი



აკმადინაჯადი



ჰილარი კლინტონი

**Mano Cornuta-ეშმაკის გამოსახვა-მისალმება**